დამოუკიდებელი და ზეპარტიული
# ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.COM
2022 წლის 22-28 აგვისტო
N 35 1447
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ეს უკვე ხდება: რუსთხელმწიფემ საქართველოს ცხინვალისკენ გადასასვლელები გაუხსნა!






## ამას ჰქვია «ჭამე და მოისაქმე უკრაინა!»
9



### გოგა ხაინდრავა:
საკაშვილი მალე დაიწყებს ჩვენებების მიცემას საკუთარი გარემოცვის წევრების წინააღმდეგ და ყველას ჩაუშვებს!
10



### ლალი მოროშკინა:
სააკაშვილი უკვე თავადაც ხვდება, რომ თამაში დასრულებულია და ციხეში კიდევ კარგა ხანს მოუწევს ჯდომა!
4-5



«ზელენსკი პუტინის თამაშს თამაშობს!»

## გამოცხადებული დამხობის ქრონიკა
19

### მაყვალა ბერიანიძე:
ვეკითხები გენერალ დავით თევზაძეს –
ხომ არ დაწერს ან ილაპარაკებს იმ როლზე, რომელიც სალომე ზურაბიშვილს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებასა და სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში მიუძღვის?
20



«დავით თევზაძეს ერჩივნოს, რომ ეს ყველაფერი დაადასტუროს!»

### დავით ქართველიშვილი:
სალომე ზურაბიშვილი გადაიბირეს და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი!
14



## სააკაშვილი ხონში მიდის!
6

### დიმიტრი ლორთქიფანიძე:
გადატრიალება თბილისში დაიგეგმა 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს და მას თავიდან ბოლომდე მართავდა ამერიკის საელჩო!
12



«უკრაინა ერთიანი აღარასოდეს იქნება!»

### ხათუნა ხოფერია:
შინისაკენ კელი-კელი!
13



„შტატები ბოლო შანსს იყენებს ქართული სახელმწიფოს ჩამოსანგრევად !“

ბერად აღკვეცილი ყოფილი ვიცე-პრემიერი ხელს ადებს აფხაზეთში ომის დამწყებებს!
23



„შევარდნაძე ეძებდა საბაბს აფხაზეთში ჯარების შესაყვანად!“

# რუსთხელმწიფემ საქართველოს ცხინვალისკენ გადასასვლელები გაუხსნა!

**რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან ამერიკის მიერ ოკუპირებულ საქართველოში გადმოსვლა გამარტივდა!**

***სამწლიანი ჯოჯოხეთისა და უბედურების შემდეგ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის ე.წ. გადასასვლელი პუნქტები გაიხსნა...***




**წინა წლებისგან განსხვავებით, გამშვებ პუნქტებზე ხალხის გადაადგილება მაქსიმალურად გაადვილებულია და სამი წლის განმავლობაში შვილებს, შვილიშვილებს, უახლოეს ნათესავებს, მეგობრებსა და წინაპართა საფლავებს დანატრებული ადამიანები რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან ამერიკის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ძველი საბუთებითაც კი გადმოდიან!**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დე ფაქტო ცხინვალის პრეზიდენტმა **ალან ბაგლოევმა** თავისი წინასაარჩევნო დაპირება შეასრულა და სამი წლის უნახავი ქართველობა ერთმანეთს შეახვედრა, მაგრამ **რომ არა საქართველოს ხელისუფლების პრაგმატული და ბრძნული პოლიტიკა, გაგლოევს არც გადასასვლელების გახსნას ჰკითხავდა ვინმე და არც იმ რეფერენდუმის გაურკვეველი დროით გადადებას, რომელსაც ე. წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოსგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეწყვიტა და რუსეთისთვის მიეერთებინა.**

უეჭველია, რომ რუსთხელმწიფე **ვლადიმერ პუტინი** კრემლის ქონგურებიდან ტელესკოპით გვათვალიერებს და ქართველების ყოველ ნაბიჯს, განცხადებასა და ქცევას წონის. მან კარგად იცის, რომ **ის ბუტრუცანები და უჯანალ-ამღერებულები, რომლებმაც ზურაბ-ბირჩი ჯაფარიძის მეთაურობით შარვლები ჩაიხადეს და ბიბველი გავა რუსებსა და ოსებს მიუშვირეს, ქართველები არ არიან, რადგან ქართველები ასე არც მტერს და არც იმ ხალხს ექცევიან, რომელთან ერთადაც 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა მოიგეს!**



ალან გაგლოევი, სერგეი შამბა, ალექსანდრე ანქვაბი

საერთოდ, **უკანალის წამოხდა არც ქართველის, არც ოსის და არც სხვა კავკასიელის ბუნებაში არ დევს!**

არასოდეს დავივიწყოთ, რომ **იმ სისხლგაყინული და უკუნითი უკუნისამდე წყეული ოსის გარდა, რომელმაც სოფელ ფრისში აკვანში მწოლიარე საკუთარი დისშვილი — მცირეწლოვანი ქართველი ბავშვი ჩაკლა, არსებობს ის 500 ოსიც და, მათ შორის, ბატონი ბორა ძასოხოვის პირდაპირი წინაპრები — ძმები ცარაზონები, რომლებმაც დავით აღმაშენებლის დროშით ქართველების მხარდამხარ ვაჟკაცურად იომეს და ილღაზი და მისი უთვალავ-უანგარიშო ლაშქარი საქართველოდან სამარცხვინოდ განდევნეს!** უფრო მეტიც, დიდი თამარის მეუღლე, ოსი უფლისწული **დავით სოსლანი** გახლდათ ის კაცი, რომელმაც 1202 წელს ბასიანის ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს ბრწყინვალედ უსარდლა და რუქნადინის 400-ათასიანი კოალიცია ისე დაიფრინა, როგორც ლომმა ანტილოპებისა და ქურციკების ჯოგი!

გავრცელებული ინფორმაციით, **ამიერიდან წლის ბოლომდე, ყოველი თვის 20 რიცხვიდან, ათი დღის განმავლობაში, ცხინვალსა და დანარჩენ საქართველოს შორის გადასასვლელები გაიხსნება.** რიგითი მოქალაქეების განცხადებით, **წინა წლებისგან განსხვავებით, გამშვებ პუნქტებზე ხალხის გადაადგილება მაქსიმალურად გაადვილებულია და სამი წლის განმავლობაში შვილებს, შვილიშვილებს, უახლოეს ნათესავებს, მეგობრებსა და წინაპართა საფლავებს დანატრებული ადამიანები რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან ამერიკის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ძველი საბუთებითაც კი გადმოდიან.**

კაცი, რომელიც თავის დანაპირებს ასრულებს, დასაფასებელია! ამიტომ ასეთი კაცი, **ალან გაგლოევი** იქნება, **სერგეი შამბა** თუ **ალექსანდრე ანქვაბი,** საქართველომ ხელიდან არ უნდა გაუშვას. სააკაშვილმა მთელი სამაჩაბლო და დიდი და პატარა ლიახვის ხეობები 2008 წელს თავისი ხარჯის — **ალანა გაგლოევას ბებიის** ცხინვალიდან უვნებლად გამოყვანას შეწირა. **იმედია, საქართველოს პოლიტიკური კურსი იმდენად ეფექტური, სანდო და დამაჯერებელი იქნება, რომ ცხინვალის ე.წ. პრეზიდენტი ალან გაგლოევი ბებიამისს სადმე კი არ გადამალავს, არამედ თბილისში აქეიფებს, ბათუმში აცურავებს, ბაკურიანში ასრიალებს და სოხუმში ყავას დაალევინებს!**

ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულად ხდებოდა გაუგებრობები. არ იყო ჩვენს შორის სიამტკბილობა **ვახტანგ გორგასლის** დროს, როცა ოსები კასპს დაეცნენ და **ვახ-**

**კაცი, რომელიც თავის დანაპირებს ასრულებს, დასაფასებელია! ამიტომ ასეთი კაცი, ალან გაგლოევი იქნება, სერგეი შამბა თუ ალექსანდრე ანქვაბი, საქართველომ ხელიდან არ უნდა გაუშვას!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**საქართველო-სომხეთს შორის მეგობრობა** იზომება მრავალი საუკუნით. ჩვენი ურთიერთობა არამხოლოდ ძმობისა და მეგობრობის მაგალითია, არამედ **ეს არის მნიშვნელოვანი წინაპირობა მთლიანად რეგიონის კეთილდღეობის, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის.** მეგობრობის ხიდი, რომელიც ერთად ავაშენეთ, ჩვენი თანამშრომლობისა და მეგობრობის წარმატებას განასახიერებს.

„ინტერპრესნიუსი“

**დონალდ ტრამპი**
*ამერიკის 45-ე პრეზიდენტი*



**ბუშის დროს** რუსეთი შეიჭრა **საქართველოში. ობამას დროს** რუსეთმა წაიღო **ყირიმი. ბაიდენის დროს** რუსეთი შეიჭრა **უკრაინაში.** მე ვარ ერთადერთი პრეზიდენტი 21-ე საუკუნეში, რომლის დროსაც რუსეთი არცერთ ქვეყანაში არ შეჭრილა!

„ტიკ-ტოკ“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



კაპიტოლიუმში პრეზიდენტ **ტრამპის** ზოგიერთ მომხრეთა შეჭრას **„ტრამპის ღამე თუ დღე“** რომ დაერქვას? მაგრამ ამგვარ შეფასებას არცერთი პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი არ იკადრებს არც საქართველოდან და არც სხვა დემოკრატიული ქვეყნებიდან.

„იმედინიუსი“

**მიხეილ დუნდუა**
*ფინანსთა მინისტრის მოადგილე*



სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით პრემიერის ინიციატივამ თავისი შედეგი გამოიღო — **მილიონ-ნახევარი ადამიანი აკრძალულ პირთა სიაშია, რაც მილიონ-ნახევარ გადარჩენილ მომავალს და სიცოცხლეს ნიშნავს.**

„იმედინიუსი“

# საქართველოს ხელისუფლებამ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით უნდა ისარგებლოს და პუტინი ქვეყნის გაერთიანებაზე დაიყოლიოს!

**ტანგის და მირანდუხტი** მიუვალ მთებში გაიტაცეს... როცა **ვახტანგ გორგასალმა** ჩრდილოეთ კავკასიაში ილაშქრა, მან ოსები დაამარცხა და მირანდუხტი გამოიხსნა. სხვათაშორის, იმ ცნობილ ქართულ ხალხურ ლექსს, რომელიც ვახტანგ გორგასალს ეძღვნება, კომუნისტებმა ბოლო ორი სტრიქონი ჩამოგლიჯეს, რადგან იქ ოსები დამამცირებელ კონტექსტში არიან მოხსენიებული. ლექსის თავდაპირველი და სრული სახე ასეთია:

„ვახტანგ მეფე
ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა
იწყეს დრეკა,
ოსეთში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა!“

**რთული იყო ოსებსა და ქართველებს შორის ვითარება მონღოლების მძლავრობის ხანაშიც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოსები, დურძუკები და სხვა ჩრდილოკავკასიელები გაჭირვების ჟამს ქართველი მეფეების საიმედო და ერთგული მოკავშირენი იყვნენ.** მაგალითად, **დავით აღმაშენებელმა** თავისი ბრძნული პოლიტიკით **ოსები და ყივჩაღები** შეარიგა და მერე ერთიც და მეორეც თავის ვასალებად აქცია. **თამარის პაპა, ოსთა ხელმწიფე ხუდანი საქართველოს გაძლიერებას ემხრობოდა და გაჭირვების ჟამს შვილიშვილს ეხმარებოდა...**

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ისე მოხდა, რომ ვერც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აეწყო ქართველთა და ოსთა ურთიერთობა. **ლენინისა და მისი ხროვის წაქეზებით საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ოსები სამჯერ აჯანყდნენ და არაერთი სასტიკი დანაშაული ჩაიდინეს, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ვალიკო ჯუღელის ეროვნული გვარდია ცხინვალში შევიდა.**

კონსტანტინე გამსახურდია ერთგან დიდ ფრანგ მწერლებს — **ბუვიეს, გუსტავ ფლობერს, ემილ ზოლასა** და სხვებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა იმის გამო, რომ მათ თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში ფრანგ ქალებს ოდენ მეძავისა და ქარაფშუტა, გასართობი არსებების იმიჯი შეუქმნეს. **მიხეილ ჯავახიშვილი** დიდი მწერალი იყო და 1924 წელს გამოცემულმა მისმა გენიალურმა ნაწარმოებმა **„ჯაყოს ხიზნებმაც“** შექმნა ამ თვალსაზრისით გარკვეული კლიშე... **არადა, ჯაყო ისევე, როგორც თრუსოს ხეობიდან გადმოხვეწილი ოსი ბიდარა, რომელიც ჯვრის უღელტეხილზე თოვლთან, ყინულთან და ქარიშხალთან მებრძოლ მგზავრებს დახმარების ნაცვლად ძარცვავდა, არ არის ოსური მოვლენა. ჯაყოიზმი და ბიდარიზმი** ზოგადსაკაცობრიო მოვლენებია და საქართველოს ხელისუფლებამ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით უნდა ისარგებლოს და **ვლადიმერ პუტინი** ქვეყნის გაერთიანებაზე დაიყოლიოს! აი, მაგალითად, **სალომე ზურაბიშვილის** მრჩეველი **აკია ბარბაქაძე** მართალია, ქართველია, კერძოდ, იმერელი, მაგრამ რად გინდა, **სუფთა ჯაყოა,** რადგან სამეგრელოში, **როცა კიტოვანის გვარდია და ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი“** „პროვინციულ ფაშიზმს“ ებრძოდნენ, თურმე, ისე იქცეოდა, როგორც ჯაყო. უფრო მეტიც, **ვინც მის გვერდით დაძრწოდა, ყველა ჯაყო იყო!** მათი უფროსი — **კიტოვანიც** ჯაყო გახლდათ! სააკაშვილი, რომლის შესახებაც ჩემი სამაჩაბლოელი ძმაკაცები მარწმუნებენ, რომ გვარმოპარული ცხინვალელი ოსი **სიუკაევია,** იყო და იქნება **მარადიული ჯაყო... ვალერი გელბახიანიც ჯაყოა,** ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ცხრა ღობეზე გადამხტარ მოღალატეს ურემზე ნამდვილი კი არა, გასაბერი ქალი რომ დაუბა, იმასაც ვერ გააუპატიურებს!

სააკაშვილის ბიძა **თემურა ალასანიაც** ჯაყო ბრძანდება, რომელმაც **წმინდა ქალწული ელისტრაკო** არა ურემზე, არამედ უკანასკნელი მოდელის „ჯიპში“ ჩაუძახა და 100 ათას დოლარად ღირებული მწვანე ბრილიანტითაც ჩააკოზირა!

ვანის გამგებელი **ალექსანდრე ბოგორიშვილიც** ჯაყოა და თუ რატომ, თავადაც კარგად იცის!

**„ჩემი ლიახვი შენ არრას გავნებს, დიდი მდინარე, ოსო, წაგიღებს!“** — აფრთხილებდა **მურმან ლებანიძე** 90-იანი წლების დასაწყისში ოსებს. ჩვენც გვაფრთხილებდა — **„არამც და არამც არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში!“**-ო, მაგრამ არ გამოვიდა ეს ამბავი...

სხვათაშორის, **ის დიდი მდინარე, რომელზეც დიდი პოეტი საუბრობდა, ოსებთან ერთად ჩვენც წაგვიღებს, თუ ჭკვიანად არ მოვიქცევით და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას არა ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ ისტორიულად გაკვალულ გზაზე, არამედ სააკაშვილის ხარჭებისა და ხადუმების უკანალის სიმღერაზე ავაწყობთ.**

თავში ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **საქართველოს ხელისუფლებამ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით უნდა ისარგებლოს და რუსთხელმწიფე ვლადიმერ პუტინი ქვეყნის გაერთიანებაზე დაიყოლიოს!** დარწმუნებული ვარ, პირობები უმძიმესი იქნება, მაგრამ ეს ამბავი დასავლეთთან რკინის ფარდის ჩამოფარებადაც რომ დაგვიჯდეს, უნდა გაკეთდეს! **სხვანაირად საქართველო მოკვდება, ხოლო გეი-ევროპასთან და უკანალგარღვეულ დასავლეთთან „მტლაშა-მტლუშის“ აღკვეთა ქვეყანას არაფერს დაუშავებს, პირიქით სოდომიისა და ათასი უბედურებისგან განწმენდს!**

## გიორგი ბრწყინვალემ ეს შეძლო და საქართველო სწორედ მონღოლების ჯარით აღადგინა!

**თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, ათასი წელი გაივლის, ნატოსა და ევროკავშირის დამკვირვებლები ისევ დადგებიან ოძისსა თუ ორჭოსანთან და უფრო მოდერნიზებული და დიდი ბინოკლებით დაუწყებენ თვალიერებას რუსეთის საოკუპაციო ძალების სამხედრო ბაზებს, მაგრამ არავითარი შედეგი აქედან არ იქნება!**

დროა, ამაზე დავფიქრდეთ!

**დიდგორში ქართველები და ოსები ერთად იდგნენ და საქართველომ გაიმარჯვა!**


რუსთხელმწიფე ვლადიმერ პუტინი კრემლის ქონგურებიდან ტელესკოპით გვათვალიერებს და ქართველების ყოველ ნაბიჯს, განცხადებასა და ქცევას წონის.

## დიდგორში ქართველები და ოსები ერთად იდგნენ და საქართველომ გაიმარჯვა!




არც ის დაგვავიწყდეს, რომ **1981 წლის 13 მაისს „კარლ-ცაისის“ კარში პირველი გოლი ოსმა ვლადიმერ გუცაევმა შეაგდო და მეორე — აფხაზმა ვიტალი დარასელიამ,** მაგრამ იქაც საქართველომ გაიმარჯვა და არა „დამოუკიდებელმა“ აფხაზეთმა და ოსეთმა!

*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები


**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

ყველა გავერთიანდეთ და მომავალ წელს **ნიკო ნიკოლაძის 180 წლის იუბილე** გავხადოთ დიდი საზეიმო წელი ევროპული საქართველოსთვის.

„პირველი არხი“


**ვლადიმერ ბოჭაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*

როგორც ჩანს, **რადიკალური ოპოზიცია,** მისი დანაყოფები პოლარიზაციის დასრულებას **შენობებში შევარდნით და იქიდან ხალხის წიხლებით გამოყრით აპირებენ.** არასდროს! ვერასდროს დაბრუნდებით ხელისუფლებაში ავტოკრატიული და დიქტატორული რეჟიმი, **ომისა და ღალატის პარტია ნაციონალური მოძრაობა,** ვერასდროს! „იმედინიუსი“


**ნანა კაკაბაძე**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

საელჩოს სახელით ხელისუფლებისადმი მიმართვის მბრძანებლური ტონი **არაფრით ჯდება დიპლომატიური ეტიკეტის ფარგლებში** და იმ დროს გვახსენებს, როდესაც **მეფის რუსეთის „ნამესტნიკები“ ან ცეკას მეორე მდივნები** წყვეტდნენ აქ ყველაფერს.

„იმედინიუსი“


**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*

რუსეთთან უვიზო რეჟიმი დააწესა **სააკაშვილმა,** ამ პირწავარდნილმა მოღალატემ! მან გამოაცხადა, **ტურისტს ეროვნება არა აქვსო** და დღეს ვიმკით ამის შედეგებს.

„ალია“


**გიგლა ბარამიძე**
*პოლიტიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე*

**ქალბატონ კელის ვნებანი!** — სხვას ვერაფერს ვუწოდებ პატივცემული ელჩის უკვე მერამდენე **არადიპლომატიურ დამოძღვრა-ჭკუის სწავლებას** თუ მუქარანარევ ოპუსებს!

„იმედინიუსი“



# ლალი მოროშკინა: ზელენსკი პუტინის თამაშს თამაშობს და ამ ყველაფრის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერებულ რუსეთს მივიღებთ!



*— რადიკალური ოპოზიციისგან სახელმწიფო გადატრიალების კიდევ ერთი სცენარი მზადდება! ჯერ ცხელა, ხალხი ისვენებს, მაგრამ სექტემბრიდან ევროპაში მასიური გაფიცვები დაიწყება. პრაქტიკულად, მთავრობას ვერცერთი ევროპული ქვეყანა ვერ შეინარჩუნებს! —* ***აცხადებს პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა და დასძენს:***

— „გირჩის“ მაგვარი პარტიები შეეცდებიან არეულობის მოწყობას, მღვრიე წყალში თევზების დაჭერას, თუმცა, ამჯერადაც არაფერი გამოუვათ. კოლექტიურმა ნაციონალებმა რამდენიც არ უნდა ისაუბრონ ქვეყნის არევაზე ან შენობების დაკავებაზე, ეს ყველაფერი ძალიან გულუბრყვილო იქნება მათი მხრიდან. **ალმოკიდებული ევროპიდან ცეცხლი ჩვენკენ არ გადმოვა, რადგან აქ საკმაოდ დიდი ინვესტიციაა ჩადებული და ბევრი ისეთი ადამიანია შემოსული, რომელთაც საქართველოში სიტუაციის არევა არ აწყობთ.**

დღეს საქართველოში სულ სხვა პოლიტიკური მოცემულობაა. ძალიან კარგი ნიშა გვიკავია, ჩვენთან საცხოვრებლად მოდიან თურქებიც, ირანელებიც, უკრაინელებიც და ბელარუსებიც, მაგრამ ერთი სერიოზული პრობლემის წინაშეც ვდგავართ.

**— კერძოდ?**

— ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ოდესღაც მძლავრი უკრაინა ამობუგულ ტერიტორიად გადაიქცევა. **როგორ ფიქრობთ, დიდი ხნის წინათ სამმა ამერიკულმა კომპანიამ შემთხვევით იყიდა სრულიად უკრაინის სასოფლო-სამეურნეო მიწები, სხვათაშორის, სააკაშვილმაც?!** ყველამ ყველაფერი წინასწარ იცოდა, ანუ უკრაინა იმთავითვე გადანაწილებული იყო! ვინც ხვდება ამ საფრთხეს, უკვე კიევსა და სხვა დიდ ქალაქებსაც ტოვებს. არის კი მზად საქართველო 44-მილიონიანი ქვეყნიდან ადამიანების უზარმაზარი ნაკადის მისაღებად?

**— მომსახურების სფეროში უკვე მეტწილად უკრაინელები მუშაობენ...**

— სამაგიეროდ, ქართველები მექსიკის გავლით ოქროს კოშკების ასაგებად ამერიკაში მიდიან, მათ ადგილს კი ჩინელები, თურქები, უკრაინელები, რუსები და ბელარუსები იკავებენ. დიდია იმის ალბათობა, საბოლოოდ ის შედეგი მივიღოთ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიასა და ინგლისში დადგა. ამიტომაც **სასწრაფოდ უნდა შეიმუშავდეს კანონი და ქვეყანაში მცხოვრები ქართველების რაოდენობის მიხედვით დაწესდეს შემომსვლელთა და დასაქმებულთა ზღვარი.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ დღესაც აბსოლუტურად სხვა ქვეყანაში გავიღვიძებთ.

**„გულით თანავუგრძნობ უკრაინელებს, ისინი სამშობლოს კარგავენ, ერთმა უნამუსო სცენარისტმა მათი სამშობლო გაყიდა, მაგრამ ეს მათი არჩევანია!“**

## წარმოიდგინეთ 10 მილიონზე მეტი უკრაინელია ევროპაში ჩასული, ისინი უგზოდ დარჩენილი

## ევროპიდან ჩვენთან რომ ჩამოვიდნენ თავშესაფრის საპოვნელად, მერე სად მივდივართ?!

მეტი რაღა არის ქვეყნის დაპყრობა?! **ბინდ, მეორე ფრონტი გახსნილა და ბინდ, კულტურულად დავუპყრივართ ვინმეს.** ეს არ არის ჩვეულებრივი მდგომარეობა, ექსტრაორდინარული სიტუაციაა და ამ დროს კანონებიც ექსტრემალური უნდა იყოს!

**— ანუ არ უნდა გავუწოდოთ ლტოლვილებს დახმარების ხელი?**

— პატარა საქართველომ ყველას გაუწოდა დახმარების ხელი, ყველას ტკივილი გულთან მიიტანა, თუმცა, საპასუხოდ რა მივიღეთ? — ლანძღვა-გინება! ამიტომ, **პირველ რიგში, ჩვენი საზრუნავი საქართველოა!**

გულით თანავუგრძნობ უკრაინელებს, ისინი სამშობლოს კარგავენ, ერთმა უნამუსო სცენარისტმა მათი სამშობლო გაყიდა, მაგრამ ეს მათი არჩევანია.

ყველას შეუძლია, იუთუბზე



## „დღეს სააკაშვილი უკვე თავადაც ხვდება, რომ თამაში დასრულებულია და ციხეში კიდევ კარგა ხანს მოუწევს ჯდომა!“

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



**სოსო გოგაშვილი** გავიცანი 2013 წელს. ის იყო რიგით თანამდებობაზე, არ მახსოვს, განყოფილების ან ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე იყო გენინსპექციაში. მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვიყავი და **ირაკლი ღარიბაშვილი** იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. ვთხოვე მას, ჩემს საკურატოროში გადმოვიყვანე, დავაწინაურე. ბოლოს გახდა ჩემი პირველი მოადგილე. **ის იყო ჩემი ოჯახის ახლობელიც — დავახლოვდით ოჯახებით და ახლა, სამწუხაროდ, ის აცხადებს რომ, თურმე, სამი წელი იდგა და აგროვებდა კომპრომატებს ჩემზე, ჩვენს გუნდზე და გომელაური ციხეში უნდა იჯდეს.** მისი გათავისუფლება თანამდებობიდან მოხდა 2018 წელს. რატომ მოხდა, ეს თვითონ ყველაზე კარგად იცის. არაერთხელ დამიცავს ის გუნდისგან. რატომ მოხდა მისი გათავისუფლება, ახლა არ ვიტყვი. **ჩემგან მუქარა არასდროს არ წასულა არავის მიმართ, რომ ოჯახის ამოწყვეტით დავმუქრებოდი. რა თქმა უნდა, აბსურდია, ტყუილია, არანაირი კავშირი არ შემდგარა.**

„აიპრესი“

**სოსო გოგაშვილი**
*სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი, პატიმარი*



ქოცებო, გავიგე მამამარჩენალს ცუდად შესრულებული დავალების გამო ძალიან დაუტუქსიხართ და **ახლა ჩემზე გენერალურ შეტევას ამზადებთ,** სადაც არსენალში ჩემი საუბრის დაჩეხვა და დამონტაჟება შეგიყვანიათ, რომელსაც გამოაქვეყნებთ.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ზურაბ ჯაფარიძისა** და ცხელი თავის მქონე, **არაკონსტიტუციური იდეებით გაჟღენთილი** მსგავსი ადამიანების გასაგონად ვიტყვი, ნებისმიერ დარღვევას ადეკვატური პასუხი გაეცემა.

„პირველი არხი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ისე არ აუდგეს გვერდები **შარვალჩახდილ ჯაფარიძეს,** რომ მან ქვეყანაში ვინმე გადაატრიალოს.

„ახალი თაობა“

ნახოს, რომ ზელენსკი არანაირი ვოლოდიმირი არ ყოფილა, არც უკრაინასთან აკავშირებს ფესვები. ის გახლდათ რუსი სცენარისტი და მსახიობი ვლადიმერი! ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ისწავლა უკრაინული. **მისი ფიგურა შექმნილია, ოღონდ, სააკაშვილისგან განსხვავებით, უფრო მობილიზებული და მომზადებულია. თვითმფრინავის დანახვაზე მიწაზე არ ფორთხავს, თუმცა, ზელენსკი არც მიაკარეს ცხელ წერტილებს, არ მიჰყავთ იმ ზონების სიახლოვეს, სადაც შეიძლება გაისროლონ.** მოკლედ, ყოველთვის მწვანე ფონზეა გადაღებული, ხოლო კადრები, სადაც ის ჩანს, დამონტაჟებულია. აი, ეს არის სიმართლე!

**— 2014 წელს, როდესაც უკრაინაში წასულ სააკაშვილს ია-ვარდები დაუფინეს, ეს პროცესები უკვე დაწყებული იყო?**

— ზელენსკის სახით ახალი კადრი იმთავითვე იზრდებოდა და სააკაშვილს მისთვის თავისი გამოცდილება უნდა გაეზიარებინა. მხოლოდ ერთი რამ ვერ გათვალეს სააკაშვილთან მიმართებაში — **მის რიგებში მყოფი მოღალატეები, რომლებმაც შეაგულიანეს და საქართველოში შემოიტყუეს, თითქოს მის დასაცავად ქუჩაში მილიონამდე კაცი გამოვიდოდა.** დღეს სააკაშვილი უკვე თავადაც ხვდება, რომ თამაში დასრულებულია და ციხეში კიდევ კარგა ხანს მოუწევს ჯდომა!

**— თუმცა, ნაციონალების ვიშვიში გრძელდება — ამჯერად, რუსი ტურისტებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას ითხოვენ...**

— ანტირუსულ განცხადებებს თავად ნაციონალების განცხადებები და ნამოქმედარი უნდა დაუპირისპირონ. ყოველდღე უნდა აჩვენონ კადრები, როგორ შემოიღო სააკაშვილმა უვიზო რეჟიმი რუსებისთვის, როგორ აუნთო მათ მწვანე შუქი, სამწუხაროდ, პიარი სწორი მიმართულებით არ მიდის, არადა, დანაშაულებრივი ქმედებების გამო დასჯილებიც კი უნდა იყვნენ.

ამ ზაფხულს ძალიან ბევრ ადგილას ვიყავი და არავინ არავის ერჩის. დიდი ალბათობით, თავიანთ უფროსებთან იწერენ ქულებს, დებენ ვიდეოებს, რომ რაღაც გააფუჭეს. არ გამოვრიცხავ, ის რუსებიც ამ ბინძურ სქემაში იყვნენ ჩართული. ესეც ქვეყნის არევის ერთ-ერთი გეგმაა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არ მოხდება, **არ აირევა ამ ქვეყანაში ისე სიტუაცია, რომ სააკაშვილმა გული მოიფხანოს!**

ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, ზელენსკი პუტინის თამაშს თამაშობს და ამ ყველაფრის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერებულ რუსეთს მივიღებთ.

**— ტელეკომპანიები რომ სულ სხვა ინფორმაციებს იუწყებიან? ბევრი დღეებსაც კი ითვლის უკრაინის საბოლოო გამარჯვებამდე...**

— მოღალატეობრივი პოზიციაა, ხალხს სიმართლე დაუმალო და ცრუ იმედებით, ტყუილში აცხოვრო. არავის ინტერესში არ არის წაგებული უკრაინა, მაგრამ ვაი, რომ ასეა! ომის დაწყების შემდეგ რუსეთი უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე მანამდე იყო. ამას ციფრებიც ადასტურებს. საკმაოდ ხისტი მოთამაშეა. იმ ტერიტორიებს იბრუნებს, რომელზეც 2014 წლიდან მიდის ბრძოლა. არავის ეგონოს, რომ პატარა ტერიტორიებია, თითო, ლამის, მთელი საქართველოს ოდენაა. **ხრიკები იყო — პუტინი ცუდად არის, კვდება, ყველაფერი გაჩერდა და ა. შ. ამ დროს რუსეთი ხრძანგრძლივი ომისთვის ემზადებოდა. მის ინტერესში შედის, ეს ომი ზამთრამდე გაგრძელდეს, რომ შემცივნებულ ევროპას საბოლოო დარტყმა მიაყენოს.** ეს არის რეალობა და ჩვენ უნდა შევძლოთ ამ რეალობიდან ნაკლები დანაკარგით გამოსვლა, რათა გაძლიერებული ურჩხულის კუდი არ მოგვხვდეს!

**— მაინც, რა უნდა გავაკეთოთ?**

— სასწრაფოდ არის რუსეთში პოლიტოლოგები და ჟურნალისტები გასაგზავნი. რუსულ სატელევიზიო გადაცემებში საქართველოს ინტერესების დამცველი პოზიციაც უნდა დაფიქსირდეს. **წარმოიდგინეთ, ანალიტიკურ გადაცემებში მონაწილეობას იღებენ ისრაელის, გერმანიის, უკრაინის, ბელარუსის, პოლონეთის წარმომადგენლები და იქ არ ზის ქართველი.** საქართველოზე უჩვენოდ ლაპარაკობენ. განაია ომი აქვთ და უკრაინელი ანალიტიკოსები იღებენ გადაცემაში მონაწილეობას, ჩვენ რატომ არ უნდა ვიყოთ იქ?! **ზუსტად იმ აგიტატორებთან უნდა დავსხდეთ სალაპარაკოდ და შევძლოთ ჩვენი სიმართლის დამტკიცება.** პირადად მე, მზად ვარ, დავიცვა ჩემი ქვეყნის ინტერესები ისევე, როგორც ეს ორიოდე წლის წინათ გავაკეთე. კარგად მახსოვს ის გადაცემა, როცა რუსებმა ჩემგან გაიგეს ცალმხრივი სავიზო რეჟიმის შესახებ.

**— წარმოგიდგენიათ, რა შეფასებები მოჰყვება ამას?**

**— იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ვინ რას იტყვის, არამედ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ იქ ჩავიდეთ და მათივე ტელევიზიებიდან ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია, რომ აფხაზებისა და ოსების უკან რუსები იდგნენ!**

ისიც უნდა ვთქვათ, რას ვაპირებთ ნატოსთან მიმართებაში, ვართ თუ არა ბუფერული ზონა და ა.შ. **რუსეთში იმისთვის კი არ უნდა წავიდეთ, რომ მათთვის მაამებლური განცხადება გავაკეთოთ, არამედ იმისთვის, რომ ტერიტორიების დასაბრუნებლად ერთი ნაბიჯი მაინც გადავდგათ წინ.**

**თუ თურქეთმა მოახერხა, თან ნატოს წევრი ქვეყანა იყოს, თან ევროკავშირის განევრიანების რიგში იდგეს და დღევანდელ მოლაპარაკებებშიც ლიდერობდეს, ჩვენ რატომ არ უნდა ვიმოქმედოთ?!**

ჩაკეტილი დოგმებიდან უნდა გამოვიდეთ და ყველას შევახსენოთ — **ანწუხელიძეს რომ კლავდნენ, მაშინ მთავრობის წევრები წითელ ხიდზე გარბოდნენ!** სწორი პოლიტიკა რომ ყოფილიყო, გიორგი ანწუხელიძე 38 წელს თავის ოჯახთან ერთად შეხვდებოდა. მართალია, ეს ყველაფერი დაგვიანებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არის დრო სამოქმედოდ და **არ უნდა ავყვეთ იმ ყბედ მედიებს, რომლებიც ნაცების ნარატივს ზიუტად იმეორებენ!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



# „ომის დაწყების შემდეგ რუსეთი უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე მანამდე იყო!“

# „სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს კანონი და ქვეყანაში მცხოვრები ქართველების რაოდენობის მიხედვით დაწესდეს შემომსვლელთა და დასაქმებულთა ზღვარი!“

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლება“ ლიდერი*



სექტემბრიდან **დაუმორჩილებლობა, პროტესტი, საბოტაჟი, პარალიზება ქვეყნის მასშტაბით.** იდეების მოფიქრება თუ არ არის თქვენი ძლიერი მხარე და ვერც ფიზიკურად ახერხებთ საპროტესტო აქტივობებში მონაწილეობას, **შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ ფულით.**

„ახალი თაობა“

**მალხაზ მაჩალიკაშვილი**
*პანკისის სპეცოპერაციის შედეგად მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამა*



**„ქოცის“ 70 პროცენტი,** სუსი, პროკურატურა, სასამართლო, პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი **ერთი ნეხვი ხართ,** რომელიც უკვე ძაან ყარს. და შენც **ამავე ნეხვიდან აღმოცენებული ერთი თესლის ნაწილი ხარ ღობაშვილო,** რომელიც უკვე ლპება და ცდილობს, ისევ ფესვები გაიდგას. არ გამოგივა.

„ალია“

**ელენე ხოშტარია**
*მოძრაობა „დროას“ დამფუძნებელი*



„ქართული ოცნების“ პირობებში საქართველოს **ევროპული პერსპექტივა** არ გააჩნია!

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



ნაციონალურმა მოძრაობამ **გამარჯვების გასაღები** დიდი ხნით დაკარგა.

„ახალი თაობა“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



საბჭოთა კავშირმა დაიხია უკან და ესენი ვინ არიან. **უნდა ვაიძულოთ.** სხვაგვარად დამოუკიდებლობას დავკარგავთ.

„ახალი თაობა“

# სააკაშვილი

***მას შემდეგ, რაც კლინიკა „ვივამედსა“ თუ „ვავამედში“ გამომწყვდეულმა სააკაშვილმა სოციალური ქსელების მეშვეობით უკრაინის ომში წასვლის სურვილი გაგვიმჟღავნა, წინამდებარე წერილს, ალბათ, ასეთი სათაური უფრო მოუხდებოდა — „სააკაშვილი ომში მიდის“! მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ, სადაც გინდა, წავიდეს და რამდენიც გინდა, იაფერისტოს, ნაცსექტის რაიხსფიურერს ბოლოს აუცილებლად ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ანუ საგიჟეთში გაკოჭილს ვნახავთ.***






Я в колонії, ув'язнений в Грузии
але моє серце в Україні. Моє здоров'я
підірвано, але хочу, щоб співгромадяни
українці знали, що мене підтримує
духовно та фізично героїзм наших
солдат, єдність народу, лідерство прези-
дента Зеленського, підтримка всього
світу України та моя власна безмежна
віра в перемогу

Я хочу свободи для України
і хочу безпосередньо брати участь
у боротьбі і впевнений, що Українці
своїх не кидають і будуть пам'ятати
про мене

М. Саак

რაც შეეხება **სააკაშვილის** ზემოხსენებულ ე.წ. ფეისბუქ-პოსტს, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ასე ჟღერს:

***„მე ვარ ტყვე საქართველოს ციხეში, თუმცა, ჩემი გული უკრაინაშია. ჩემი ჯანმრთელობა განადგურდა, თუმცა, მსურს, უკრაინელმა თანამემამულეებმა იცოდნენ, რომ სულიერად და ფიზიკურად მეხმარება ჩვენი ჯარისკაცების გმირობა, ხალხის ერთიანობა, პრეზიდენტ ზელენსკის ლიდერობა, უკრაინისადმი მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა და გამარჯვებაზე ჩემი უსაზღვრო რწმენა. მე მსურს, უკრაინა იყოს თავისუფალი და მინდა, რომ ბრძოლაში მივიღო მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინელები თავისიანს არ მიატოვებენ, ვემახსოვრები!“***

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **სააკაშვილი საქართველოდან გაძრომისა და მართლმსაჯულებისთვის თავის დაღწევის მიზნით „ომში წასვლის“ სურვილს არც მაშინ მალავდა, როცა სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან ორსაათიან მოხსენებებს კითხულობდა და მოსამართლეები და პროკურორები ამ ყველაფერს გამოშტერებული უსმენდნენ.** აი, მაგალითად, მისი ერთ-ერთი განცხადება სასამართლო სხდომიდან:

***„მე ბევრი რამე გამოვიცანი ზუსტად, მაგრამ ამ ომის თარიღები რომ ზუსტად მცოდნოდა, მე ახლა ვიქნებოდი ფრონტის წინა ხაზზე და არანაირად არ ვიქნებოდი იქ, სადაც ახლა ვარ, ამ შუშის უკან!“***

ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ჩამოჰგავს **ეფრეიტორ ადოლფ ჰიტლერის** თავგადაკლულ სურვილს, პირველ მსოფლიო ომში იარაღით ხელში ებრძოლა სამშობლოს დასაცავად, თუმცა, როგორც ცნობილია, მისი პატრიოტული აღტყინება 1915 წლის 22 აპრილს ბელგიურ ქალაქ იპრთან ჩაფლავდა, სადაც გერმანელებმა მსოფლიოში პირველად ქლორის გაზი, ანუ **ე.წ. იპრიტი** გამოიყენეს. მოგეხსენებათ, **გერმანელებისდა საუბედუროდ, ქარმა მაშინ მოულოდნელად მიმართულება იცვალა და ჰაერში გაფრქვეული მომწამვლელი გაზი მათივე პოზიციებისკენ წამოიღო,** რასაც შედეგად დაახლოებით 15 ათასამდე ჯარისკაცის ინტოქსიკაცია მოჰყვა; მათ შორის აღმოჩნდა **ჰიტლერიც,** რომელიც სიკვდილს ძლივს გადაურჩა და კარგა ხნის განმავლობაში ფაღარათისგან იტანჯებოდა.

**მართალია, ახალგაზრდა ჰიტლერი ქალაქ იპრთან მოიწამლა და ფაღარათიც აიტეხა, მაგრამ სააკაშვილის მსგავსად არ ჩაუსვრია;** სხვათაშორის, მრისხანე ფიურერს, რომელმაც მთელი ევროპა სულ რამდენიმე თვეში დააჩოქა, როცა თავის პირველ საბრძოლო ნათლობას იხსენებდა, თავის მართლება არსად უცდია. სამაგიეროდ, სააკაშვილმა უკადრებელი იკადრა და სასამართლო დარბაზში 2008 წლის აგვისტოს ომზე უსირცხვილოდ განაცხადა:

***„მე ძალიან კარგად მახსოვს, როგორი ორგანიზებულები ვიყავით ომის დროს. არავინ არ გაქცეულა. ყველა, ვინც იყო წასული, უკან დაბრუნდა სხვადასხვა გზებით. მე ხო არ გავქცეულვარ და არ გავქცეულვარ. მიწაზე დაფორთხავდაო. მიწაზე კი არ დავფორთხავდი, წინა ხაზზე ვიყავი. იმიტომ რომ, იქ წყდებოდა საქართველოს ბედი. ახლა ჩვენ შევდივართ ძალიან დიდ ეპოქაში. როცა თურქ-სელჩუკები იშლებოდა დავით აღმაშენებლის დროს, ისე იშლება ახლა რუსეთის იმპერია. ამიტომ ის, რა თქმა უნდა, დაანგრევს ახლა კიევის ბევრ ადგილს!“***

ამას ამბობს აფერისტი და ქვეგამხედვარი, რომლის მინისტრებიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს წითელ ხიდზე ერთმანეთს ჯორებივით ახტებოდნენ და სამსახურში აზერბაიჯანიდან, კერძოდ, ჰეიდარ ალიევის სახელობის სპორტული კომპლექსიდან დადიოდნენ, რადგან რუსების შიშით საქართველოდან მოცოცხეს და აზერბაიჯანის ტერიტორიას აფარებდნენ თავს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ, როგორც **პიპინია ერისთავმა** გამოასწრო პორტ-არტურიდან თავის ცხენს, სააკაშვილის „გენერლებმაც“, რომლებიც მანამდე მშვიდობიანი მიტინგების დარბევაში იყვნენ გაწაფული, ცხინვალიდან და გორიდან ქართულ ტანკებს „დაუაბგონეს“, ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა მიატოვეს და ასეული მილიონობით ღირებულების ტექნიკა, მათ შორის, ისრაელის მიერ ახლად გარემონტებული და მოდერნიზებული 26 ერთეული „ტ-75“ ტანკი ხელუხლებლად, საწვავით სავსე ავზებით მტერს ჩააბარეს. სამწუხაროდ, ე.წ. **„გენერალ“ კალანდაძეს,** რომელიც მსახიობ **გოგოლა კალანდაძის ძმა** გახლავთ და რომელსაც მიზეზთა და მიზეზთა გამო სააკაშვილმა უმაღლესი სამხედრო ჩინი უბოძა, ამ ყველაფრისთვის **პასუხი დღემდე არ უგია...**

## ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ჩამოჰგავს ეფრეიტორ ადოლფ ჰიტლერის თავგადაკლულ სურვილს, პირველ მსოფლიო ომში იარაღით ხელში ებრძოლა სამშობლოს დასაცავად!

ომის დანაშაულისთვის **პასუხი არ უგიათ დავით კეზერაშვილს, ზურაბ ადეიშვილს, ვანო მერაბიშვილს, ბათუ ქუთელიას, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას, ძმებ ახალაიებსა** და ყველა იმ მაღალჩინოსანს, რომელთა სიცვედნით, ცრუქაქუნობითა და ღალატით საქართველომ ძირძველი ტერიტორიები დათმო.

**ამას ამბობს ნაპრეზიდენტალი,** რომელმაც კოდორისა და ახალგორის ქართველობა ტყვიის გასროლის გარეშე **ჩააბარა** რუსებს, მთლიანად დათმო ეს ტერიტორიები, **დათმო** მამისონის უღელტეხილი, **დათმო, გაყიდა ან გააჩუქა** ყველა სტრატეგიული სიმაღლე, მათ შორის, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის მონაკვეთზე მდებარე ჩიჩხიტურის კოშკი **და დახვრიტა, აწამა ან შავი ზღვის წყალქვეშა სასაფლაოზე ჩაფლა** ყველა ის **როინ შავაძე** და **დავით ცინდელიანი,** ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ სიმართლე არ დამალა!



**ამას ამბობს გარყვნილი და ზნედაცემული სააკაშვილი,** რომელმაც აგვისტოს ომის დროს მიატოვა ბრძოლაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ცხედრები და რომ არა საქართველოს ეკლესია, ცხინვალში, ერგნეთსა თუ ნიქოზში დაღუპული ჩვენი გმირების დამწვარ ძვალსა და ხორცს ყვავ-ყორნები და მხეცები დაგლეჯდნენ.

**ამას ამბობს მართლაცდა ჩასვრილი არაკაცი,** რომელსაც, ბედის ირონიით „საქართველოს მთავარსარდალი“ ერქვა და მაშინ, როცა კოდორის, ახალგორისა და სამაჩაბლოს მიწა ქართველი კაცის ცოდვით

## მართალია, ახალგაზრდა ჰიტლერი ქალაქ იპრთან მოიწამლა და ფაღარათიც აიტეხა, მაგრამ სააკაშვილის მსგავსად არ ჩაუსვრია!

## კვირგვინოსნები

### ზაზა შათირიშვილი
*ფილოსოფოსი*



ის ფაქტი, რომ **კელი დეგნანი** ჯიუტად არ პასუხობს საქართველოს პარლამენტის წევრების შეკითხვებს, წარმოადგენს იმ **კოლონიური დამოკიდებულების** შედეგს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ აქვს ადგილი. გარედან მართული სასამართლოს პირობებში, ყოველგვარ სახელმწიფო სუვერენიტეტზე ლაპარაკი ზედმეტია, **სასამართლო სისტემის ამერიკელებისთვის დათმობა ყველაზე დიდი ღალატი იქნება.**

„პირველი არხი“

### მიხეილ ყაველაშვილი
*პარლამენტარი*



შევახსენებ ქალბატონ დეგნანს, რომ **„გავრილოვის ღამე“ და ძალადობრივი აქტი ჩაიდინეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა** და მისმა მხარდამჭერებმა. არ შეიძლება სასამართლო სისტემაში არსებობდნენ **პოლიტიკური ნიშნით და სიმპათიებით წარმოდგენილი მოსამართლეები,** ჩვენ გვჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.

„იმედინიუსი“

### კელი დეგნანი
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



**„გავრილოვის ღამე“,** ანტიდემოკრატიულობა — **აქედანაა პოლარიზაცია.**

„ახალი თაობა“

### სანდრო რაქვიაშვილი
*„გირჩის“ წევრი*



**„გავრილოვის ღამე“** მიღებული ტერმინია, კონკრეტულ დეპუტატებს რომ რაღაც ტერმინები არ მოეწონათ, მიუთითებს, რომ არ გააჩნიათ ელჩის მიმართ ნამდვილი პრეტენზიები.

„რეზონანსი“

# ხონში მიდის!

იწვოდა, პორნომასაჟისტ „დოქტორ დოტთან“ ერთად ნებივრობდა, ხოლო რუსთაველზე ხალხს აცეკვებდა — **ომი მოვიგეთ!**

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ცხონებულმა **თამაზ წივწივაძემ** გორში ჩასვრილი და მიწაზე მფორთხავი სააკაშვილი ჩვეული ირონიითა და ენაკვიმატობით ცოცხლად დამარხა და შეაჩვენა, როცა დაწერა — **სააკაშვილი გორში სპრინტერივით იმიტომ გაიქცა, რომ უნდოდა, რუსების თვითმფრინავები ქალაქიდან გაეტყუებინაო!** ეტყობა, ამ სულელმა, რომელიც გორში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თავზე გადაახტა, მიწაზე იფორთხა და მერე ჰალსტუხი შეჭამა, მართლა დაიჯერა ის, რაზეც **თამაზ წივწივაძემ** ასე ოსტატურად იხუმრა. **აი, ასეთი კაცი, ასეთი ნაძირალა და მართლაცდა ჩასვრილი და ამორალური რეზიდენტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა და ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა ჩასვეს, უკრაინისკენ იწევს — გამიშვით, წინა ხაზზე უნდა ვიომოო!**

სააკაშვილი რისი მეომარია, ყველამ ვიცით, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რატომ გასამართლდა სააკაშვილი მხოლოდ 9 მილიონის მიტაცების გამო და დღევანდელი ხელისუფლება რატომ არ ინტერესდება 2008 წლის ომის დროს ჩადენილი იმ ღალატით, რასაც საქართველოს ძირძველი ტერიტორიების ოკუპაცია და დაკარგვა მოჰყვა?

დავუშვათ, ეს ხელისუფლება ჭკუიდან გადავიდა, სააკაშვილი გამოუშვა და მართლაც უკრაინის ომში გაუშვა! **იცით, თუ არა, პატივცემულო მკითხველო, რომ ამ მართლაცდა მატრაბაზს, თავის პირით აქვს აღიარებული, რომ ცოტა ჭანჭიკები აქვს მოშვებული და მთლად კარგად ვერ არის?** აი, მოუსმინეთ, რას ამბობს:

***„ციხეებში გადატანილი ტრავმების შედეგად, მე განმივითარდა მძიმე ნევროლოგიური მდგომარეობა, რაც მოითხოვს დაუყოვნებლივ მკურნალობას. ამიტომ მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, რომ დათანხმდეს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადებას, მოახდინოს ჩემი სამედიცინო ტრანსფერი ქალაქ კიევში და დროებით გადამივადოს სასჯელი, სანამ სიტუაცია არ დასტაბილურდება.*** *მე ვარ უკრაინის მოქალაქე, მე ვარ უკრაინის რეფორმების საბჭოს თავმჯდომარე, ჩემი ოფისი განლაგებულია პირდაპირ პრეზიდენტ ზელენსკის ოფისის გვერდით. როგორც კი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტაბილურდება და, ზოგადად, სიტუაცია ოდნავ დასტაბილურდება, ამის შემდეგ გაძლევთ ჩემს პატიოსან სიტყვას და ამ სიტყვას არასდროს გადავდივარ, ვთქვი, რომ ჩამოვალ და ჩამოვედი. ვიცოდი, რითი დამთავრდებოდა, ჰო?* ***თუ გადაწყვეტთ ამ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას, რომელსაც მე უსამართლოდ მივიჩნევ, პირველივე გამოძახებაზე ჩამოვალ თბილისში და თქვენ იცით, რომ ეს ასე იქნება. რა თქმა უნდა, თუ ცოცხალი დავრჩი, ამ ყველაფრის შემდეგ, რაც იქ ხდება!“***





მოკლედ, სააკაშვილი აღიარებს, რომ უმძიმესი ნევროლოგიური მდგომარეობა აქვს, რაც სიმართლეა, მაგრამ **საქართველოს უბედურება სწორედ ისაა, რომ ეს ავადმყოფობა მისი პატიმრობით არ არის გამოწვეული. სააკაშვილი ამ სენით ბავშვობიდან იტანჯება და ყველამ იცის, რომ გიული ალასანია შვილს ცნობილ პროფესორებთან ჯერ კიდევ პატარაობიდან მკურნალობდა.** დიახ, სააკაშვილს **ბიპოლარული აშლილობა** ბავშვობიდან ტანჯავს, მაგრამ ახლა, როცა ის პატიმარია, დაავადება, ცხადია, უფრო დამძიმდა და სააკაშვილს ყველაფერი მოეშალა.

**როგორც უზნეო მეძავის ცრემლებს, ისე სააკაშვილის „პატიოსან სიტყვას“ ვერ ენდობი! ასევე არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ომში წასვლა...**

## როგორც უზნეო მეძავის ცრემლებს, ისე სააკაშვილის „პატიოსან სიტყვას“ ვერ ენდობი!

ჯერ ერთი, არ შეიძლება იმიტომ, რომ **სააკაშვილი გენეტიკურად მოღალატეა, უკრაინას კი მოღალატეები და პუტინის აგენტები არ აკლია!** მერწმუნეთ, შორს არ არის ის დრო, როცა გამოქვეყნდება სპეცდოკუმენტები და აღმოჩნდება, რომ ნაძირალა **დავით არახამიათი** დაწყებული, **მიხეილ პოდოლიაკით, ოლექსეი არესტოვიჩითა თუ გერაშჩენკო-დანილოვით** დამთავრებული, თურმე, სუყველანი რუსეთის აგენტები ყოფილან!

მესამე და ყველაზე მთავარი — **სააკაშვილის ომში წასვლა არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ქმედუუნაროა, ბიპოლარულად აშლილი და შეშლილია და მისი გაგზავნა ნებისმიერ საბრძოლო დავალებაზე დასრულდება ზუსტად ისეთივე ტრაგიკომედიით, რაც ასე გენიალურად და კომიკურად არის ნაჩვენები ფრანგულ კინოშედევრში — „დიდი გასეირნება“, როცა ბრუციანი ფაშისტი მეტყვიამფრქვევე მტრის ნაცვლად ფაშისტების თვითმფრინავს ჩამოაგდებს!**

ასე რომ, შეშლილი და ბიპოლარულად აშლილი სააკაშვილი გაუშვით **ხონში და არა ომში!**






*კადრი ფილმიდან „დიდი გასეირნება“. 1966 წელი*

**სააკაშვილის ომში წასვლა არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ მისი გაგზავნა ნებისმიერ საბრძოლო დავალებაზე დასრულდება ზუსტად ისეთივე ტრაგიკომედიით, რაც ასე გენიალურად და კომიკურად არის ნაჩვენები ფრანგულ კინოშედევრში — „დიდი გასეირნება“, როცა ბრუციანი ფაშისტი მეტყვიამფრქვევე მტრის ნაცვლად თავისიანების თვითმფრინავს ჩამოაგდებს!**

### ბოლოთქმა

წინამდებარე წერილი დაიწერა ჩემს მშობლიურ **უხუთში,** რომელიც, ლურჯი მთების, თავანკარა მდინარეების, მშრომელი და პურმარილიანი ხალხის წყალობით, პირადად მე დედამიწის ჭიპი მგონია, თუმცა, ბაღდათთან განსაკუთრებული სიახლოვის მიუხედავად, რატომღაც მაინც ვანის მუნიციპალიტეტს მიაკუთვნეს!

ეს ის **ვანია,** სადაც რწყილი გაატყავეს და **ხონელებმა** საცოდავი მწერი რომ ნახეს, ერთი ამბავი ქნეს — **ეს რამდენი ქონი გაუყოლებიათო!**

ჰოდა, ძვირფასო ხელისუფლებავ, **თუ გინდათ, რომ სააკაშვილი განქონოთ და გადამალული მილიარდები დააყაჭვინოთ, სწორედ ხონში გაგზავნეთ!** სხვა მხრივ, სააკაშვილის სადმე გაგზავნას აზრი არა აქვს, რადგან მკურნალობას არ ექვემდებარება!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*



ვერანაირი ოპოზიცია, მითუმეტეს, **გაკოტრებული ოპოზიცია,** ვერ მოახერხებდა იმას, რომ მომხდარიყო **უგულავა-ოქრუაშვილის** გამოშვება და სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულებელყოფა. **შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით** მთელი საქართველო კი არა, მთელი ევროპა და მთელი მსოფლიო პირდაპირ ეთერში უყურებდა, როგორ ხდებოდა ხელისუფლებაზე ზეწოლა.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო ექსპერტი*



ქართულ პოლიტიკას **ქარიზმატული ლიდერები** სჭირდება. არა აქვს მნიშვნელობა, **სააკაშვილი** იქნება, **ივანიშვილი, გამსახურდია** თუ **შევარდნაძე.** სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლაზე მარტო არ არის საუბარი, **მან საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს და აღიაროს ის დანაშაულები, რაც ჩაიდინა.** ხალხი ისევ ელოდება **ივანიშვილს,** რადგან სხვა **ქარიზმატული ლიდერები** არ არსებობენ.

„FOR.GE“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**ივანიშვილი** პირისპირ გვტოვებს რუსეთთან. „ოცნება“ აცხადებს, **ივანიშვილი** ოლიგარქი არ არის, სასამართლოში კლანი არ არისო და ჩვენ რაზე უნდა შევუთანხმდეთ?

„ახალი თაობა“

**კახა მიქაია**
*პოლიტოლოგი*



დღეს **ქართული ოპოზიცია** არ არსებობს! **ჩვენი ოპოზიცია** არის ბოლომდე დისკრედიტირებული!

„ალია“

# საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების დიქტატურა უნდა დამთავრდეს!

*დედამიწის ზურგზე მუდამ არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ ქვეყნები, რომელთათვისაც მთავრობების დიქტატურა უცხო არ არის, მაგრამ მსოფლიოში ძალიან ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნება, სადაც არასამთავრობოების დიქტატურა ჰყიებს.*

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

საქართველო სწორედ იმ უიშვიათესი ქვეყნების რიგს ეკუთვნის, სადაც **სამთავრობო დიქტატურა** არ არსებობს, მაგრამ არსებობს **არასამთავრობო დიქტატურა!**

თანაც, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ქართველებმა კარგად დავინახეთ და შევიგრძენით, რომ **არასამთავრობოების დიქტატურა მთავრობის დიქტატურაზე** არანაკლებ საშიში და საზიზღარია.

ის კი არა, ხშირ შემთხვევაში, **არასამთავრობოების დიქტატურას** ქვეყნისა და ხალხისათვის გაცილებით მძიმე შედეგები მოაქვს, ვიდრე **სამთავრობო დიქტატურას!**

უნდა დავაკონკრეტოთ, რომ საქართველოში იმ **არასამთავრობო ორგანიზაციების დიქტატურაა** დამყარებული, რომლებიც ამერიკული და ევროპული ფონდებიდან ათეულობით მილიონი დოლარის დაფინანსებას იღებენ. შესაბამისად, ქართულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა ძალიან მდიდარი და გავლენიანი **არასამთავრობოების, ანუ ენჯეოების კასტა,** რომლებიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ.

ევრო-ამერიკული ფონდებიდან მსუყედ დაფინანსებული მდიდარი და გავლენიანი ქართული ენჯეოების ძირითადი ფუნქცია გახლავთ, საქართველოში ლობირება გაუწიონ იმ ქვეყნების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ინტერესებს, საიდანაც ფულს იღებენ. პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს მდიდარი და გავლენიანი ენჯეოები წარმოადგენენ უცხო ქვეყნების, მათ შორის, დიდი ალბათობით, უცხოური სპეცსამსახურების რეზიდენტებს, რომლებიც მუდმივად მზად არიან, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ გაილაშქრონ, თუ ეს ინტერესები მათი დამფინანსებელი უცხო ქვეყნების ნება-სურვილებს არ ემთხვევა.

ასე და ამრიგად, მდიდარმა და გავლენიანმა ენჯეოებმა შეძლეს, საქართველოში დაემყარებინათ **არასამთავრობო დიქტატურა,** რომელიც ცხვირს ჰყოფს, ხელებს აფათურებს და საკუთარ პირობებსა თუ ულტიმატუმებს აყენებს ყველგან — პოლიტიკაში, მედიაში, ბიზნესში, სასამართლო სისტემაში, არჩევნებში, კულტურაში, სპორტში და განათლების სისტემაში.

საქართველოში დამყარებული **არასამთავრობო დიქტატურის** ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ **„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“,** რომლის გრძელი სახელის დამახსოვრებაც ზოგს უჭირს, ზოგს კი წარმოთქმა ეზარება და ამიტომაც ყველა შემოკლებით მოიხსენიებს — **„სამართლიანი არჩევნები“.**





ეკა გიგაური, ბაია პატარაია, ნიკა სიმონიშვილი

**უკვე ნამდვილად დადგა დრო, ქართული სახელმწიფო კაპიტან გიგაურის, ბაია პატარაიას, თამარ კინწურაშვილის, „საიას“ თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილის, „სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარე ნინო დოლიძისა და მსგავსთა მათთა დიქტატისაგან სამუდამოდ გათავისუფლდეს!**





ნინო დოლიძე, თამარ კინწურაშვილი

ეს ის **„სამართლიანი არჩევნებია“,** რომელმაც 2020 წელს საქართველოში ლამის სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვია, რადგან საპარლამენტო არჩევნებში ხმების პარალელური დათვლის ყალბი შედეგები გამოაქვეყნა. კერძოდ, „სამართლიანი არჩევნების“ მიერ ჩატარებული პარალელური დათვლის შედეგები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ მონაცემებს არ დაემთხვა, რაც არჩევნებში დამარცხებულმა ნაცოპოზიციამ ხელზე დაიხვია, არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა, პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა და პერმანენტული ქუჩის აქციები წამოიწყო.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ რევანშისტულ ნაცოპოზიციას „არჩევნების გაყალბების“ მოტივით ხალხი ქუჩაში ვერ გამოჰყავდა და რევოლუციას ვერ ახდენდა, არასამთავრობო ორგანიზაცია **„სამართლიანმა არჩევნებმა“** ხმების პარალელურ დათვლაში დაშვებული „ადამიანური შეცდომა“ აღიარა — ნამდვილ ხმებთან ერთად ბათილი ბიულეტენებიც დავითვალეთ და ცესკო-ს მონაცემებთან აცდენა ამან გამოიწვიაო! რეალურად, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ შეცდომა კი არ დაუშვა, ხმების პარალელური დათვლის შედეგები შეგნებულად გააყალბა, რათა მასების აღშფოთება გამოეწვია და ნაცოპოზიციის რევოლუციურ სცენარში საკუთარი როლი შეესრულებინა.

ყოველივე ამის შემდეგ ენჯეო „სამართლიან არჩევნებს“, წესით, თავზე ნაცარი უნდა დაეყარა, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე ბოდიში მოეხადა და ფუნქციონირება სამუდამოდ შეეწყვიტა, მაგრამ დღესაც ძველებურად ყელყელაობს და პროტესტსაც კი გამოთქვამს იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმ სამუშაო ჯგუფში არ შემიყვანა, რომელმაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულება უნდა უზრუნველყოს!

აი, ასეთი უმორალო, უსირცხვილო და უტიფარია საქართველოში დამყარებული **არასამთავრობო დიქტატურა!**

„ქართული ოცნება“, დიახაც, ძალიან სწორად და სამართლიანად მოიქცა, როცა ენჯეო დიქტატურის წარმომადგენელი ევროკომისიის რეკომენდაციათა შესრულების სამუშაო ჯგუფში არ შეიყვანა და მიზეზიც განმარტა — ორიოდე თვის წინათ „სამართლიანმა არჩევნებმა“, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, პარლამენტს ერთკვირიანი ულტიმატუმი წაუყენა, რომ მთავრობა დაეთხოვა და ჩამოეყალიბებინა ე.წ. **ტექნიკური მთავრობა,** რომლის ფორმირების პროცესშიც არასამთავრობო სექტორს ვეტოს უფლება ექნებოდა! ახლა ხელისუფლება ითხოვს, რომ „სამართლიანი არჩევნები“ ამ პოლიტიკურ ულტიმატუმს საჯაროდ გაემიჯნოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ ევროკომისიის რეკომენდაციათა შესრულების სამუშაო ჯგუფში!

სრულიად ლოგიკური და ობიექტური მოთხოვნაა!

ის კი არა, ევროკომისიის რეკომენდაციათა შესრულების სამუშაო ჯგუფში **„სამართლიანი არჩევნების“** არმიღება საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა დიქტატურის დასასრულის დასაწყისად უნდა იქცეს!

დიახ, უკვე ნამდვილად დადგა დრო, ქართული სახელმწიფო **კაპიტან გიგაურის, ბაია პატარაიას, თამარ კინწურაშვილის,** „საიას“ თავმჯდომარე **ნიკა სიმონიშვილის,** „სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარე **ნინო დოლიძისა** და მსგავსთა მათთა დიქტატისაგან სამუდამოდ გათავისუფლდეს!

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას, რომელიც ლომჯარია-გიგაურ-კინწურაშვილ-სიმონიშვილ-დოლიძეების პერმანენტული პოლიტიკური შანტაჟის ქვეშ იმყოფება, არათუ ევროპული მომავალი, არამედ, საერთოდ, ხვალინდელი დღე არ უწერია!**

მისასალმებელია, რომ საქართველოს მთავრობამ, ბოლოს და ბოლოს, არასამთავრობო დიქტატურის წინააღმდეგ ხმის ამოღება გაბედა, მაგრამ საქმე ბოლომდეა მისაყვანი და ამ საქმეში „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად ექნება ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის მხარდაჭერა!

**ქართველი ხალხი, რომელმაც სააკაშვილის მთავრობის ავტორიტარიზმი დაასრულა, არასამთავრობოების დიქტატურასაც წერტილს დაუსვამს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



ომის დაწყებიდან 36-ე დღეს, 2022 წლის 30 მარტს, **არახამიას მიერ ლობირებული კრიმინალური ავტორიტეტის — ბორის ბაუმის** ორმა კომპანიამ — ტოტალიზატორმა და ონლაინკაზინომ უკრაინის ტერიტორიაზე ლიცენზია მიიღეს. ცნობილია, რომ **ეს კომპანია გამოირჩევა რუსეთის მხარდაჭერით რუსეთ-უკრაინის ომში.** აი, ამ კომპანიასა და კრიმინალურ ავტორიტეტს **ბორის ბაუმს** ლობირებს „რუსეთის დაუძინებელი მტერი“ და უკრაინის „პატრიოტი“ **დავით არახამია.**

„იმედინიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*მოძრაობა „აი ისე“ დამფუძნებელი*



საზოგადოებას **რეალურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მართლმსაჯულება** უნდა და არა ამერიკის საელჩოს მიერ **პოლიტიკური მიზანშეწონილობით დაკომპლექტებული სასამართლო!** საელჩო ითხოვს ნაცმოძრაობის დამკვიდრებული პრაქტიკის გაგრძელებას, ერთი განსხვავებით — **ადეიშვილის კაბინეტის ნაცვლად** თითოეულმა მოსამართლემ განაჩენამდე **ამერიკის საელჩოს წარმომადგენლის კაბინეტი** უნდა გაიაროს.

„იმედინიუსი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



ძალიან სამწუხაროა, როდესაც **აშშ-ის ელჩის განცხადება აბსოლუტურად ჯდება იმ პათოსში, რასაც რადიკალური ოპოზიცია 20 ივნისის მოვლენებზე აჟღერებს.** შორს რომ არ წავიდეთ, არის სახდეპის დასკვნა, სადაც წერია, რომ **ეს იყო ლეგიტიმური ძალის გამოყენება და იყო უკანონო შტურმი და მცდელობა სახელმწიფო ინსტიტუციის შტურმით აღების,** რომელიც 19-20 ივნისის მოვლენებთან იყო დაკავშირებული. ამის შემდეგ ელჩის განცხადება მხოლოდ გაკვირვებას იწვევს.

„იმედინიუსი“

**კახა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



ხელისუფლება **რუსეთში მიათრევს საქართველოს** და თანხმობა ნიშნავს მასთან ერთად რუსეთისკენ წასვლას.

„ინტერპრესნიუსი“

სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, რომლებზეც უკრაინის დროშის ფერებში შეღებილი ხინკლები ჩანს. როგორც გაირკვა, ქართული საკულტო კერძის ცისფერ-ყვითლად შეღებვის იდეის ავტორიცა და შემსრულებელიც უკრაინაში მცხოვრები ქართველი შეფ-მზარეული ირაკლი ბერიძე გახლავთ.

# ამას ჰქვია

# «ჭამე და მოისაქმე უკრაინა!»

ცხადია, ქართული ხინკლის უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებში შეღებვა რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდება — **ქართველმა მზარეულმა გადაწყვიტა, უკრაინისათვის სოლიდარობა სწორედ ამ ფორმით გამოეცხადებინა.**

**ხინკალი და ომი.**
**ომი და ხინკალი.**

ასეთ დროს ქართველების უმრავლესობას მოაგონდება ანსამბლ „ივერიის" სახუმარო სიმღერა ხინკალზე, რომელშიც არის ფრაზა — **„ცივი ომის დამქაშებს არ ვაჭმოთ ხინკალი!"**

უკრაინაში მომუშავე ქართველ შეფ-მზარეულს, რომელმაც ხინკალი უკრაინის დროშის ფერებში შეღება, ალბათ, უნდოდა, ეთქვა — **„ცხელი ომის დამქაშებს არ ვაჭმოთ ხინკალი!"**

მაგრამ მოიცადეთ, აქ რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა!

**ვთქვათ, რუსული ოკუპაციის მოწინააღმდეგე უკრაინელი შედის რესტორანში ან სახინკლეში და უკვეთს ხინკალს. უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად ოფიციანტს მოაქვს ხინკლები, რომლებიც უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებშია შეღებილი. უკრაინელი იწყებს უკრაინული დროშის ფერებში შეღებილი ხინკლების ჭამას და ნება-ნება ეძლევა ნაყროვანებას.** და რა პროცესის სიმბოლიზება ხდება ამით? უკრაინელი საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოს საკუთარი პირის აპარატით აქუცმაცებს და გზავნის საჭმლის მომნელებელი სისტემისაკენ, სადაც **უკრაინის დროშის ფერებში შეღებილი საკვები ფეკალურ მასად გადაიქცევა** და ბოლოს დეფეკაციის გზით გამოიყოფა ორგანიზმიდან.

## როგორ ფიქრობთ, რუსული ოკუპაციის მოწინააღმდეგე უკრაინელი ნასიამოვნები დარჩება იმით, რომ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოს ფერებში შეღებილი კერძი ჯერ შეჭამა და მერე მოისაქმა?

აქტი, რომლის პირობითი სახელწოდებაც და სიმბოლური შინაარსიც გამოდის **„ჭამე და მოისაქმე უკრაინა"**, რომელი პატრიოტი უკრაინელისათვის უნდა იყოს პატივისცემისა და სოლიდარობის გამოხატულება?

ახლა სხვა ვარიანტიც ვნახოთ: **უკრაინის ოკუპაციის მომხრე რუსი შედის რესტორანში ან სახინკლეში და უკვეთს ხინკალს. უკრაინისადმი სოლიდარობისა და რუსეთისადმი პროტესტის ნიშნად ოფიციანტს მოაქვს ხინკლები, რომლებიც უკრაინის დროშის ფერებშია შეღებილი.**





შეფ-მზარეული ირაკლი ბერიძე

## ხინკალი უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებში არ უნდა შეღებოთ!

**უკრაინის ოკუპაციის მომხრე რუსი იწყებს უკრაინული დროშის ფერებში შეღებილი ხინკლების ჭამას და ნება-ნება ეძლევა ნაყროვანებას.** და რა პროცესის სიმბოლიზება ხდება ამით? უკრაინის ოკუპაციის მომხრე რუსი უკრაინის სახელმწიფო სიმბოლოს საკუთარი პირის აპარატით აქუცმაცებს და გზავნის საჭმლის მომნელებელი სისტემისაკენ, სადაც **უკრაინის დროშის ფერებში შეღებილი საკვები ფეკალურ მასად გადაიქცევა და ბოლოს დეფეკაციის გზით გამოიყოფა ორგანიზმიდან.**

## როგორ წარმოგიდგენიათ, უკრაინის ოკუპაციის მომხრე რუსი, რომელიც უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებში შეღებილ კერძს ჯერ გემრიელად შესანსლავს და მერე მოისაქმებს, ამით შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს თუ, პირიქით, დიდად ნასიამოვნები დარჩება?

აქტი, რომლის პირობითი სახელწოდებაც და სიმბოლური შინაარსიც გამოდის **„ჭამე და მოისაქმე უკრაინა"**, უკრაინის ოკუპაციის მომხრე რომელ რუსს არ დაუკმაყოფილებს არამხოლოდ ფიზიოლოგიურ, არამედ პოლიტიკურ და იმპერიალისტურ მადას?

ამიტომ, **„ძალიან კრეატიულმა" ტიპებმა,** სანამ უკრაინის მხარდასაჭერად **„ორიგინალური პერფორმანსის"** მოწყობას გადაწყვეტთ, **ჭკუას წიხლი დააჭირეთ და ისეთ რამეს ნუ გააკეთებთ, რაც უკრაინის სახელმწიფოებრიობასა და უკრაინელ პატრიოტებს შეურაცხყოფს, უკრაინის მტრებს კი გულს გაუხარებს და სიამოვნებას მიანიჭებს!**

უკრაინაში მცხოვრები და მომუშავე ქართველი შეფ-მზარეული **ირაკლი ბერიძეც** კარგად რომ დაფიქრებულიყო, ხინკლებს უკრაინის სახელმწიფო სიმბოლოს ფერებში არ შეღებავდა და საკუთარი რესტორნის კლიენტებს არ შესთავაზებდა — **„ჭამეთ და მოისაქმეთ უკრაინა!"**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **არ შეიძლება, ხინკლამდე და კუჭის კანონამდე იქნას დაყვანილი რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც კაცობრიობა შეაზანზარა და მსოფლიო გეოპოლიტიკა თავდაყირა დააყენა.**

და როგორია ეს კუჭის კანონი?

გენიალურ ქართულ ტელესპექტაკლში — **„ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება"** — რომლის ლიტერატურული პირველწყაროც **გურამ დოჩანაშვილის** ნაწარმოები გახლავთ, **ეროსი მანჯგალაძის პერსონაჟი შალვა კეჟერაძე გოგი გეგეჭკორის პერსონაჟ გერასიმეს** კუჭის კანონის რაობას ასე უხსნის:

*„ხინკალი, გერასიმე, რაც უფრო გშია, სანატრელია უფრო. ჰოდა, შეხვალთ სახინკლეში რამდენიმე ჯეელი. დგახარ რიგში, მაგრამ, აჰ, ჯერ სხვებს გამოაქვთ. ნერწყვი გეძალება და შენატრი იმათ. მოაღწევს ბოლოს, როგორც იქნება, შენი რიგი და მოგაწვდის, მაგრამ რას მოგაწვდის მეხინკლე იგი, უუხ, ცხელს, აორთქლებულს, ჯადოსნურ ლანგარს. სულ ციმციმ მოგაქვს და მრგვალ მაგიდას წრეს შემოარტყამთ ფეხზე დამდგარნი. მერე თქვენში ყველაზე უფრო დადებითი პიროვნება მეზობლებიდან შავ წიწაკას ინათხოვრებს და მოაყრის, მაგრამ რას მოაყრის, ჰო, ჰო, ჰო, მწვავეს, მადიანს, ველურს. მთლად ათრთოლდები, მაგრამ რად გინდა, ცხელია, კაცო, ცხელია. მერე, შე კაცო, აიღე ფრთხილად, შეუბერე სული, კარგად, დაკვირვებით, გესმის? შიგ ცენტრში რომ მოარტყა! უბერე, უბერე და მერე ფრთხილად მოკბიჩე პატარაზე და ახლა იქ ჩაბერე, ოხშივარში. ოხ, ზედ ცხვირ-პირზე გელამუნება და შეიწოვე მერე ეს გულბოხდამთუთქავი წვენი... მერე რომ აგრილდება პატარაზე, ღეჭე, ყლაპე და იფიქრე გუნებაში ნეტარივით —* ***უჰჰჰ, ამის გამკეთებელი, უუუჰჰჰჰ!*** *და მერე მორიგი ჭიპის ურნაში ჩასაგდებად დახრა რომ გაგიჭირდება, ე, მაშინ ამოიხვნეშებ და გაიფიქრებ გუნებაში —* ***ბიჭო, იქნება მეყო! ოჰ, არა, აგერ იქითას დასწვდი, მოკიდე, კაცო, ხელი, ნუ გრცხვენია, მოკიდე... სუნთქვა გიჭირს, არა? რა ვუყოთ მერე, კაცო, სირბილით ხომ არ დაღლილხარ! აი, იმ კანონს ბოლოს მაინც აღმოაჩენ, ბატონო სიმა! რომ დანაყრდები კი არა, უკაცრავად პასუხია, ვრცლად რომ გაძღები, რომ დაუძლურდები, მოფომფლოვდები, თვალზე რული ჩამოგაწვება, გუნებაში ბუნდოვნად იგრძნობ, რომ ისევ ის ბითური ხარ, რაც მანამდე იყავი, ხინკლის ჭამამდე! კუჭის კანონია ეს!"***

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ქართველ შეფ-მზარეულებსა თუ მეხინკლეებს, რომლებსაც შესაძლოა, **ირაკლი ბერიძის** მსგავსად უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად ორიგინალური გასტრონომიული პერფორმანსების მოწყობა მოუნდეთ, ერთი რჩევა მივცეთ: **ნუ შეეცდებით, რუსეთ-უკრაინის ომი კუჭის კანონამდე დაიყვანოთ, თორემ თქვენც გაბითურდებით და უკრაინასაც გააბითურებთ!**

ხომ გაიგეთ, კუჭის კანონის მიხედვით, **ბითური ხინკლის ჭამამდეც ბითურია და ხინკლის ჭამის მერეც, თუნდაც ხინკალი უკრაინის დროშის ფერებში იყოს შეღებილი!**

**ჯაბა ხუბუა**

## ნუ შეეცდებით, რუსეთ-უკრაინის ომი კუჭის კანონამდე დაიყვანოთ, თორემ თქვენც გაბითურდებით და უკრაინასაც გააბითურებთ!

## კვირგვინოსნები

**თამაზ ბეჟიაშვილი**
*ტურისტული გიდი*



ერთ-ერთი ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები ისე დათვრნენ, **ზოგიერთმა ტანსაცმელი გაიხადა და სასტუმროს ეზოში დედიშობილა დაიწყო ცეკვა.** ადმინისტრაციამ მოუწოდა, შეეწყვიტათ — თუ არ გაჩერდებით, მილიციაში დავრეკავთო! იცით, რა უპასუხეს უცხოელებმა? **ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ყველაფერი დაშვებულიაო.**

„კვირის პალიტრა"

**ნიკო ბერიძე**
*მომღერალი*



24 საათი უნიჭო ტელეშოუებში გამოჭენება ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა. **რა მაღიზიანებს, იცით? რუსული წარწერები მაღაზიებზე, მენიუებში, ბანძი რუსული სიმღერები.** და, აქედან გამომდინარე, ვინ მაღიზიანებს? ისმის კითხვა და პასუხია — **ისევ და ისევ ქართველი.** თორემ ის რუსი იქნება, უკრაინელი, ბელარუსი თუ ყაზახი, დადის მისთვის. **ისევ ქართველია უთავმოყვარეო,** რუსი კი სეირნობს.

„სარკე"

**ლევან საღდობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**ეს ოპოზიცია ამ მთავრობას ვერ შეცვლის!** „ოცნება" ჯერ კრიზისს შექმნის, ოპოზიციას აყვირებს და მერე **ვადამდელ არჩევნებს** დანიშნავს.

„ახალი თაობა"

**კახა ოქრიაშვილი**
*პარტია „ქართველი ერი და თავისუფლების" ლიდერი*



საერთაშორისო იზოლაცია, **უვიზო მიმოსვლის შეჩერება, ტოტალური გალატაკება** — აი, ეს მოაქვს **ბატონ ივანიშვილს.**

„ახალი თაობა"



# გოგა ხაინდრავა:



კადრი ფილმიდან „ჰეროკრატია“: სააკაშვილი განსასჯელის სკამზე

## სააკაშვილი მალე დაიწყებს ჩვენებების მიცემას საკუთარი გარემოცვის წევრების – კეზერაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის წინააღმდეგ და ყველას ჩაუშვებს!



კადრი რეალური ცხოვრებიდან: სააკაშვილი განსასჯელის სკამზე

*საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, სააკაშვილის რეჟიმის შესახებ გადაღებული მრავალსერიიანი მხატვრული ფილმის „ჰეროკრატიის“ ავტორი, კინორეჟისორი* **გოგა ხაინდრავა** *აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს:*

— **კელი დეგნანი** ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენელია და ვფიქრობდი, თავის გამოცდილებას სწორად გამოიყენებდა, რათა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო გაემყარებინა, მაგრამ პოლიტიკურად აბსოლუტური ბეცი აღმოჩნდა. დეგნანის ბოლო სამარცხვინო განცხადებაც „გავრილოვის ღამესთან“ დაკავშირებით იმაზე მეტყველებს, რომ მან მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოსა და ქართველ ერს ვერაფერი გაუგო. არადა, ქალბატონ კელის ლომჯარია-გიგაურების მფარველობაში დახარჯული დრო საქართველოს ისტორიის, მისი სახელმწიფოებრიობისა და ტრადიციების შესწავლისათვის რომ დაეთმო, დღეს ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა.

**— რატომ ფიქრობთ, რომ ამერიკის ელჩი სავალალო მდგომარეობაშია?**

— დეგნანმა თავისი სამარცხვინო ქმედებებითა და განცხადებებით ქართველი ხალხის კეთილგანწყობა დაკარგა და ახლა მხოლოდ **ლომჯარიას, კაკიტან გიგაურის, სალომე სამადაშვილის, ლიაკა ხოშტარიასა** და შარვალჩახდილი **ბირჩი ჯაფარიძის** ამარაა დარჩენილი. სხვათაშორის, შარვალჩახდილმა ჯაფარიძემ დააანონსა, რომ ქართულ სახელმწიფოს საბოტაჟი უნდა მოუწყოს და შენობები შტურმით აიღოს! როგორც ჩანს, ბიკინითა და „ზადნი ხოდით“ აპირებს ამის გაკეთებას!

**არა მგონია, საქართველოში დეგნანის საქმიანობას თავად ამერიკაშიც მოჰყვეს კარგი გამოხმაურება, რადგან მან თავისი დიპლომატიური მისია მთლიანად ჩააფლავა.**

იგი ამერიკის მიერ საქართველოსათვის გაწეულ დახმარებასაც კი გვამადლის, არადა, მარტო ნატოს საერთაშორისო მისიებში 20 ათასმა ქართველმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 48 ჯარისკაცი დაიღუპა, 293 დაიჭრა და 52 ხეიბარი დარჩა.

კელი დეგნანს არამხოლოდ ქართველების, არამედ ამერიკელებისაც უნდა რცხვენოდეს, რადგან თავისი დირექტივებით კომპარტიის ცეკას მეორე მდივანს დაემსგავსა და დაამთავრებს კიდეც ისე, როგორც ცეკას მეორე მდივნებმა დაამთავრეს!

**— ფიქრობთ, რომ კელი დეგნანი საქართველოში ამერიკის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და მისი განცხადებები თუ ნაბიჯები თეთრი სახლის პოზიციისაგან განსხვავდება?**

— კელი დეგნანის მთავარი დამმოძღვრავი გახლავთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **ვიქტორია ნულანდი,** რომელიც უკრაინის სახელმწიფო გადატრიალებაში პირადად მონაწილეობდა და კიევში ე.წ. ევრომაიდნის დემონსტრანტებს ფუნთუშებს ურიგებდა. ზოგადად, ამერიკის დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობამ შეერთებულ შტატებს აბსოლუტური კრახი მოუტანა როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაში, რისი ნათელი მაგალითიც თუნდაც ავღანეთია, საიდანაც ამერიკელები ისე სამარცხვინოდ გაიქცნენ, როგორც პიპინია ერისთავმა გამოასწრო საკუთარ ცხენს პორტ-არტურიდან.

საერთოდ, 24 თებერვლის შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, მსოფლიო რადიკალურად შეიცვლა, ვითომ დემოკრატიული წესრიგი, რომელიც აქამდე იყო დამყარებული, რეალურად, აღარ არსებობს და მსოფლიო დაბრუნდა ნაბუქოდონოსორის დროში, როცა ძალა აღმართს ხნავს. აკი, რამდენიმე დღის წინათ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა **მორავეცკიმ** ტერმინი „დემოკრატიული ტოტალიტარიზმი“ გამოიყენა და თქვა, რომ ევროკავშირში არანაირი დემოკრატია არ არსებობს, იქ არის ფაქტობრივი ოლიგარქია და ვისაც მეტი ძალა აქვს, ის განაგებს ყველაფერს.

**— როცა ამერიკის ელჩი პირდაპირ ნაცპროპაგანდის რიტორიკას იმეორებს და 2019 წლის 20 ივნისს აგრესიული მომიტინგეების მიერ პარლამენტის შენობის შტურმით აღების მცდელობას „გავრილოვის ღამეს“ ეძახის, ნიშნავს თუ არა ეს არამხოლოდ მომხდარის გამართლებას, არამედ სამომავლოდ მსგავსი ანტიკონსტიტუციური ქმედებების წახალისებასაც?**

— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის ოფიცია-

# «ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურს

## კვირგვინოსნები



**ბაჩო დოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

ეს შემოდგომა **ნამდვილად ცხელი იქნება** „ქართული ოცნებისთვის“.

„GTMEDIA“



**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*

ნაციონალებს შარშან შევარქვი **უსამშობლოები,** წელიწადია, ასე მოვიხსენიებ და შერჩათ, როგორც სხვა სახელები. ახლა კი გამოდგნენ **მელია** და სხვები და „ოცნებას“ შემოუტრიალეს. უნდათ, ჩამოირეცხონ **უსამშობლოების** სტატუსი. არ გამოგივათ, ლიდერი გყავთ **უსამშობლო** და ფუძემოგლეჯილი, რომელსაც **ვერ გაუგია, უკრაინელია თუ ქართველი.** როცა ჩვენი ქვეყნის ორი ძირძველი მიწის ოკუპაცია პროცენტებში გაზომეთ, უსამშობლოები ხართ, აბა, ვინ ხართ?!

როგორც ჩანს, უკრაინაში ომიდან ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით სურთ, **ცდილობენ, უკრაინელი ხალხი დააჯერონ, თითქოს მტრები სხვაგან არიან, თითქოს საქართველო მათ არ ეხმარება ომში ჩართვით.** სინამდვილეში, ამ ომში საქართველო გულშემატკივრობს უკრაინელ ხალხს და არა **პოდოლიაკებს, არესტოვიჩებს, არახამიებს.**

„GTMEDIA“



**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

როცა მეორე მხრიდან უპირისპირებ მოწოდებებს — **უნდა წაგლეკო, გადაგაგდო, დაგამხო,** „ქართული ოცნება“ ამ რადიკალიზმზე ყოველთვის ახერხებს გამარჯვებას. ოპოზიციამ უნდა გადახედოს თავის სტრატეგიას.

პარტიებს, რომელთაც არა აქვთ საკმარისი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, **სერიოზულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე** პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ.

„ინტერპრესნიუსი“



**მამუკა ჭუიკაძე**
*მოძრაობა „სოლიდარობის- სამართლიანობისთვის“ ლიდერი*

ძალიან სწრაფადაა ზომები მისაღები, **რომ სამართალმა და სამართლიანობის აღდგენამ** სასამართლო დარბაზებიდან ქუჩაში არ გადაინაცვლოს.

„ახალი თაობა“

# „კელი დეგნანს არამხოლოდ ქართველების, არამედ ამერიკელებისაც უნდა რცხვენოდეს, რადგან თავისი დირექტივებით კომპარტიის ცეკას მეორე მდივანს დაემსგავსა!“

ლურ ანგარიშში შავით თეთრზე დაწერა, რომ 2019 წლის 20 ივნისის ღამეს საქართველოში ადგილი ჰქონდა დემონსტრანტების უკანონო შეჭრის მცდელობას პარლამენტის შენობაში, იმავე სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოში დანიშნული **ელჩი დეგნანი** კი ამას „გავრილოვის ღამეს“ უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ მან საბოლოოდ დაკარგა ორიენტაცია და სრული ლომჯარიზაცია და გიგაურიზაცია განიცადა. კელი დეგნანს თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, ასეთი სამარცხვინო განცხადების შემდეგ ერთი დღეც არ გაჩერდებოდა საქართველოში, მაგრამ, ვფიქრობ, მას მალე მოუწევს საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება.

**— იმის თქმა გინდათ, რომ შესაძლოა, ელჩი დეგნანი საქართველოდან დროზე ადრე გაიწვიონ?**

— **დეგნანმა თავისი განცხადებებითა და ქმედებებით ისე მოიჭრა თავი, რომ საქართველოში მის ელჩობას არანაირი აზრი აღარ აქვს, ამიტომ, რაც მალე გაიწვევენ, ამერიკისთვისაც უკეთესი იქნება და საქართველოსთვისაც.**

საერთოდ, ძალიან სამწუხაროა, რომ ამერიკამ საქართველოში საკუთარ დასაყრდენად ლომჯარიები, გიგაურები და ის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები აირჩია, რომელთათვისაც სამშობლო არ არსებობს და ერთადერთ ფასეულობას დოლარი წარმოადგენს.

## ამერიკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი 128 მილიონი დოლარიდან 88 მილიონი დოლარი ე.წ. სამოქალაქო სექტორის, ანუ ლომჯარია-გიგაურების დასაპურებლად რომ იქნება გამიზნული, ეს უკვე მეტყველებს, რომ დეგნანმა და მისმა პატრონებმა საქართველოსა და ქართველ ხალხთან ყველანაირი კავშირი დაკარგეს.

ახლა დასხდნენ დეგნანი, ლომჯარია და გიგაური და ერთმანეთს ელაპარაკონ დემოკრატიაზე, მაგრამ ჩვენ ამაზე ნუ დაგველაპარაკებიან, რადგან ფსევდოდემოკრატიის კატასტროფულ შედეგებს კარგად ვხედავთ. მორჩა, დამთავრდა მსოფლიოში ეს ფსევდოდემოკრატია, რადგან ევროპის შუაგულში მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს.

**— როგორ ფიქრობთ, კვლავ არსებობს საფრთხე, რომ ამ ომში საქართველოც აღმოჩნდეს ჩათრეული?**

— ეს საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს, რადგან **კუზმილიუსები და კრამერები** სისხლს გაგვიშრობენ იმის გამო, რომ გავბედეთ და მთელი მსოფლიოს გასაგონად განვაცხადეთ — ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო, რომელიც მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე! დღეს სწორედ იმიტომ მიდის გაშმაგებული ბრძოლა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომ მან დატოვა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც აღმოაჩნდა უნარი, ქვეყნის ინტერესები, სუვერენიტეტი და მშვიდობა დაიცვას!

რაც შეეხება უკრაინის ომს, მსოფლიო მედიაში ტოტალური სიცრუეა გაბატონებული და ჩვენი ტელესაროსკიპოებიც ამ ხაზს მიჰყვებიან, ჰგონიათ, რომ ქართველი საზოგადოება ჭურში ზის და ტყუილის სიმართლისაგან გარჩევა არ შეუძლია.

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— რუსებმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური ჯერ კიდევ მარტის ბოლოს აიღეს და მას მერე იქ რუსული სამხედრო შენაერთები დგანან. **ახლა, როცა თითქმის ყოველდღე ხდება ზაპოროჟიეს ატომური ელსადგურის დაბომბვა, რაც მთელ მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპას კატასტროფას უქადის, ჩნდება კითხვა — ვინ ბომბავს ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურს?** რუსები თავიანთ თავს ბომბავენ? იმ ობიექტს აყრიან ბომბებს, რომელსაც თავად აკონტროლებენ? **რა თქმა უნდა, ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურს უკრაინული მხარე ბომბავს და ეს მთელმა მსოფლიომ იცის, მაგრამ დასავლური მედია და პოლიტიკოსები ამაზე კრინტს არ ძრავენ, რადგან ყელამდე სიცრუის ჭაობში არიან ჩაფლული!**

**— რას იტყვით იმ ისტერიაზე, რომელიც საქართველოში რუს ტურისტებთან დაკავშირებით არის ატეხილი?**

— ეს არის სამარცხვინო და მართული პროცესი! ნაციონალური მოძრაობა და მისი ტელესაროსკიპოები ყველანაირად ცდილობენ, გამოიწვიონ ისეთი დაპირისპირება, რაც რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში გადაიზრდება.

საქართველო ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველას ქვეყანაა და ყველა ღირსეულ ქართველს გულის ფიცარზე უწერია მისი სიტყვები — „დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა!“ დიახ,

## საქართველოში ჩამოსული რუსები ჩვენი სტუმრები არიან და სულ არ მაინტერესებს, მათ პუტინი უყვართ თუ სძულთ!

**აკია ბარბაქაძის** მსგავსი ბეცები ამბობენ — რუსეთმა ტურისტების შირმით 250 000 სამხედრო შემოგზავნა საქართველოშიო! **რა დონის იდიოტი უნდა იყო, რომ ტურისტად კი არა, დაზვერვის მიერ შემოგზავნილად ჩათვალო ის რუსი, რომელიც პუტინს არ შეაგინებს!** მხოლოდ ჩერგოლეიშვილის, სამადაშვილისა და ხოშტარიას მსგავს კრეტინებს შეუძლიათ, დაასკვნან, რომ საქართველოში ჩამოსული რუსი, რომელიც პუტინს აგინებს, ტურისტია, ხოლო, რომელიც არ აგინებს, პუტინის შპიონია! **რუსეთსა და პუტინს ყველაზე ხმამაღლა ლიაკა ხოშტარია აგინებს, რომელიც დიდი ხანია, სწორედ რუსეთს ემსახურება და იქიდან დღემდე იღებს მილიონობით რუბლს!**

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ თქვენ მიერ 6 წლის წინათ გადაღებულ მხატვრულ ფილმზე „ჰეროკრატია“, რომელიც არათუ აქტუალობას არ კარგავს, არამედ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, რადგან მისი მხატვრული სცენები რეალურ ცხოვრებაში ცოცხლდება. მაგალითად, ინტერნეტში დიდი პოპულარობით სარგებლობს ვიდეოკოლაჟები, რომლებიც მოწმობენ, რომ რეალურ სასამართლო სხდომებზე სააკაშვილის ქცევები და განცხადებები თითქმის 100 პროცენტით იდენტურია იმისა, რაც 6 წლით ადრე გადაღებულ ფილმში აჩვენეთ. საინტერესოა, როგორ შეძელით, მხატვრულ სურათში ასე ზუსტად აგესახათ რეალობა, რომელიც წლების შემდეგ დადგა?**

— „ჰეროკრატია“ არის აბსოლუტურ სიმართლეზე აგებული ფილმი, რომლის სიუჟეტიც კონკრეტულ ფაქტებსა და სისხლის სამართლის საქმეებზეა დაფუძნებული,. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე თითქმის სამი წელი ვიმუშავე და საშუალება მქონდა, სააკაშვილი ყველანაირ ვითარებაში მენახა, კარგად შემესწავლა მისი ხასიათი, ცხოვრების წესი თუ მოქმედების მანერა. ამდენად, წინასწარმეტყველის ნიჭი ნამდვილად არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, თუ როგორ მოიქცეოდა იგი, როცა ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ მართლმსაჯულების წინაშე მოუწევდა წარდგომა.

ისიც შემიძლია გითხრათ, რომ სააკაშვილი მალე დაიწყებს ჩვენებების მიცემას საკუთარი გარემოცვის წევრების — **კეზერაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის წინააღმდეგ,** ყველას ჩაუშვებს და საკუთარი დანაშაულის გარდა ყველას დანაშაულზე ალაპარაკდება.

**— გჯერათ იმის, რასაც სააკაშვილის ადვოკატები აცხადებენ — ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებს და თუ საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაუშვებენ, პოლიტიკურ პროცესებს სამუდამოდ ჩამოშორდებაო?**

— ამ ზღაპრების სააკაშვილის დედასაც არ სჯერა და მე როგორ დავიჯერებ? საერთოდ, სააკაშვილი არათუ გუშინდელი, უკვე გუშინწინდელი დღეა და მასზე ბევრი ლაპარაკი აღარ ღირს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



„დეგნანმა სრული ლომჯარიზაცია და გიგაურიზაცია განიცადა!“





## „ელჩ დეგნანს რაც მალე გაიწვევენ, ამერიკისთვისაც უკეთესი იქნება და საქართველოსთვისაც!“



„შარვალჩახდილმა ჭაფარიძემ დაანონსა, რომ ქართულ სახელმწიფოს საბოტაჟი უნდა მოუწყოს და შენობები შტურმით აიღოს! როგორც ჩანს, ბიკინითა და „ზადნი ხოდით“ აპირებს ამის გაკეთებას!“

# უკრაინული მხარე ბომბავს!»

## კვირგვინოსნები

**პაატა ჯიბლაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



მინდა, მივმართო მთავრობას, რათა **დაუყოვნებლივ მიიღონ შესაბამისი ზომები** ჩვენი მოსახლეობის ხარჯზე გამდიდრებული, გაუმაძღარი, ნავთობისა და პირველადი მოთხოვნილების საკვები პროდუქტების იმპორტიორი კომპანიების მადის დასაოკებლად! **ცოტა ხალხზეც იფიქრეთ, ნუ ღორობთ!**

„ალია“

**ანრი ოხანაშვილი**
*იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



მელია რუსულ ოცნებას იძახდა დაზეპირებული ფრაზებით, როგორც ჩანს, **ეს დავალება ბელადისგან მიიღეს.** თუ მათთვის ასეთი მიუღებელია ჩვენთან ერთად პარლამენტში ყოფნა, **დატოვონ პარლამენტი!**

„რეზონანსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ევროკომისიის ანგარიში კიდევ ერთი განაცხადია, რომ **ივანიშვილის რუსული მმართველობა** არის დაბრკოლება ევროკავშირის გზაზე.

„რეზონანსი“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



ლეიბორისტულ პარტიას **სასწრაფოდ დაუბრუნეთ ჩამორთმეული უფლებები, სანამ ჩემი ხელით შეგყრიდეთ გლდანში.** უკვე მსოფლიო ამყრალდა ამათი ხრწნით.

„ალია“

*„ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** გლობალურ პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს და აცხადებს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დათბობის ნიშნები აშკარაა, რასაც სერიოზული ნაბიჯები და ორ ქვეყანას შორის უმაღლესი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა უნდა მოჰყვეს:*



## „დასავლეთ საქართველოს, მეტწილად, კოლხეთის დაბლობის მოსახლეობა უნდა შეერეკათ ლაზიკაში, სადაც ბრიტანულ კანონებს აამოქმედებდნენ, ხოლო დაცარიელებულ ადგილებზე ჩაასახლებდნენ უცხოელ ფერმერებს და შექმნიდნენ დიდ გაერთიანებებს!“

**ლაზიკა** — ქალაქი, რომელიც უნდა გაშენებულიყო დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე. იგი საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქი უნდა ყოფილიყო თბილისის შემდეგ. ქალაქის მშენებლობის დაწყება დაგეგმილი იყო 2012 წლიდან[1]. სავარაუდოდ იგი უნდა გაშენებულიყო კოლხეთის ეროვნული პარკის ანაკლია-ჭურიის უბანზე, რომელიც ფრინველთა ყველაზე დიდი მიგრაციის მარშრუტია[2].




## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# უკრაინა ერთიანი აღარასოდეს იქნება!

— ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში სერიოზული გაროღვევაა და ამის მიზეზი გახლავთ ამერიკული სპეცსამსახურების თვალსაჩინო წარმომადგენელი სამხედრო კონტრდაზვერვის ხაზით, ქალბატონი **კელი დეგნანი,** რომელმაც ამერიკის დიპლომატიური მისია ჩამოშალა. შემთხვევითი არც ის იყო, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში, ვიდრე კელი დეგნანს დანიშნავდნენ, ამერიკას საქართველოში ელჩი არ ჰყოლია!

**— ბატონო დიმიტრი, მაინც რას უცდიდნენ ამერიკელები?**

— ის ბნელი ძალები, რომლებიც დონალდ ტრამპს უპირისპირდებოდნენ, მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში ელჩი მანამ არ უნდა დაენიშნათ, სანამ გადატრიალებას არ მოაწყობდნენ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას არ დაამხობდნენ! **გადატრიალება თბილისში დაიგეგმა 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს და მას თავიდან ბოლომდე მართავდა ამერიკის საელჩო.** იმ ღამეს ამერიკის საელჩომ გააკეთა სამი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება. ბოლო განცხადება გაკეთდა 21 ივნისს, 00.05 საათზე, როცა დაიწყო პარლამენტზე მესამე შტურმი და **მაკო გომურმა და კობა ლეთოდიანმა** დაკარგეს თვალისჩინი. **ვიმეორებ: ყველაფერი ხორციელდებოდა ამერიკის საელჩოში დაწერილი სცენარის მიხედვით. კერძოდ, უნდა გამოეწვიათ მძიმე ჰუმანიტარული კატასტროფა და დაესახიჩრებინათ რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა, რათა მერე საზოგადოებას წაელეკა ეს ხელისუფლება!**

**— მაშინ რა გამოდის, „ქართულ ოცნებაშიც“ „მეხუთე კოლონის“ წევრები იყვნენ მოკალათებული?**

— ცხადია! მეხუთე კოლონის ნაწილი — **კაკო ბობოხიძე, სალომე სამადაშვილი, გიორგი კანდელაკი, ირმა ნადირაშვილი** გადასხეს პარლამენტში, ხოლო ნაწილი უტევდა გარედან, რომლებიც დაიჭირეს, მაგრამ იმავე ამერიკის საელჩოს ჩარევით გამოაშვებინეს. რაც შეეხება **თამარ ჩუგოშვილს,** ის მაშინვე გაიშიფრა, როგორც აგენტი და „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენელი.

**პრემიერის გამოაშკარავებას დრო დასჭირდა, თუმცა, საბოლოოდ ისიც გაიშიფრა და გაცხადდა, რომ გიორგი გახარია „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენელია!**

**— არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დათბეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ჩვენ სასიკეთოდ გადაიჭრას?**

— ურთიერთობის დათბობა მართლაც იწყება და ამის პირველი ნიშანია, რომ რუსეთმა საქართველო არამეგობრული ქვეყნების სიაში არ შეიყვანა! ასევე მოსკოვმა განუსაზღვრელი ვადით შეაჩერა ის ე.წ. რეფერენდუმი, რომელიც ცხინვალში უნდა ჩაეტარებინათ. **ეს იყო იმის შედეგი, რომ საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ არ გახსნა მეორე ფრონტი, არ შეუერთდა სანქციებს და არ დაიწყო მოხალისეების რეკრუტირება.** ამ ჭკვიანური პოლიტიკით საქართველოში ტვირთბრუნვა გაიზარდა, ექვსთვიანმა ეკონომიკურმა ზრდამ 10,7 პროცენტი შეადგინა, რაც ფანტასტიკური შედეგია და ტურისტული სეზონიც ყვავის!

**— ახლა რა არის გასაკეთებელი, რათა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი დაიძრას?**

— **ახლა საჭიროა, აბაშიძე-კარასინის ფორმატი გარდაიქმნას და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნას ახალი დეპარტამენტი, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობების უმაღლეს დონეზე აღსადგენად იმუშავებს!** მოსკოვსა და თბილისში აუცილებლად უნდა შეიქმნას სავაჭრო-წარმომადგენლობითი პალატები.

**ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში ხორბლისა და ფქვილის 97 პროცენტი, ასევე რკინიგზისა და მეტროპოლიტენის მარაგნაწილების 100 პროცენტი რუსეთიდან შემოდის!**

ასევე, საქენერგოგენერაციაში 96 პროცენტი რუსული კაპიტალია, ექვსი ძირითადი ღვინის ქარხანაც რუსულ კაპიტალზე ზის... **მოხდა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი — რუსულ-**

**2019 წლის 20-21 ივნისი, თბილისი. საპოლიციო ძალებმა აღკვეთეს პარლამენტის შენობაში მომიტინგეთა შეჭრის მცდელობა**





## „გადატრიალება თბილისში დაიგეგმა 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს და მას თავიდან ბოლომდე მართავდა ამერიკის საელჩო!“

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ელჩის მოქმედება, განცხადებები, შეთანხმებები არის **შტატების ადმინისტრაციის მოქმედებები და არა დეგნანის პირადი ინიციატივა.** ელჩი არის მხოლოდ ინსტრუმენტი იმ პოლიტიკისა, რომელსაც შტატები ატარებს.

„კვირის პალიტრა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ტყვედ ვარ საქართველოში, მაგრამ **ჩემი გული უკრაინაშია.** მინდა, თავისუფლება უკრაინისთვის, **მინდა, პირდაპირ ჩავერთო ბრძოლაში.** დარწმუნებული ვარ, უკრაინელები თავისიანს არ მიატოვებენ და მე ვემახსოვრები.

„აიპრესი“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტოლოგი*



**მიხეილ სააკაშვილი** „ვარსკვლავბიჭუნა“ არ ყოფილა, მის უკან **თემურ ალასანია** იდგა.

„ჯორჯიან თაიმსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**ოპოზიცია ძალიან ღრმა ნოკდაუნშია!**

„ახალი თაობა“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



„ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო **კანდიდატის სტატუსს** ვერ მიიღებს.

„ახალი თაობა“

## პოლიტიკოსის სიტყვა



# „ამერიკელებმა 6 მილიარდი ქართველ ხალხს კი არა, თავიანთ ელიტებსა და აგენტებს დაახარჯეს – კოლექტიურ სააკაშვილებს, ბოკერიებს, უგულავებს, ლომჯარიებს!“

**მა „ალფა-ბანკმა“ „ბორჯომის“ აქციების 56 პროცენტი ქართულ სახელმწიფოს აჩუქა. ეს ყველაფერი გახლავთ დამაიმედებელი ნიშნები იმისა, რომ გლობალური დასავლეთის მიერ წახალისებული და მკვდრადშობილი პოლიტიკა შესაძლოა, გადაიხედოს!**

დღეს შეერთებული შტატები ჩვენ გვამადლის, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში, თურმე, საქართველოს 6 მილიარდი დაახარჯა. ამერიკელებმა 6 მილიარდი ქართველ ხალხს კი არა, თავიანთ ელიტებსა და აგენტებს დაახარჯეს — კოლექტიურ სააკაშვილებს, ბოკერიებს, უგულავებს, ლომჯარიებს... მათ სხვა გეგმებიც ჰქონდათ, მაგრამ არ დასცალდათ...

**— მაინც რა გეგმები ჰქონდათ?**

— თქვენ რა გგონიათ, სააკაშვილი საქართველოს სინგაპურიზაციაზე ტყუილად ლაპარაკობდა? საქართველოშიც ზუსტად 15-20 პროცენტამდე უნდა შეემცირებინათ ავტოქტონი მოსახლეობა, როგორც ეს სინგაპურში გააკეთეს და შემოეყვანათ უცხოელები. ლაზიკას პროექტიც ამას ემსახურებოდა. **მთელი დასავლეთ საქართველოს, მეტწილად, კოლხეთის დაბლობის მოსახლეობა უნდა შეერეკათ ლაზიკაში, სადაც ბრიტანულ კანონებს აამოქმედებდნენ, ხოლო დაცარიელებულ ადგილებზე ჩაასახლებდნენ უცხოელ ფერმერებს და შექმნიდნენ დიდ გაერთიანებებს.** აი, ასეთი ბარბაროსული და ანტიქართული გეგმები ჰქონდათ საქართველოში...

**— რა ბედი ელის უკრაინას?**

— უკრაინა ერთიანი აღარასოდეს იქნება! ის, რაც უკრაინაში ხდება, ეს არის ევროატლანტიკური სივრცის ომი ევრაზიულ სივრცესთან და ამ ომის მთავარი ინსპირატორი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად გახლავთ დიდი ბრიტანეთიც. ყირიმის ომის შემდეგ ინგლისს რუსეთის წინააღმდეგ არ უბრძოლია და დღეს იბრძვის. ახლა უკვე აშკარაა, თუ რატომ გავიდა ბრიტანეთი ევროკავშირიდან — ანგლოსაქსები ცდილობენ, დაასუსტონ ევროპა და რუსეთი და, ამავდროულად, დაშალონ ევროპის უდიდესი და უმდიდრესი სახელმწიფო უკრაინა, როგორც კონკურენტი! მათ ეს თითქმის მოახერხეს...

**გლობალური დასავლეთი, რომელსაც ამერიკა და ბრიტანეთი მეთაურობენ, ფიქრობდა, რომ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშლებოდა, მაგრამ პრიმაკოვის წინასწარმეტყველება ახდა — რუსეთმა ჩინეთთან და ინდოეთთან ერთად შექმნა ახალი პოლუსი, რომელიც სულ ახალ და ახალ იერსახეს იძენს.** მსოფლიოს ეკონომიკამ ვერ გაუძლო იმ სანქციებს, რაც დასავლეთმა რუსეთს დაუწესა. ამიტომაა, რომ იაპონიამ უკვე უარი თქვა რუსეთის მიმართ სანქციების გამოყენებაზე. თალიბანმაც კი რუსეთს 1 მილიონი ტონა ნავთობის საფასურად ბარტერი შესთავაზა... **მოკლედ, ევროპა თავის მიერ დაწესებულ სანქციებზე წამოეგო. რაც შეეხება უკრაინას, ყველა თანხმდება, რომ ერთიანი აღარასოდეს იქნება!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




# „ევგენი პრიმაკოვის წინასწარმეტყველება ახდა!“

## შინისაკენ კელი-კელი!

*— ხელისუფლების დამხობის ორი ეტაპი უკვე გავიარეთ, ახლა მესამე ეტაპზე ვართ, როცა ბრძოლის ავანგარდში ამერიკის ელჩი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ნატოს გენერლები და უკრაინის სამარცხვინო ხელისუფალნი გამოვიდნენ! —*
***აცხადებს ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია და დასძენს:***


ხათუნა ხოფერია:

# შინისაკენ კელი–კელი!

— კულუარული გარიგებები, მოჩვენებითი მეგობრობა და პარტნიორობა დასრულდა. გაშიფრულია ის ენჯეოები, რომლებიც კელი დეგნანის მიერ დაყვედრებული ექვსი მილიარდიდან იკვებებოდნენ — დაწყებული „კმარათი“ და დამთავრებული „სამართლიანი არჩევნებით“ თუ იურისტთა ასოციაციით...

ის განცხადებაც, რომელიც **კელი დეგნანმა** რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ხელისუფლების მისამართით გააკეთა, უკვე წითელ ხაზს ცდება, მეტიც, საფრთხის შემცველია, რადგან მის უკან სახელმწიფო დეპარტამენტი დგას. აშკარაა — შტატები ბოლო შანსს იყენებს ქართული სახელმწიფოს ჩამოსანგრევად და ხელისუფლებაში ნაცმკვლელების დასაბრუნებლად! ამერიკა ყოველთვის ქარაგმებით, დიპლომატიის ენით გვესაუბრებოდა, კელი დეგნანის ბოლო განცხადებამ კი ყველაფერი გაანადგურა და გამოააშკარავა.

**მაინც, სადამდე მივიდა ჩვენი „პარტნიორი“ ქვეყნის საელჩო, ასე როგორ დეგრადირდა და დეგნანირდა?!**

**— მოდით, მათთვისაც დავაზუსტოთ, ვინც ამერიკის ელჩის დიპლომატიურ ენაზე გაკეთებული განცხადება ვერ გაიგო...**

— კელი დეგნანმა, ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლებას ომი გამოუცხადა. არადემოკრატიულ ქმედებებში დასდო ბრალი და საქართველოს პარლამენტის შენობაზე თავდასხმა გაამართლა. **ყველაზე დიდი ცინიზმი ის არის, რომ პოლიტიკურ განცხადებებს ნაციონალების ენით მათი გადმოსახედიდან აკეთებს. იმ ტერმინებს იყენებს, რომლებსაც მხოლოდ სისხლიანი ნაციონალური რეჟიმის სამართალმემკვიდრეები იყენებენ.** ეს ქალი იქამდეც კი მივიდა, რომ იგნორირება გაუკეთა საქართველოს პარლამენტის წევრებს, რომლებმაც ამერიკის მისამართით უამრავი ფაქტი დადეს.

რა, არ ახდენს შტატები ზეწოლას საქართველოს სასამართლოზე ან შვეიცარიის ბანკზე, რათა ბიძინა ივანიშვილზე გავლენა მოახდინონ? არ კეთდება მოწოდებები ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით? მეტიც, პირდაპირ ამბობენ, რომ ქართველი ხალხის ინტერესებს ამერიკის ელჩი და საელჩო გამოხატავს. **მათ ერთი მიზანი აქვთ — საქართველოს რუსეთთან დაპირისპირება და მეორე ფრონტის გახსნა!** საბედნიეროდ, ირაკლი ღარიბაშვილმა შეძლო ქართველების გულში თავისი ადგილის დამკვიდრება და ეროვნული ნიშის დაკავება. ხალხს ახსოვს მისი სიტყვები — საქართველოში სამხედრო აღლუმის გარდა, სხვა აღლუმი არ ჩატარდებაო.

**— ამერიკის ელჩის განცხადებებს როგორ უნდა უპასუხოს ხელისუფლებამ?**

— გიჟი მიუშვი ნებასაო, კელი დეგნანთან მიმართებაში არ იმუშავებს. ისე კი, მთავარია, ქართველი ხალხი არ მიიყვანოს იქამდე, რომ იძულებითი ფორმით დაატოვებინოს საქართველოს ტერიტორია.

**— შეგიძლიათ, როგორც ყოფილმა პარლამენტარმა და ქალბატონმა მიმართოთ კელი დეგნანს...**

— კარგად გაეცანით საქართველოს ისტორიას. ჩვენს ეთნოცნობიერებაში, ისტორიულ მეხსიერებაში აქცენტები ყოველთვის ერის ღირსებაზე კეთდებოდა, თქვენ კი ყველაფერს აკეთებთ ჩვენს დასამცირებლად. საკმარისია! უმჯობესია, შინ წახვიდეთ, თქვენს ქვეყანაში და იმ უბედურებას მიხედოთ, რაც შეერთებულ შტატებში ხდება.

დაიმახსოვრეთ, საქართველოში ადამიანებს სახელმწიფო შენობებში არ ხოცავენ, არასოდეს გაგვიკრავს ხეებზე და არ დაგვიწვავს ფერადკანიანები.

**კელი დეგნან, წადი სახლში და შენიანებს გააგებინე, რომ არსებობს სახელმწიფო, რომელიც არასოდეს გააკეთებს იმას, რაც თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია!**

**ისწავლეთ საქართველოსთან საუბარი! ჩვენ არ გვყავს თქვენი გადასაყენებელი ხელისუფლება!** მართლაც, შინისაკენ კელი-კელი!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# „აშკარაა – შტატები ბოლო შანსს იყენებს ქართული სახელმწიფოს ჩამოსანგრევად და ხელისუფლებაში ნაცმკვლელების დასაბრუნებლად!“

## კვირგვინოსნები

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



**ევროპა არ უნდა იქცეს სუპერმარკეტად, სადაც სულერთია, ვინ შევა.**

„რეზონანსი“

**რეჯეფ თაიფ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



**ვოლოდიმირ ზელენსკის** შევახსენე, რომ შეგვიძლია მასსა და **ვლადიმერ პუტინს** შორის შეხვედრას ვუმასპინძლოთ.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხაილო პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი*



რუსეთთან მოლაპარაკება ნიშნავს **„რუსული რულეტკის“ თამაშს** სავსე დოლურით და ყველასთვის ფატალური დასასრულით.

„ინტერპრესნიუსი“

**რამზან კადიროვი**
*ჩეჩნეთის ლიდერი*



**ისწავლეთ რუსეთთან მეგობრობა, კბილებსაც მთელს შეინარჩუნებთ.**

„ახალი თაობა“

**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*



არ მაქვს სურვილი, თქვენმა და ჩვენმა შვილებმა იომონ. **უნდა დავმშვიდდეთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ხავიერ კოლომინა**
*სამხრეთ კავკასიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი*



ნატო მოუწოდებს რუსეთს, **გაიყვანოს სამხედრო ძალები** საქართველოდან.

„ახალი თაობა“



## „ვინ გველაპარაკება პოლიტიკურ დეპოლარიზაციაზე, ის ქვეყანა, რომლის ყოფილ პრეზიდენტსაც პასპორტები მოჰპარეს და სახლი გაუჩხრიკეს?“





## დავით ქართველიშვილი:

# უბედურებაა, როცა აშშ-ის ელჩი ლაპარაკობს ელენე ხოშტარიას ენით!

***ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ბოლო დროს ამერიკის ელჩის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებებს ეხმიანება და მიიჩნევს, რომ კელი დეგნანი და სალომე ზურაბიშვილი იმ ბნელი და ფსევდოლიბერალური ფინანსური კლანის ინტერესებს იცავენ, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს:***

— ძალიან მიმძიმს, როცა ამას ვამბობ, მაგრამ მთელი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში — მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, **ამერიკა და მისი საელჩო**

**საქართველოს საეგზარხოსოდ, ხოლო ამერიკის ელჩები საქართველოს ეგზარხოსებად ჩამოყალიბდნენ!**

ამერიკის ელჩს, ქალბატონ კელი დეგნანს ანტიამერიკულ და ანტიდასავლურ რიტორიკაში ვადანაშაულებ!

**— ბატონო დავით, ამერიკის ელჩის ანტიამერიკანიზმი რაში გამოიხატება?**

— კელი დეგნანის მიერ გაჟღერებული ნაცური ფრაზა — **„გავრილოვის ღამე“,** თავად ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იქნა შეფასებული და დაგმობილი, როგორც საქართველოს პარლამენტის აღებისა და ხელისუფლების გადატრიალების კრიმინალური, დანაშაულებრივი მცდელობა. უფრო მეტიც, 2019 წლის 20-21 ივნისის ღამის მოვლენების ანალიზის დროს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საკმაოდ დადებითად შეაფასა შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი, რომელმაც ქვეყანაში გადატრიალება აღკვეთა. ოფიციალურ დოკუმენტში გავრილოვთან თუ რუსეთის სახელმწიფო დუმის სხვა დეპუტატთან მიმართებაში მინიშნებაც კი არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, **ამერიკის ელჩის განცხადება არის სამარცხვინო და ქალბატონი კელი დეგნანის ნაცური ლოგიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს!**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამერიკის ელჩის ბოლოდროინდელი განცხადებები და ე.წ. „გავრილოვის ღამის“ ხსენება, როცა მან ყელზე ბირკამიბნეული ლიაკა ხოშტარიას ენით დაგვიწყო ლაპარაკი, რა მიზანს ემსახურება? კელი დეგნანი საქართველოში თავის საამიროს ქმნის და მეტროპოლიას ისევე აუჯანყდა, როგორც თბილისის ამირები უჯანყდებოდნენ ხოლმე არაბთა ხალიფებს თუ რა ხდება?**

— საინტერესო შედარებაა, მაგრამ მთლად ასე მარტივად არ არის საქმე... **როდესაც ამერიკის საელჩო და სახელმწიფო საქართველოს ხელისუფლებას მუდმივად დეპოლარიზაციის შესახებ ესაუბრება, ნებსით თუ უნებლიეთ, გვახსენდება ალექსანდრე გრიბოედოვის ცნობილი კითხვა — „ვინ არის მსაჯული?“** როცა შენ რაღაცას მასწავლი, ჭკუას მარიგებ და მენტორული ტონით მელაპარაკები, პირველ რიგში, შენ უნდა იყო თითით საჩვენებელი, სამაგალითო და გამორჩეული! მართლაც ვინ გველაპარაკება პოლიტიკურ დეპოლარიზაციაზე, ის ქვეყანა, რომლის ყოფილ პრეზიდენტსაც პასპორტები მოჰპარეს და სახლი გაუჩხრიკეს? ვის აქვს სამართლიანი მედია, ამერიკას? ხომ საქვეყნოდ ცნობილია, რომ პრეზიდენტი ტრამპი ამერიკულ მედიას უწოდებდა ფეიკმედიას?! აღარაფერს ვამბობ ამერიკული სასამართლო სისტემის ნდობის ხარისხზე, რომელსაც თავად ამერიკელების მიერ ჩატარებული უკანასკნელი გამოკვლევებით, პულსი აღარ ესინჯება.



**— შემოდგომაზე ამერიკის სენატსა და კონგრესში დანიშნულია ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები, რომელიც პრეზიდენტ ბაიდენის რეკორდულად დაბალი რეიტინგის ფონზე ჩატარდება.**

— მართლაც არავინ უწყის, რა იქნება ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც დონალდ ტრამპი უალტერნატივო კონკურენტია... ამ პროცესების ფონზე **კელი დეგნანმა დაკარგა სახელმწიფოებრივი ხედვა და ვერ აცნობიერებს, რომ მთელ წინა აზიაში საქართველო ამერიკის ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირე და პარტნიორია, რომელიც ამ ოცდაათი წლის განმავლობაში სწორედ ამ მეგობრობასა და პარტნიორობას შეეწირა!** მოკლედ, **უნდა დაველოდოთ იმ დროს, როცა საქართველოს მოევლინება არა მავნებლური იდეოლოგიის დამცველი და მძადაგებელი ელჩი, არამედ პოლიტიკური ხედვის მქონე ამერიკელი დიპლომატი.** მართლაც უბედურებაა, როცა ამერიკის ელჩი ლაპარაკობს ელენე ხოშტარიას ენით!

**— ოპოზიცია აცხადებს, რომ შემოდგომაზე ხელისუფლებას დაამხობს!**

— ჩვენ ვნახავთ, რომ შემოდგომაზე არაფერი მოხდება და ესენი გადატრიალებისთვის საჭირო ფსონებს საგაზაფხულოდ გადაიტანენ! ვერც სააკაშვილის ჩამოყვანით, ვერც გვარამიასთან დაკავშირებული აჟიოტაჟით და ვერც ტექნიკური მთავრობის მკვდრადშობილი იდეის შემოგდებით ოპოზიციამ ვერაფერი შეძლო. დარჩა ერთადერთი გზა — ზოგიერთი ელჩი უკვე ფიზიკურად უნდა ავიდეს ტრიბუნაზე და ღიად და აშკარად დადგეს გადამტრიალებელთა გვერდით!

**— ყველამ იცის, რომ სააკაშვილს არანაირი მკურნალობა არ სჭირდება. მაშ, სადამდე უნდა იყოს ეს აფერისტი „ვივამედში“ და როდის შეაბრუნებენ ციხეში?**

— ჩემი თავი გამოვიჭირე იმაში, თქვენ რომ არ გეხსენებინათ სააკაშვილი, მე საერთოდ არ ვახსენებდი! რაც უფრო დიდხანს იქნება სააკაშვილი იზოლაციაში, მით მალე მიეცემა დავიწყებას მისი ბნელი პერსონა, რომელმაც ქვეყანა დაანგრია! არა აქვს მნიშვნელობა სად იქნება, მთავარია, იზოლაციაში იყოს...

**— ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილი შვილების არნახული კარიერული წინსვლით გადაიბირეს და „ქართულ ოცნებას“ იმიტომაც უღალატა? თქვენ რა იცით?**

— როგორც წესი, მსგავსი ღალატის უკან ყოველთვის ფინანსური ინტერესი დგას! **სალომე ზურაბიშვილი დღეს იცავს არა ქართველი ერის, არამედ იმ ბნელი და ფსევდოლიბერალური ფინანსური კლანის ინტერესებს, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს!** როგორც ჩემთვის ცნობილია, მისი შვილები სამსახურში ნამდვილად დააწინაურეს და ეს დაწინაურება და კარიერული წინსვლა ნახტომისებურად მოხდა!

**— ანუ შეიძლება, ითქვას, რომ სალომე ზურაბიშვილი მოისყიდეს?**

— დიახ, შეიძლება, ითქვას!

**— თუ სალომე ზურაბიშვილი მოსყიდულია, ნაყიდმა პრეზიდენტმა შეიძლება თუ არა შეიწყალოს სააკაშვილი?**

— გადაბირებული ადამიანისაგან ყველაფერია მოსალოდნელი! ამიტომ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ... ისე, ერთ რამეზე შევთანხმდეთ — **საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი დაწყევლილია!**

## „სალომე ზურაბიშვილი გადაიბირეს და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი!“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



**საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით იქნა გამოშვებული ციხიდან** პარლამენტის შტურმის დამაორგანიზებელი პიროვნება, პოლიტიკოსი **ნიკანორ მელია.**

„აიპრესი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



აუცილებლად დადგება დრო, როდესაც **ჩვენს ქვეყანას ეყოლება ხელისუფლება,** რომლის პრიორიტეტი იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

„აიპრესი“

**ირაკლი ლეჟავა**
*ექსპერტი*



უცხო ქვეყნის **საელჩო რომ ერევა მოსამართლეთა დანიშვნებში,** დამოუკიდებელი სახელმწიფო როგორღა გამოვდივართ?

„იმედინიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*



შუა აგვისტოში **რადიკალური განცხადებები,** რომ სექტემბერში რაღაცა სხვას ვიზამთ, **სააკაშვილის** ნიშის გათავისუფლების მოლოდინის და მისი დაკავების მცდელობის ნიშანია.

„პირველი არხი“

**თორნიკე რიჟვაძე**
*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე*



**სახალხო** დამცველს **სახალხო** უნდა მოვაშოროთ, **ნაცების დამცველია ეგ!**

„პირველი არხი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**„ომისა და ღალატის პარტიას“** ვერ შექმნი, თუ ის ძირითადად **უსამშობლო** ხალხისგან არ დააკომპლექტე! ამიტომაც დაარქვა **ირაკლი კობახიძემ** მათ **უსამშობლო** ადამიანები!

„პრაიმტაიმი“

# გენერალისიმუსი

№18 (142)★ 2022 წლის 22 აგვისტო★ გამოდის 2003 წლიდან

# შემდეგი სადგური: «ბაგრატიონოვსკაია»




მოსკოვი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენი

***26 აგვისტოს 210 წელი შესრულდება 1812 წელს გამართული ბოროდინოს ისტორიული ბრძოლიდან, რომელმაც რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს ბედი დიდწილად განსაზღვრა!***

იმ დღეს მოსკოვიდან 125 კილომეტრში **ქართველმა პეტრე ბაგრატიონმა** რუსეთი დაღუპვისგან იხსნა, ხოლო **ასი წლით ადრე კიდევ ერთმა ქართველმა და კიდევ ერთმა პეტრე ბაგრატიონმა, რომლის დედაც ნატალია ნარიშკინა გახლდათ, რუსეთს იმპერია შეუქმნა და ძლევამოსილი დერჟავის თანამედროვე კონტურები ბაგრატიონთათვის დამახასიათებელი გულზვიადობითა და თავხედობით მაშინდელ მსოფლიოს თვალწინ შემოუხაზა.**

ბოროდინოს ბრძოლიდან **გაივლის ზუსტად ასი წელი და 1912 წელს ქართველი იოსებ ჯუღაშვილი, ანუ სტალინი დაუსწრებლად, კოოპტაციის წესით და ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, ოფიციალურად გახდება რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცეკას წევრი.** ერთი სიტყვით, 1912 წლიდან სტალინი რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ელიტის „ვერხუშკაშია" და **ხელმწიფე-იმპერატორ პეტრე ბაგრატიონისა** და **ინფანტერიის გენერალ პეტრე ბაგრატიონის** შემდეგ მესამე ქართველია, რომელმაც კიდევ ერთ ქართველთან — **ლავრენტი ბერიასთან** ერთად რუსეთი უცილობელი სიკვდილისგან იხსნა.

დღეს რუსეთის მოსახლეობაში არავინ დავობს იმაზე, რომ სტალინი არამხოლოდ რუსეთის, არამედ ყვითელი ჭირისგან მთელი მსოფლიოს მხსნელია, თუმცა, **წითელი მოედნიდან, სადაც გერმანიიდან გამოზიდული ბრილიანტების, ნახატებისა და ხალიჩების ქურდს — ცხენზე ამხედრებულ გიორგი ჟუკოვს ძეგლი დაუდგეს, ეს სიმართლე ჯერჯერობით არა და არ ისმის!** არც **პუტინი** და არც დუმაში მოკალათებული ბასკაკები ამბობენ იმას, რომ მეორე მსოფლიო ომი სტალინის გარეშე საბჭოთა კავშირისა და ევროპისთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდებოდა, ხოლო ჰიტლერის დარაზმული არმადა, რომელიც 1941 წლის 15-16 ოქტომბერს დღევანდელ მეტროსადგურ „ვალოკოლომსკაიას" სიახლოვეს იყო მომდგარი, მოსკოვში აუცილებლად შემოჭირითდებოდა! სიტუაცია აჭრა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა ცნობამ, რომელიც იმავე დღეს მთელ მსოფლიოში მეხივით გავარდა — **„სტალინი კრემლიდან არ მიდის! ბელადი მოსკოვში რჩება!"**

ვიდრე რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ელიტა და რუსეთის სახელმწიფო არ აღიარებენ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში რუსეთი პირისაგან მიწისა გაქრობისგან სწორედ სამმა დიდმა ქართველმა — **იმპერატორმა პეტრე ბაგრატიონმა, გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა და გენერალისიმუსმა სტალინმა** იხსნეს, რუსის ჯარი კიდევ დიდხანს იდგება ხარკოვთან, ოდესასთან და მიკოლაევთან!

სილამაზით საქვეყნოდ სახელგანთქმულ მოსკოვის მეტროპოლიტენში, რომელიც ისევ და ისევ ქართველებმა — **ვიქტორ გოცირიძემ და ნიკოლოზ ესაკიამ** ააშენეს, არის ასეთი სადგური — **„ბატრატიონოვსკაია"**, რომელიც სულელი და ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვის სამარცხვინო რეჟიმის მძლავრობის ჟამს, **1961 წელს,** გაიხსნა. **ხრუშჩოვსა და მის ბოროტ ხროვას ქართველები ისე ეზიზღებოდათ, დღევანდელი გადასახედიდან გასაკვირიც კია, რატომ ან როგორ უწოდეს მეტროსადგურს გენეტიკურად ყველაზე დიდი ქართველის, მაგრამ მენტალურად ყველა რუსზე უფრო დიდი რუსის — გენერალ პეტრე ბაგრატიონის სახელი.** ეს ის ბაგრატიონია, რომლის შესახებაც **ნაპოლეონი** ამბობდა — **რუს გენერლებს შორის მაფიქრებს მხოლოდ ერთი — გენერალი პეტრე ბაგრატიონი...**

ეს სიტყვები შემთხვევით არ თქმულა, რადგან აუსტერლიცთან, პროისიშ-ეილაუსთან, ფრიდლანდთან და ბოროდინოსთან ნაპოლეონს თუ ვინმე არ გაექცა და ბოლომდე ეომა, სწო-

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*




სადგური „ბაგრატიონოვსკაია"

## ქართველების რუსული იმპერია ★



პეტრე ბაგრატიონი 1765–1812



პეტრე პირველი (ბაგრატიონი) 1672–1725



იოსებ სტალინი 1878–1953

## უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში რუსეთი პირისაგან მიწისა გაქრობისგან სამმა დიდმა ქართველმა –

## იმპერატორმა პეტრე ბაგრატიონმა, გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა და გენერალისიმუსმა სტალინმა იხსნეს!

# შემდეგი სადგური:




# «ბაგრატიონოვსკაია»

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

რედ **გენერალი პეტრე ბაგრატიონი** გახლდათ... მას არ გაუმართლა პირად ცხოვრებაში... რუსეთის სამხედრო ელიტის კაშკაშა ვარსკვლავს, რომელსაც თვით **იმპერატორ ალექსანდრე პირველის უსაყვარლესი და ეკატერინა რომანოვა** ეტრფოდა, საუბედუროდ, ცოლად ჰყავდა ულამაზესი, მაგრამ უტვინო ქალი — მშვენიერი **ეკატერინა სკავრონსკაია**, რომელმაც ქმართან ხუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაჰკრა ფეხი და ევროპის ელიტის გარყვნილი და ბობოქარი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. გადმოცემის თანახმად, კნეინა ეკატერინამ **ავსტრიის კანცლერ მეტერნიხთანაც** კი გაიყო სარეცელი და მისგან გოგონა შვა...

**რომ არა პეტრე ბაგრატიონი და მისი სწორუპოვარი ტაქტიკა, 210 წლის წინათ,** აცნობიერებდა გენერალი **მიხეილ კუტუზოვი**, რომელმაც ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ რუსეთის მიერ მოსკოვის დატოვება ასე შეაფასა — **მოსკოვის დაკარგვით რუსეთი არ მოკვდება, მაგრამ არმიის დაკარგვით, მოსკოვიც დაიღუპება და რუსეთიც!**

სოფელ სიმაში, მამიდამისის მამულში, მწოლიარე პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც ბოროდინოს ველზე მიყენებული ჭრილობის გამო განგრენა უტევდა და უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, უახლოეს მეგობარს, **გრაფ როსტოპჩინს** სწერდა — **„მშვიდობით, ჩემო პატივცემულო მეგობარო! მე მოვკვდები არა ჭრილობით, არამედ მოსკოვით!“**

ბედის ირონიით, ასეთი თავდადება პეტრე ბაგრატიონს თავისი ისტორიული სამშობლოს, საქართველოს მიმართაც არ გამოუვლენია. ის კი არა, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1812 წლის გაზაფხულზე, კახეთის აჯანყების დროს, პეტრე ბაგრატიონმა საქართველოში წერილი გამოაგზავნა — **ემანდ, ზოგიერთები ჭკუით იყავით, თორემ ჩემი დრაგუნებით ჩამოვალ და ქვას ქვაზე არ დავტოვებო!**

ხმალი რუსული საქმის დიდებისთვის იქნიეს, ზარბაზანიც, „კატუშაც“ და ატომური ბომბიც რუსეთისთვის გაისროლეს, მაგრამ, როგორც კი მათ სახელებს დაუმსახურებლად ტალახს ესვრიან და აგინებენ, ისევ და ისევ პატარა საქართველოა მათი დამცველი და ერთგული გულშემატკივარი მიუხედავად იმისა, რომ **პეტრე დიდმაც, პეტრე ბაგრატიონმაც და სტალინმაც** თავიანთ წარმომავლობასა და ფესვებს ზურგი სამარცხვინოდ აქციეს. **დავფიქრებულვართ იმაზე, რომ ასეთი ადამიანების საფლავების აოხრება და წაბილწვა შესაძლოა, რაღაც სატანურ კანონზომიერებასა თუ ლოგიკას ექვემდებარება?**

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, როგორც **პეტრე პირველისა და სტალინის**, ისე გენერალ **პეტრე ბაგრატიონის** დამსახურება რუსეთის წინაშე განუზომელია, რაც იმით დააფასეს, რომ 1932 წელს **ვინმე ფილატოვის** განკარგულებით, პეტრე ბაგრატიონის საფლავი ბოროდინოს ველზე დაანგრიეს და შეურაცხყვეს, ხოლო თუჯისგან ჩამოსხმული მონოლითი, რომელიც საფლავს ამშვენებდა, მოხსნეს, დალეწეს და მეტალურგიულ ქარხანაში წაიღეს.

იგივე გამეორდა 80-იანი წლების მიწურულსაც, როცა ქართველ გენერალს რუსული „მემორიალის“ აქტივისტებმა მეორეჯერაც შეუშფოთეს ძვლები... **უარესი დამართეს სტალინს, რომლის ნეშტიც 1961 წლის 31 ოქტომბერს მავზოლეუმიდან ღამით გამოიტანეს, კრემლის კედელთან დაფლეს და მის სახელსა და საფლავს ყველანაირი სიბინძურე და ნაგავი მიაყარეს.** რაც შეეხება **ლავრენტი ბერიას**, მისი გვამი საერთოდ გააქრეს და ერთ-ერთი თბომავლის ღუმელში დაწვეს.

რუსეთის მხსნელი სამი დიდი ქართველიდან ერთადერთი, ვისი საფლავიც ჯერჯერობით არ წაუბილწავთ და დაურბევიათ, **ქართველი ბატონიშვილი, სახელოვანი ერეკლე მეფის მკვიდრი ბიძაშვილი და ერეკლე პირველის, ანუ იმავე „ცარევიჩ ნიკოლოზის“ ვაჟი, რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველია!** რუსმა ისტორიკოსებმა, მკვლევარებმა და, საერთოდ, ელიტური წრეების წარმომადგენლებმა ყველაზე უკეთ იციან, რომ **იმპერატორი პეტრე** დიდი ეთნიკური ქართველია და აქედან გამომდინარე, მისი ცეცხლოვანი და ექსცენტრული პერსონა შესაძლოა, დიდად გულზე არც ეხატებათ, რომელსაც მთელი რუსეთის სამეფო კარი დაბადებიდან „ბუსურმანს“, ანუ უცხოს ეძახდა, მაგრამ რუსები იმასაც კარგად ხვდებიან, რომ, **თუ მონღოლური „ოქროს ურდოს“ ნანგრევებზე წამომართული კოლოსი პეტრე პირველზე უარს იტყვის, მაშინ მისგან აღარაფერი დარჩება და გამართლდება „ნორმანული თეორია“, რომლის თანახმადაც, მეცხრე საუკუნის 60-იან წლებში რუსეთს სახელმწიფო გერმანულმა ტომებმა — ნორმანებმა შეუქმნეს, როცა სამი ძმა ვარიაგი — რიურიკი, სინეუსი და ტრუვორი რუსების ხვეწნა-მუდარით ნოვგოროდში ჩამოვიდნენ და მერე კიევში გააგრძელეს ხელმწიფება!**

სხვათაშორის, ბედის ირონიით, **გენერალი პეტრე ბაგრატიონი 1812 წლის 12 სექტემბერს** გარდაიცვალა და ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ მისი ჩვიდმეტდღიანი ტანჯვა-წამება დასრულდა. არადა, **1795 წელს, სწორედ 12 სექტემბერს,** წყდებოდა საქართველოს ბედი, როცა კრწანისის ველიდან გარეკილი და გაბრუნებული აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის ველური ურდო თბილისელმა სომხებმა — **არტემ არარატიანცმა და იოსებ არღუთინსკიმ** უკან შემოატრიალეს და ირანის შაჰს მოახსენეს — **ერეკლეს მეზარბაზნენი არ ჰყავს, ქალაქი დაუცველია, შეუტიეთო!**

ეს ყველაფერი — საქართველოსა და რუსეთის საისტორიო ბედისწერა და მთელ ამ ორომტრიალში **გენერალ პეტრე ბაგრატიონის** როლი უსათუოდ გასიგრძეგანებული ჰქონდა **შოთა ნიშნიანიძეს**, როცა კრწანისის კართან ცხენზე ამხედრებული გენერლის ძეგლის აღმართვას ასეთი ლექსი უძღვნა:

**ბაგრატიონო,**
**ქართულ ცხენზე**
**ვინ აგამხედრა?**
**კურთხეულ იყოს**
**ეგ კვარცხლბეკი**
**და საბრძანისი;**
**თუ წამოიწევ —**
**ბოროდინოც**
**მოჩანს აქედან,**
**მაგრამ ვაი რომ,**
**უფრო კარგად**
**მოჩანს კრწანისი!**

## ქართველების რუსული იმპერია ★

## და მაინც – საით მიექანება დღევანდელი რუსეთის სამხედრო ექსპრესი?




**ვლადიმერ პუტინი:**

**Вот Петр Первый Северную войну 21 год вел. Казалось бы, воевал со Швецией, что-то отторгал... Ничего он не отторгал, он возвращал! Так и есть. Все Приладожье, там, где Петербург основан. Когда он заложил новую столицу, ни одна из стран Европы не признавала эту территорию за Россией, все признавали её за Швецией. А там испокон веков наряду с финно-угорскими народами жили славяне, причем эта территория находилась под контролем Российского государства. То же самое и в западном направлении, это касается Нарвы, его первых походов. Чего полез туда? Возвращал и укреплял – вот что делал. Судя по всему, на нашу долю тоже выпало возвращать и укреплять. И если мы будем исходить из того, что вот эти базовые ценности составляют основу нашего существования, мы, безусловно, преуспеем в решении задач, которые перед нами стоят!**

მრავლისმთქმელია, რომ ჯერ კიდევ 2022 წლის ივნისში, **პეტრე პირველის დაბადების 350 წლისთავთან დაკავშირებით, ვლადიმერ პუტინი** დიდი ქართველი რუსთხელმწიფის პორტრეტის ფონზე გამოჩნდა და მისი მისამართით წარმოთქმული სიტყვები — **„პეტრე პირველი მიწებს იბრუნებდა და ტერიტორიებს შემოიმტკიცებდა“** — თავისი პოლიტიკის გამართლებასავით გააჟღერა!

**1812 წლის 26 აგვისტოს, სოფელ ბოროდინოსთან ნაპოლეონი რუსეთის არმიას პირწმინდად გაანადგურებდა და მერე არმიის გარეშე დარჩენილ ქვეყანას რაც უნდოდა, იმას უზამდა!** 1386-1403 წლებში, ჩვიდმეტწლიან სამამულო ომში, საქართველომ რვაჯერ გადაიტანა და გაუძლო უმამაცესი, მაგრამ უბოროტესი მიზანთროპის — **თემურ-ლენგის** საშინელ შემოსევას... ბოროდინოს ბრძოლაში **პეტრე ბაგრატიონმაც,** რომელიც მარცხენა ფრთას სარდლობდა **(„ბაგრატიონის ფლეშები“)**, რვაჯერ მოიგერია ნაპოლეონის საუკეთესო მარშლების იერიში და ბონაპარტი აიძულა, საიმპერატორო გვარდია — ყველაზე გამოცდილი და ათას ქარცეცხლში გამოვლილი 5 ათასი კაცი, შეტევაში არ ჩაერთო. დიდი ალბათობით, ამ 5 ათასი კაცის ბრძოლის ველზე გასვლა, როცა რუსეთის არმიის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, ბოროდინოს ველზე ყველაფერს წერტილს დაუსვამდა და რუსეთის სახელმწიფოებრიობას ერთხელ და სამუდამოდ მოსპობდა, მაგრამ პარიზიდან 3 ათასი კილომეტრით მოშორებულმა ნაპოლეონმა საიმედო რეზერვის — საიმპერატორო გვარდიის სარისკო თამაშში ჩართვა ვერ გაბედა, რამაც რუსეთი მაშინ გადაარჩინა. ეს, ალბათ, ნაპოლეონის საბედისწერო შეცდომა იყო, რაც მას სწორედ **პეტრე ბაგრატიონის** თავზეხელაღებულმა სიმამაცემ და ბრწყინვალე ტაქტიკამ დააშვებინა. ფრანგებს ე.წ. ბაგრატიონის ფლეშები იოლად რომ მოენადირებინათ და მოენელებინათ, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, ბოროდინოსთან რუსეთის იმპერია არმიის გარეშე დარჩებოდა!

სხვათაშორის, ამ საფრთხეს თავის დროზე ძალიან კარგად

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს **სტალინმა** და უნიჭიერესმა პოლონელმა მარშალმა **კონსტანტინე როკოსოვსკიმ** დაგეგმეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო ოპერაცია კოდური სახელწოდებით **„ბაგრატიონი“.** ოპერაცია 1944 წლის 23 ივნისს დაიწყო და 29 აგვისტოს დასრულდა, რასაც შედეგად მოჰყვა მთელი ბელორუსიის, აღმოსავლეთ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ნაწილის გათავისუფლება და ფაშისტური არმიის „ცენტრის“ დაჯგუფების სრული განადგურება.

**ნაძირალა ხრუშჩოვისა და მისი ბოროტი ხროვის განკარგულებით** ცნება — **„ოპერაცია „ბაგრატიონი“** ცნობარებიდან და სახელმძღვანელოებიდან ამოშანთეს და მას **„ბელორუსიის ოპერაცია“** უწოდეს. ამ ფონზე კიდევ ერთხელ გაკვირვებას იწვევს ის ამბავი, რომ **გაგანია ხრუშჩოვის ეპოქაში, 1961 წელს, მოსკოვის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურს სწორედ „ბაგრატიონოვსკაია“ უწოდეს** — სახელი კაცისა, რომელმაც ბოროდინოს ველზე რუსეთი უცილობელ დაღუპვას გადაარჩინა.

და მაინც — **საით მიექანება დღევანდელი რუსეთის სამხედრო ექსპრესი?** და იქნება თუ არა შემდეგი გაჩერება **პეტრე ბაგრატიონის, პეტრე პირველის** ან თუნდაც **იოსებ სტალინის** სახელობის?

**არადა, პუტინმა მშვენივრად იცის, რომ რუსეთის იმპერიის განმტკიცების კოდი სწორედ ამ სახელებში დევს!**

**ხმალი რუსული საქმის დიდებისთვის იქნიეს, ზარბაზანიც, „კატუშაც“ და ატომური ბომბიც რუსეთისთვის გაისროლეს, მაგრამ, როგორც კი მათ სახელებს დაუმსახურებლად ტალახს ესვრიან და აგინებენ, ისევ და ისევ პატარა საქართველოა მათი დამცველი და ერთგული გულშემატკივარი მიუხედავად იმისა, რომ პეტრე დიდმაც, პეტრე ბაგრატიონმაც და სტალინმაც თავიანთ წარმომავლობასა და ფესვებს ზურგი სამარცხვინოდ აქციეს!**

*დიტო ჩუბინიძე*

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## გთხოვთ, მოგვითხროთ ვასილი სტალინის ხვედრის შესახებ. რატომ დააპატიმრეს და რისგან დაიღუპა?

ვასილი სტალინის ე.წ. „საქმეში“ ტყუილ-მართალი ისე მჭიდროდ არის გადახლართული, რომ სიმართლის დადგენა, ცოტა არ იყოს, ძნელია. 1940 წელს მან დაამთავრა კაჩინსკის სამხედრო სკოლა ყირიმში, მიიღო ლეიტენანტის წოდება და გამანადგურებელი ავიაციის უმცროს პილოტად დაინიშნა. ომის წლებში, სხვა „სტალინის შევარდენთა“ დარად, მის წინსვლას ნაჩქარევი ხასიათი ჰქონდა. იმხანად მფრინავ ვასილი სტალინის სიმამაცესა და გმირობაზე ლეგენდები დადიოდა. **ომის პირველივე თვეებში პირადად მან მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო. 1941 წლის დეკემბერში ბელადის ვაჟს მაიორის წოდება მიენიჭა, ხოლო 1942 წელს პოლკოვნიკი გახდა ისე, რომ პოდპოლკოვნიკის სამხრეები არც კი მიუღია.** ომის დასასრულისთვის ვასილი უკვე საავიაციო დივიზიას ხელმძღვანელობდა და საბრძოლო მოქმედებათა დასრულებისთანავე გენერალ-მაიორის, ოდნავ მოგვიანებით კი — გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიენიჭა.

რაც შეეხება ალკოჰოლის სიყვარულს, ამ მხრივ ვასილი ნამდვილად სცოდავდა და **მამამისმაც არაერთხელ დასაჯა ამის გამო თანამდებობიდან დაქვეითებით.** 1943 წლის 26 მაისით დათარიღებულ და სტალინის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ ბრძანებაში ნათქვამია: **„პოლკის მეთაურის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პოლკოვნიკი ვ.ი. სტალინი ლოთობის, თავაშვებულობისა და პოლკის გარყვნის გამო და არ დაინიშნოს რაიმე ხელმძღვანელ პოსტზე ჩემს განკარგულებამდე“.** მეორედ ი.ბ. სტალინმა საკუთარი ვაჟი მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელის თანამდებობიდან 50-იანი წლების დასაწყისში გაათავისუფლა.

თანამდებობიდან პირველად მოხსნის დროს ვასილი სტალინს **მარშალი ბულგანინი** გამოექომაგა, თავდებად დაუდგა და დაჟინებით მოითხოვა მისი პოსტზე აღდგენა. საგულისხმოა, რომ **იმავე ბულგანინმა თავდაცვის მინისტრობისას, ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ვასილი არმიის რიგებიდან გარიცხა „სამხედრო ფორმის ტარების ნებართვის გარეშე“. იმავე წლის 28 აპრილს კი სტალინის ვაჟი დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს თანხების არამიზნობრივი გახარჯვა.** არადა, ვასილი სპორტის დიდი მოყვარული და მეცენატი გახლდათ, რის გამოც დიდ სახსრებს ხარჯავდა სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე. ყოველმხრივ ეხმარებოდა თვალსაჩინო სპორტსმენებს და ბინებით, ავტომანქანებითა და სოლიდური თანხებით ასაჩუქრებდა.

მეორე მნიშვნელოვანი ბრალდება გახლდათ ანტისაბჭოთა პროპაგანდა და აგიტაცია, **რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ვასილიმ ეჭვი შეიტანა მამის ბუნებრივ აღსასრულში და სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა.**

ვ.ი. სტალინს **რვა წლით თავისუფლების აღკვეთა** მიესაჯა. ლეფორტოვოს, ბუტირკის, ვლადიმირისა და კვლავ ბუტირკის საპყრობილეებში **ტუსაღი ვასილევის** სახელით სასჯელის მოხდის შემდეგ იგი 5 წლით ყაზანში, უცხოელებისთვის დახურულ ქალაქში გადაასახლეს. ბელადის ვაჟი იქ „ხრუშჩოვკის“ ტიპის ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა და 140 მანეთ პენსიას ღებულობდა.

**ვასილი 1962 წლის 19 მარტს გარდაიცვალა, 41 წლის ასაკის შესრულებამდე რამდენიმე დღით ადრე.**

ვასილი სტალინის გარდაცვალების მიზეზი დღემდე იდუმალებით არის მოცული. ოფიციალური ვერსიით, იგი ალკოჰოლმა იმსხვერპლა, თუმცა, გვამის ექსჰუმაცია არ ჩატარებულა. იმავდროულად, ცნობილია, რომ მომვლელად მას ვინმე **მარია ნუზბერგი** (ალბათ, „კაგებედან“) მიუჩინეს, რომელიც ხანგამოშვებით სტალინის ვაჟს გაურკვეველ ინიექციებს უკეთებდა.

გადასახლებაში გარდაცვლილი ვასილის დაკრძალვა ხრუშჩოვმა **„სტალინის“** კი არა, **„ჯუღაშვილის“** გვარით ბრძანა. ყაზანში დღესაც განისვენებს **„უცნობი გენერლის“ ვასილი ჯუღაშვილის ნეშტი,** რომლის სამარეს მუდამ ცოცხალი ყვავილები ამშვენებს.



## მართალია, რომ სტალინი რუსეთის დღევანდელი ჰიმნის თანაავტორად შეიძლება ჩაითვალოს?

უწინდელი ჰიმნის კიდევ ერთი თანაავტორი გახლდათ პოეტი და ჟურნალისტი **ჰაროლდ ელ რეგისტანი.** 1943 წელს მიხალკოვი მასთან ერთად გამოეხმაურა ჰიმნზე გამოცხადებულ კონკურსს და ერთობლივი ტექსტი საკონკურსო კომისიას გაუგზავნა. მოკლე ხანში ავტორები თავისთან იხმო მარშალმა **ვოროშილოვმა** და განუცხადა: **„ამხანაგ სტალინს მოეწონა თქვენი ტექსტი“. ამიერიდან ერთად ვიმუშავებთ“.** სხვათაშორის, სტალინმა დიდი ხნის წინ მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა პოეტ **მიხალკოვს,** რომელმაც 1935 წელს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოაქვეყნა ლექსი **„ივნანა სვეტლანასათვის“.** ნაწარმოები მიხალკოვმა თავის სატრფოს მიუძღვნა, მაგრამ რედაქციამაც და მკითხველებმაც მის ადრესატად **სტალინის ქალიშვილი** მიიჩნიეს. ბელადს ლექსი მოეწონა და ავტორის გვარი დაიმახსოვრა.

ჰიმნის ტექსტზე სამნი — **მიხალკოვი, რეგისტანი და სტალინი** მუშაობდნენ. შედეგად, წინანდელი ვარიანტისაგან, თავად მიხალკოვის აღიარებით, „სიტყვაც არ დარჩენილა“. ასე რომ, **სტალინი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ არამხოლოდ საბჭოური, არამედ ამჟამინდელი რუსეთის ჰიმნის თანაავტორად.** ტექსტის რამდენიმე სტროფი ბელადმა „ბრწყინვალედ“ გადააკეთა, მიხალკოვის თქმით, კუპლეტი არმიის შესახებ მხოლოდ მისი კუთვნილებაა.

1918 წლიდან სახელმწიფო ჰიმნად **„ინტერნაციონალი“** ითვლებოდა, ხოლო ახლის მიღების შემდეგ პარტიულ ჰიმნად დარჩა. საბჭოურმა ჰიმნმა პირველად **1944 წლის 1 იანვარს** გაიჟღერა რადიოთი.

ჰიმნზე მუშაობის დასრულების შემდეგ სტალინმა მის ავტორებს ჰკითხა, რა საჩუქარს ისურვებდნენ ჯილდოდ, რაზეც **მიხალკოვმა** მიუგო, რომ მისთვის სტალინთან მუშაობა უკვე უდიდესი პატივი და ჯილდო იყო. **რეგისტანმა** კი ბელადს საჩუქრად **ლურჯი ფანქარი** სთხოვა, რომლითაც სტალინს შენიშვნები შეჰქონდა ტექსტში. კრემლის დატოვების შემდეგ თანაავტორები მანქანაში ფანქრის გამო წაკამათდნენ და ბოლოს იგი შუაზე გადატეხეს. თუმცა, **სტალინის მიერ წვერწამახული ფანქრის ნაწილი რეგისტანს ერგო, სუვენირის მთხოვნელის უფლებით.**

გარდაცვალების წინ, 1945 წელს, **ელ რეგისტანმა** თავისი ფანქრის ნატეხი მაინც მიხალკოვს უანდერძა.


ГИМН
РОССИИ

Россия — священная наша держава,
Россия — любимая наша страна.
Могучая воля, великая слава —
Твоё достоянье на все времена!

Припев:
Славься, Отечество наше свободное,
Братских народов союз вековой,
Предками данная мудрость народная!
Славься, страна! Мы гордимся тобой!

От южных морей до полярного края
Раскинулись наши леса и поля.
Одна ты на свете! Одна ты такая —
Хранимая Богом родная земля!

Припев:

Широкий простор для мечты и для жизни
Грядущие нам открывают года.
Нам силу дает наша верность Отчизне.
Так было, так есть и так будет всегда!

## რატომ შეიქნა იძულებული მომავალი ბელადი, ტფილისის სემინარია დაეტოვებინა?


ამხანაგ სტალინის გამორიცხვა სემინარიიდან. მხატვარ ვ. ბაგრატიონის სურათიდან

**სტალინმა სწავლის ფულის გადახდა ვერ შეძლო.** საქართველოს პოლიტიკური პარტიის არქივში შემონახულია რამდენიმე განცხადება, რომლებშიც სემინარისტი იოსებ ჯუღაშვილი, ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის მოტივით, სემინარიის რექტორს, **არქიმანდრიტ სერაფიმს** სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის ნებართვას სთხოვს. ასეთი თხოვნით სემინარისტმა რექტორს ორჯერ — 1894 და 1895 წლების შემოდგომაზე მიმართა, მესამე კი ერთი წლის შემდეგ, 1896 წლის აგვისტოში დაწერა. **პირველი განცხადების პასუხად იოსებ ჯუღაშვილს ნება დართეს, ნახევრად სახელმწიფოს ხარჯზე ესწავლა, ხოლო დანარჩენი 40 მანეთი თავად უნდა გადაეხადა.**

ყოველივე ამის შედეგად მომავალი დიდი ბელადი იძულებული გახდა, თავი დაენებებინა სემინარიისათვის 1899 წლის მაისში, **„სწავლის სრული კურსის მე-4 კლასის დასრულებისა და მე-5 კლასში გადაყვანის დროს“.** რაც შეეხება მოსწრებას, სემინარისტისთვის ხელზე გაცემულ მოწმობაში ვკითხულობთ:

**„აღსაზრდელი იოსებ ჯუღაშვილი, გლეხი ბესარიონის ვაჟი, 1894 წლის სექტემბერში გორის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსის დასრულების შემდეგ ჩააბარა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც 1899 წლის 29 მაისამდე სწავლობდა. იგი გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით და მიიღო შემდეგი შეფასებები:**

*„საღმრთო სჯული და ბიბლიის ისტორია — ძალიან კარგი.*

*ეკლესიის ისტორია, ღვთისმეტყველება, ჰომილეტიკა — კარგი.*

*რუსული მეტყველება, რუსული ლიტერატურის ისტორია, ზოგადი სამოქალაქო ისტორია, რუსული სამოქალაქო ისტორია, ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა — ძალიან კარგი.*

*ლოგიკა — ფრიადი.*

*ფსიქოლოგია, ქართულ-ეკლესიური საგნები — ძალიან კარგი.*

*ბერძნული ენა — ძალიან კარგი.*

*ლათინური ენა — არ უსწავლებიათ.*

*საეკლესიო გალობა, სლავური — ფრიადი.*

*ქართული — ფრიადი“.*

როგორც ვხედავთ, იოსებ ჯუღაშვილი ტფილისის სასულიერო სემინარიიდან არც ცუდი მოსწრების და არც მარქსიზმის პროპაგანდის მიზეზით არ წამოსულა.

## ვინ თამაშობდა გელოვანის გარდა სტალინის როლს ფილმებში და თეატრის სცენაზე?

სტალინის როლი თეატრისა და კინოს მრავალმა მსახიობმა შეასრულა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენს დროში ბელადი რამდენიმე ფილმში მსახიობმა **ბუხუტი ზაქარიაძემ** განასახიერა, რომელიც თამაშისას გამოკვეთილი აქცენტით საუბრობდა. არადა, ცნობილია, რომ სტალინი რუსულად სრულებით გამართულად და ოდნავ შესამჩნევი აქცენტით ლაპარაკობდა.

სხვათაშორის, სტალინის როლის პირველი შემსრულებელი გახლდათ ნაკლებად ცნობილი მსახიობი **სემიონ გოლშტაბი.** 1937 წელს იგი მიხეილ რომმა მიიწვია ფილმში — **„ლენინი ოქტომბერში“.** როგორც ჩანს, სინჯები არცთუ წარმატებული აღმოჩნდა, ვინაიდან გოლშტაბი ამ როლზე მეტად აღარ მიუწვევიათ. თუმცა, ქალაქ კიროვის დრამატული თეატრის სცენაზე მან არაერთგზის ითამაშა ბელადის როლი სპექტაკლში **„კრემლის კურანტები“.** გელოვანის შემდეგ სტალინის როლი ცნობილმა მსახიობმა **ალექსეი დიკიმ** შეასრულა. საგულისხმოა, რომ 1910 წლიდან „მხატ“-ის მსახიობი, ხოლო 1931 წელს საკუთარი თეატრალური სტუდიის „დიკის თეატრის“ დამფუძნებელი ალექსეი 1936 წელს დააპატიმრეს და 5 წელი ბანაკებში აყურყუტეს. გათავისუფლების შემდეგ მან რამდენჯერმე ითამაშა კინოში და წარმატებითაც შეასრულა მთავარი როლები ფილმებში: **„კუტუზოვი“** და **„ადმირალი ნახიმოვი“.** სწორედ მაშინ შენიშნეს იგი და სტალინის როლისთვის სინჯების გადაღება შესთავაზეს. სინჯები წარმატებული აღმოჩნდა და მსახიობმა სტალინი ორ ფილმში განასახიერა: **„მესამე დარტყმა“** და **„სტალინგრადის ბრძოლა“.** ამ უკანასკნელს განსაკუთრებული წარმატება ერგო (1950 წ.). **უნდა აღინიშნოს, რომ ალექსეი დიკი სტალინს უაქცენტოდ თამაშობდა.** მსახიობს ხუთჯერ მიენიჭა სტალინური პრემია — 1946, 1947, 1949 (ორჯერ) და 1950 წლებში. იმავე წელს მან სსრკ-ის სახალხო არტისტის წოდებაც მიიღო.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ **დიკიმ გელოვანის** ბედი გაიზიარა — თავის გმირზე სულ ორი წლით მეტი იცოცხლა.


ალექსეი დიკი სტალინის როლში. მხატვრული ფილმი „მესამე დარტყმა“





## სვიმონ მასხარაშვილი:

# ხრუშჩოვმა გააუქმა საბჭოთა კავშირის არქიტექტურის აკადემია და რომ დასცლოდა, აპირებდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასაც!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-17*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ უკუღმართ ნაბიჯებს იხსენებს, რომლებიც ნიკიტა ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის დასანგრევად და ქვეყნის მორალური გაპარტახებისათვის გადადგა. უფრო მეტიც, კარიბის კრიზისის დროს მან აბსოლუტურად თვითნებურად იმოქმედა და კუბაში ბირთვული რაკეტები ისე შეიტანა, რომ ამის შესახებ არათუ ფიდელ კასტრომ, პოლიტბიუროშმაც არაფერი იცოდა:***



**ისტორიკოსის თვალით ★**

— 1938 წლის 12-13 მარტის **ავსტრიის ანშლუსიც** და 1938 წლის 30 სექტემბრის **მიუნხენის გარიგებაც,** როცა ჰიტლერმა ავსტრია მიიერთა, ხოლო ჩეხეთის სუდეტის ოლქი წაართვა, მთელ ევროპას და, მათ შორის, საბჭოთა კავშირს აღიარებული ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 1939 წლის 23 აგვისტოს **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტიც** ვერ გაფორმდებოდა.

**ამ პერიოდისათვის საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივად გაცილებით უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა, ვიდრე ავსტრიას,** მაგრამ 1934 წელს, როცა საბჭოთა კავშირი „ერთა ლიგაში“ მიიღეს, საქართველოს საკითხი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. **რაც შეეხება ავსტრიას, მისი საკითხი 1938 წლის ანშლუსის შემდეგ საერთოდ დღის წესრიგშიც არ დამდგარა და ქვეყანა მიჩნეული იყო გერმანიის განუყოფელ ნაწილად.** შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომში გერმანიის განადგურებისა და ოთხ საოკუპაციო ზონად დაყოფის შემდეგ, მოკავშირეებმა ავსტრიაც ოთხ ნაწილად გაყვეს. 1955 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა ისევე, როგორც დანარჩენმა მოკავშირეებმა, ავსტრიიდან ჯარები გაიყვანა, რითიც მსოფლიოს თვალში დემოკრატი მმართველის იმიჯის შექმნა სცადა, მაგრამ როგორც ერთი წლის შემდეგ უნგრეთში განვითარებულმა პროცესებმა ცხადყო, საბჭოთა იმპერიას ნიკიტას სახით მართავდა არა დემოკრატი, არამედ სისხლისმსმელი არსება.

**— ბატონო სვიმონ, მაინც რა მოხდა უნგრეთში 1956 წელს?**

— ავსტრიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანით გათამამებულმა უნგრელმა პატრიოტებმა, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, 1956 წლის 23 ოქტომბერს აჯანყება დაიწყეს. ცხადია, საბჭოთა მთავრობამ აჯანყება სისხლში ჩაახშო, რასაც 5 ათასამდე უნგრელი პატრიოტის მკვლელობა და დაახლოებით 200 ათასი ადამიანის დევნილად ქცევა მოჰყვა, ხოლო **მორალურ-პოლიტიკურად საბჭოთა კავშირი მსოფლიოს წინაშე ბანკროტად იქცა.** დიახ, ხრუშჩოვმა უნგრეთის მოვლენების დროს გამოჩენილი სიმხეცით საბჭოთა კავშირს საშინელი ზნეობრივი მარცხი აგემა. შედეგი იმდენად სკანდალური იყო, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კომპარტია საერთოდ გაუქმდა ან თვითლიკვიდაციის რეჟიმში გადავიდა! კომუნისტობა სამარცხვინო გახდა... **ხრუშჩოვი თავს იწონებდა იმით, რომ თითქოს არ სურდა ცივი ომი და ესწრაფვოდა დასავლეთთან ურთიერთობის დათბობას, მაგრამ ეს ყველაფერი იყო ბლეფი, რადგან 1961 წლის 13 აგვისტოს მან ბერლინის კედლის მშენებლობა დაიწყო.**

ამიერიდან საბჭოთა კავშირის სიმბოლოდ სწორედ **ბერლინის კედელი** იქცა. ავტორიტეტი, რომელსაც სტალინი ქვეყანას ნებისმიერი საშუალებით უქმნიდა, ნიკიტა ხრუშჩოვმა ხელის ერთი მოსმით გაანადგურა! გაიხსენეთ **კენედის** სიტყვები — გინდათ, ნახოთ შვილი, რომელიც დედას ვერ ნახულობს? ჩადით ბერლინში! ქმარი, რომელიც ცოლს ვერ ხედავს? ჩადით ბერლინში! **ეს იყო მორალური ფსკერი, რაც შექმნა ხრუშჩოვმა და საბჭოთა კავშირი მართლაც აქცია „ბოროტების იმპერიად“!** ყველაფერი განაპირობა მისმა იმპულსურობამ, არათანმიმდევრულობამ და სირეგვნემ... ამას დაემატა 1962 წლის ოქტომბერი — **კარიბის კრიზისი,** როცა მართლაცდა სულელმა ნიკიტამ კინაღამ ბირთვული ომი გააჩაღა!

**— მაინც რა მოხდა 1962 წლის ოქტომბერში კუბაში?**

— ნიკიტა ხრუშჩოვმა, როგორც მას სჩვეოდა, ამოიჩემა, რომ კუბაში ბირთვული რაკეტები განეთავსებინა. ეს ამბავი გასკდა და **პრეზიდენტმა კენედიმ** კუბა კინაღამ დაძირა. როგორც უკანასკნელი გამოკვლევებით ირკვევა, **საბჭოთა სარდლობაში უდიდესი სიხარული და აჟიოტაჟი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ხრუშჩოვმა ბრძანება გასცა და ბირთვული რაკეტები კუბას მოაშორა.** სხვათაშორის, მთელი გზა ამერიკელი სამხედროები საბჭოთა სამხედროებს ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ...

**— დააკონკრეტეთ!**

— ამერიკელი პატრული ამოდიოდა უკან გამობრუნებულ საბჭოთა გემებზე, ნახულობდა ბირთვულ რაკეტებს, ჩაიცინებდა და მიდიოდა. ასე მოხდა ბევრჯერ. **ფიდელ კასტრომ** არ იცოდა, რომ კუბაში ხრუშჩოვმა ატომური რაკეტები შეიტანა, რის გამოც ნიკიტას ისე გადაემტერა, რომ ერთხანს საბჭოთა კავშირის გაგონებაც აღარ სურდა! ცნობისათვის: ხრუშჩოვმა ეს ყველაფერი ისე გააკეთა, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 99 პროცენტმა არაფერი იცოდა. **1962 წლის ოქტომბერში ბირთვული ომი რომ დაწყებულიყო, საბჭოთა კავშირი განადგურდებოდა, რადგან ხრუშჩოვს საკმარისი რაკეტები არ ჰქონდა!**

ხრუშჩოვმა გრანდიოზული მშენებლობებისა და პროექტების ფეხებზე დაკიდების პარალელურად, რაკეტების წარმოება აღარ გააგრძელა. იმ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირი სულ რამდენიმე ბალისტიკურ რაკეტას ფლობდა მაშინ, როცა ამერიკას ათასამდე ასეთი რაკეტა ჰქონდა... არადა, კარიბის კრიზისის ამოწურვის შემდეგ ხრუშჩოვმა ტრაბახი დაიწყო — ამერიკას თურქეთის ინჯირლიყის სამხედრო ბაზიდან სტრატეგიული შეიარაღება ხომ გავატანინეო! სინამდვილეში კი, ამერიკელებმა ძველი იარაღის უტილიზაცია მოახდინეს და ინჯირლიყის სამხედრო ბაზა ახალი სტრატეგიული იარაღით აღჭურვეს! **სწორედ ხრუშჩოვმა დაიწყო იმ საბჭოთა სამეცნიერო სკოლების დემონტაჟი, რომელსაც სტალინი რუდუნებით ქმნიდა!**

**— მაგალითად, რომელი გააუქმა?**

— ხრუშჩოვმა გააუქმა **საბჭოთა კავშირის არქიტექტურის აკადემია** და რომ დასცლოდა, აპირებდა **საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის** გაუქმებასაც! ამის შესახებ მან პოლიტბიუროზეც განაცხადა და გაზეთშიც დაწერა — მეცნიერებათა აკადემია გადმონაშთიაო! **იმავე 1962 წელს ხრუშჩოვმა ჩაიდინა მორიგი სიგიჟე, რომელიც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის უცნობია.** ინდონეზიის მაშინდელმა პრეზიდენტმა **სუკარნომ** მოისურვა, რომ ნიდერლანდების კუთვნილი **ახალი გვინეა** შეეერთებინა. სანამ ნიდერლანდები გვინეის ამ ნაწილზე უარს იტყოდა, მანამდე სუკარნო ნიდერლანდების სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აი, ასეთ სიტუაციაში საბჭოთა ფლოტი „მოძმე ინდონეზიელი ხალხის“ დასახმარებლად დაძრა და ნატოს წევრი ნიდერლანდების წინააღმდეგ ომი გადაწყვიტა! იმის გამო, რომ ნიდერლანდებმა ეკონომიკური მოსაზრებებით ინდონეზიას გვინეის ნაწილი დაუთმო, მსოფლიო კიდევ ერთ უბედურებას გადაურჩა. **ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კრემლში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოეშორებინათ ნიკიტა ხრუშჩოვი, როგორც დესტაბილიზაციის, რებრესისა და ახალი მსოფლიო ომის გამომწვევი წყარო!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***


ЦИК СССР
Всесоюзная
Академия Архитектуры

### „1962 წლის ოქტომბერში ბირთვული ომი რომ დაწყებულიყო, საბჭოთა კავშირი განადგურდებოდა, რადგან ხრუშჩოვს საკმარისი რაკეტები არ ჰქონდა!“



***ნიკიტა ხრუშჩოვის, ვალტერ ულბრიხტის, ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტევოლის პლაკატები აღმოსავლეთ ბერლინის კედელზე. 1961 წლის 28 აგვისტო.***

### „ხრუშჩოვი თავს იწონებდა იმით, რომ თითქოს არ სურდა ცივი ომი და ესწრაფვოდა დასავლეთთან ურთიერთობის დათბობას, მაგრამ ეს ყველაფერი იყო ბლეფი, რადგან 1961 წლის 13 აგვისტოს მან ბერლინის კედლის მშენებლობა დაიწყო!“



სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# გამოცხადებული დამხობის ქრონიკა



## ზურაბ–გირჩი ჯაფარიძე სახელმწიფო შენობებში შეჭრასა და იქიდან ადამიანების წიხლებით გამოყრას აანონსებს!

***გაბრიელ გარსია მარკესის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაში“ ასეა: ძმები ვიკარიოები მთელ ქალაქში დანამომარჯვებული დადიან და ყველას ეუბნებიან, სანტიაგო ნასარი უნდა მოვკლათო! მიუხედავად ამისა, ძმების შეჩერებას არავინ ცდილობს და არც სანტიაგო ნასარს აფრთხილებს ვინმე — ვიკარიოები მოსაკლავად გეძებენ და თავს უშველეო!***

საინტერესოა, **ვინ ეცდება, შეაჩეროს ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, რომელიც საქვეყნოდ აცხადებს, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოაწყოს და ხელისუფლება ძალადობრივი გზით დაამხოს?**

გამოცხადებული დამხობის ქრონიკა, რომელიც **გირჩი ჯაფარიძემ ძებნილი კეზერაშვილის ტელეკანალიზაციიდან** წარმოგვიდგინა, ასეთია: **„შეგიძლია, მოახდინო ქალაქის პარალიზება ისე, რომ ცხოვრება გახდეს აუტანელი“.**

ე.ი. გირჩი ჯაფარიძემ და მისი ამქრის წევრებმა, რომლებმაც სოფელ ატოცში, საოკუპაციო ზოლთან შარვლები ჩაიხადეს და ე.წ. მესაზღვრეებს შიშველი უკანალები მიუშვირეს, ახლა თბილისისა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქების პარალიზება უნდა მოახდინონ, რაც იმას გულისხმობს, რომ ტრანსპორტმა ვერ უნდა იმოძრაოს, დასაქმებული მოქალაქე სამსახურში ვერ უნდა წავიდეს, მშობელმა შვილი სკოლაში ვერ უნდა წაიყვანოს, სტუდენტმა ლექციებზე ვერ უნდა იაროს, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პაციენტამდე ვერ უნდა მიაღწიოს, ე.წ. კატაფალკამ მიცვალებული საფლავამდე ვერ უნდა მიასვენოს და ასე შემდეგ.

კი, სწორედ ამას ნიშნავს **გირჩი ჯაფარიძის** ნათქვამი — **ცხოვრება აუტანელი უნდა გახდესო!**

და თუ ამ ყველაფერმა არ გაამართლა, **გირჩი ჯაფარიძე და მისი ამქარი** მომაკვდინებელ ნომერს მიმართავენ — **მთელ ქალაქში შარვალჩახდილები ივლიან, უკანალიდან გაზებს გამოუშვებენ, ჰაერს გააფუჭებენ და ასე გახდიან აუტანელს მოქალაქეთა ცხოვრებას.**

გირჩი ჯაფარიძე გამოცხადებული დამხობის ქრონიკას ასე აგრძელებს:

> **„შეიძლება სუს-ის შენობის ორივე მხრიდან ჩაკეტვა. 6 სუს-ის შენობა ჩავხერგეთ ერთდროულად მარტო ჩვენ სხვადასხვა ქალაქში. ეს იყო 6 მანქანით გაკეთებული, შეგიძლია, გააკეთო 60 მანქანით“.**

როგორც ხედავთ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის წინასწარ გაცხადებული



შარვალჩახდილი გირჩისტანი სოფელ ატოცში, საოკუპაციო ზოლთან

## გირჩი ჯაფარიძის მიერ გამოცხადებული დამხობის ქრონიკა ორ მთავარ სტრატეგიას ეფუძნება –

## ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის გაფუჭებას ფიზიკური ძალადობის გზით და ჰაერის გაფუჭებას შიშველი უკანალებიდან გაზების გამოშვების გზით!



გეგმა სახელმწიფო შენობების ბლოკირებას გულისხმობს, როცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის თანამშრომლებს სამსახურში შესვლისა და საქმიანობის საშუალება არ მიეცემათ ან ამ საშუალების მოსაპოვებლად საპოლიციო ძალების გამოყენება და ჯაფარიძის გირჩოსნებთან ფიზიკური შეხლა-შემოხლა დასჭირდებათ. **საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სახელმწიფო ინსტიტუტების, უპირველეს ყოვლისა, ძალოვანი სტრუქტურების გამოფიტვასა და ჩამოშლას ისახავს მიზნად.**

რატომ გეგმავენ გამოცხადებული დამხობის ქრონიკიორები სახელმწიფო შენობების ბლოკირებას ავტომანქანებით და არა ცოცხალი ძალით? განა უფრო ეფექტიანი არ იქნება, დემონსტრანტებმა შენობებს ალყა შემოარტყან და მათ გარშემო ცოცხალი ჯაჭვი შეკრან? საქმე ის არის, რომ ნაცოპოზიციას ქუჩაში შენობების ბლოკირებისათვის საჭირო რაოდენობის ხალხი ვერ გამოჰყავს!

მოდით, ასე შევხედოთ საკითხს — **ვინ აპირებს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობასა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას? ოპოზიცია, რომელსაც ქუჩაში იმდენი ხალხიც კი ვერ გამოჰყავს, რომ სამ-ოთხ შენობას ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყას!** ე.ი. სრულიად გაკოტრებულ და გამარგინალებულ ოპოზიციას უნდა, ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობის მიერ ნდობაგამოცხადებული ხელისუფლება დაამხოს და ძალაუფლება თავად ჩაიგდოს ხელში.

ამ მიზნის მისაღწევად **გამოცხადებული დამხობის ქრონიკის** ავტორი **გირჩი ჯაფარიძე** ადამიანებზე ძალადობასაც დასაშვებად მიიჩნევს:

> **„თუ დაპირისპირების გზა მათ შორის გადის იმაზე, რომ შენობიდან გამოაგდო ვიღაც, ეს შენობა ბიძინასი კი არ არის, იმ ხალხის არის, ვინც რუსთაველზე იყო შეკრებილი და რა პრობლემაა, რომ შევიდნენ და იქიდან წიხლებით გამოყარონ“.**

ე.ი. რა უნდა მოხდეს? **გირჩი ჯაფარიძის შარვალჩახდილი ამფსონები** პარლამენტისა და სამინისტროების, მერიებისა და საკრებულოების შენობებში უნდა შეცვივდნენ, იქ მომუშავე ადამიანებს დაერიონ და გარეთ გამოყარონ.

და თუ ამისათვის ფიზიკური ძალა არ ეყოფათ, ისევ ნაცად ხერხს მიმართავენ — **შარვლებს ჩაიხდიან, უკანალიდან გაზებს გამოუშვებენ, პარლამენტისა და სამინისტროების, მერიებისა და საკრებულოების შენობებში ჰაერს გააფუჭებენ და იქ მომუშავე ხალხი, აუტანელი სუნის გამო, იძულებული გახდება, შენობა დატოვოს.**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **გირჩი ჯაფარიძის** მიერ **გამოცხადებული დამხობის ქრონიკა** ორ მთავარ სტრატეგიას ეფუძნება — **ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის გაფუჭებას ფიზიკური ძალადობის გზით და ჰაერის გაფუჭებას შიშველი უკანალებიდან გაზების გამოშვების გზით!**

თუმცა, **გამოცხადებული დამხობის ქრონიკის** ავტორი **გირჩი ჯაფარიძე,** მთელი ნაცოპოზიციის მსგავსად, ერთ მთავარ რამეს არ ითვალისწინებს — **შარვალჩახდილ რევოლუციონერებს შეტაკება მოუწევთ არამხოლოდ სამართალდამცავებთან, არამედ საქართველოს ასეულათასობით მოქალაქესთან, რომელსაც დიდი ხანია, ნაცრევანშისტების პარპაში ყელში ამოუვიდა და ერთი სული აქვს, ხელში მოიგდოს ისინი, რათა გველივით გაუჭეჭყოს თავი!**

ასე რომ, **გამოცხადებული დამხობის ქრონიკა შარვალჩახდილი გირჩისტანისათვის შიშველი უკანალების აჭრელებით დამთავრდება და ამას არა რეზინის ხელკეტიანი ქართული პოლიცია, არამედ ჭინჭარმომარჯვებული ქართველი ხალხი გააკეთებს!**

რაც შეეხება პირადად **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს,** იგი ნამდვილი **პოლიტიკური დოქსოპულოა,** რომელიც 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის მიერ რუსთაველის გამზირზე მოწყობილი სასაკლაოს შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში გაწევრიანდა და არამხოლოდ გაწევრიანდა, არამედ პარტიის აღმასრულებელი მდივანიც გახდა.

**პოლიტიკურმა დოქსოპულო ჯაფარიძემ** 2013 წელს **ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში** ისიც აღიარა, რომ იცოდა, როგორც სცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს სააკაშვილის რეჟიმის დროს, მაგრამ ხმას არ იღებდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, **პოლიტიკურ დოქსოპულო გირჩი ჯაფარიძეს** პოლიტიკური დედაც ჰყავს და ეს არის **ამერიკის ელჩი კელი დეგნანი,** რომელმაც ამა წლის 17 აგვისტოს „გავრილოვის ღამე“ უწოდა 2019 წლის 20 ივნისს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს, როცა ნაცმომიტინგეებმა, ნიკანორ მელიას მეთაურობით, პარლამენტის შენობაში შეჭრა სცადეს!

ამ განცხადებით, ანუ ნაცპროპაგანდისტული ნარატივის ერთი-ერთში გამეორებით, **კელი დეგნანმა** არამხოლოდ სამი წლის წინანდელი ანტიკონსტიტუციური ქმედება გაამართლა, არამედ ნაცხროვას ნიშანი მისცა, რომ შეუძლიათ, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა მომავალშიც სცადონ!

ნიშანდობლივია, რომ **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძემ** სახელმწიფო შენობების ბლოკირების, შიგ შეჭრისა და იქ მომუშავე ხალხის კინწისკვირთ გამოყრის გეგმა საჯაროდ სწორედ მას შემდეგ გაახმიანა, რაც ამერიკის ელჩმა პარლამენტის შტურმით აღების მცდელობას **„გავრილოვის ღამე“** უწოდა.

ამდენად, **გამოცხადებული დამხობის ქრონიკის** ავტორი **პოლიტიკურ დოქსოპულო ზურაბ-გირჩი ჯაფარიძესთან** ერთად მისი პოლიტიკური დედა **კელი დეგნანიც** გახლავთ!

**ჯაბა ხუბუა**

## პოლიტიკურ დოქსოპულო გირჩი ჯაფარიძეს პოლიტიკური დედაც ჰყავს და ეს არის ამერიკის ელჩი კელი დეგნანი!

**ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ბნელი და კულისებს მიღმა ისტორიების შესახებ საუბრობს და კატეგორიულად აცხადებს, რომ იმ პოლიტიკურ სპექტაკლში, რომელიც 2003 წლის 22-23 ნოემბერს საქართველოში გათამაშდა, სალომე ზურაბიშვილის მთავარი მრჩეველი და ქვეყნის თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გენერალი დავით თევზაძე თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა და მომხდარის შესახებ ყველაფერი იცის:**


დასაწყისი იხ. „ა-დ“ №20-34



## მაყვალა ბერიანიძე:

# დავით თევზაძეს ერჩივნოს, რომ ეს ყველაფერი დაადასტუროს!

— რასაც ახლა გეტყვით, თუ ამას ჩემ მიერ დასახელებული პირები არ დაადასტურებენ, მაშინ წარმოგიდგენთ იმ დოკუმენტებს, სადაც ისინი, შინ თუ გარეთ, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ წინ, ძალიან საინტერესო რაღაცებს ლაპარაკობდნენ.

**— ქალბატონო მაყვალა, ბოლოს და ბოლოს, ვინ რას ლაპარაკობდა და სჩადიოდა ბინძური „ვარდების რევოლუციის“ მოსახდენად?**

— 2003 წელს აბსოლუტურად არ იგრძნობოდა, რომ **შევარდნაძე** წავიდოდა. მართალია, ამ არჩევნებში გასამარჯვებლად მის პარტიას — **„მოქალაქეთა კავშირს“** დიდი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებობდა იმავე შევარდნაძის ხელდასხმით შექმნილი **ნაციონალური მოძრაობა,** რომელსაც სააკაშვილი ხელმძღვანელობდა. მოგახსენეთ ისიც, რომ შევარდნაძემ პირდაპირ მოუწოდა მოსახლეობას — **თუ „მოქალაქეთა კავშირი“ არ მოგწონთ, მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას მიეცით ხმაო!** ანუ ედუარდმა კარტები ბოლომდე გახსნა და თავისი სამოქმედო გეგმა გაამჟღავნა, რომლის თანახმადაც **სააკაშვილი იგივე შევარდნაძე იყო.** მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ხელისგულზე იდო და დევს, ხალხი დღემდე მაინც იმაზე მკითხაობს, გადააბარა თუ არა შევარდნაძემ სააკაშვილს ხელისუფლება? არაერთხელ ვთქვი და კატეგორიულად ვაცხადებ: **დიახ, შევარდნაძემ სააკაშვილსა და მის ხროვას ხელისუფლება გადააბარა!** ამიტომაც იყო, რომ 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებს სააკაშვილი ფრთებგაშლილი და მხრებგაშლილი შეხვდა, რადგან იცოდა, ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და დაგეგმილი. გაგიკვირდებათ, მაგრამ 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მომზადების შესახებ ყველაზე მეტ ინფორმაციას **გენერალი დავით თევზაძე** ფლობს!

**— როგორ, რანაირად?**

— მოგეხსენებათ, **თევზაძე** მაშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო... მაშ ასე, გისახელებთ პირველ გვარსა და სახელს — **დავით თევზაძე,** რომელმაც „ვარდების რევოლუციაზე“ ბევრი რამ იცის! **სხვათაშორის, დავით თევზაძე გაქრობით მემუქრებოდა, რადგან მის შესახებ ბევრი კრიტიკული წერილი მაქვს დაწერილი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ გამაქრო!** თევზაძე ამასწინათ პრეზიდენტთან ერთად ვნახე შინდისში, სადაც 2008 წლის აგვისტოში გმირულად დაღუპული ბიჭების ხსოვნას პატივი მიაგეს. **ჰოდა, ვეკითხები გენერალ დავით თევზაძეს, რომელსაც განათლებაც ხელს უწყობს და კალამიც მშვენივრად უჭრის, ხომ არ დაწერს ან ილაპარაკებს იმ როლზე, რომელიც სალომე ზურაბიშვილს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებასა და სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში მიუძღვის?**

**— გაოგნებული ვარ, სალომე ზურაბიშვილს ე.წ. „ვარდების რევოლუციაში“ რა როლი ჰქონდა?**

— გამოვიდეს **დავით თევზაძე** და ამაზე ილაპარაკოს! **სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრი შემთხვევით არ გამხდარა,** ეს იყო მისთვის გაღებული საფასური იმ დამსახურებისთვის, რაც მან 2003 წლის ნოემბერში დადგმულ სპექტაკლში ითამაშა.

**— კიდევ რა იცის დავით თევზაძემ?**

— რასაც ახლა გეტყვით, თუ ამ ყველაფერს გენერალი **დავით თევზაძე** უარყოფს და არ დაადასტურებს, მერე მე ვიცი! აი, მაგალითად, **დავით თევზაძემ ძალიან კარგად იცის, თუ რაზე ესაუბრნენ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იგორ ივანოვს ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“!** საერთოდ, მწარედ მეცინება, როცა ვხედავ, რომ, ვისაც საქართველოსთან კავშირი ჰქონდა, ამ ქვეყანას სუყველა მტრად მოეკიდა. აი, მაგალითად, **იგორ ივანოვს** ახმეტასთან ჰქონდა კავშირი, **ლავროვის მამა** თბილისელი სომეხი იყო, **მედვედევსაც** თბილისში აქვს ფესვები, **ევგენი პრიმაკოვი** პლეხანოველი იყო, **დავით არახამია** გაგრელია, **არესტოვიჩი** დედოფლისწყაროელია... მოკლედ, ქართველებმა ჭკუა ვერ ვისწავლეთ! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ჩემთვის ცნობილია, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში რუსეთის გენშტაბიდან საქართველოს გენშტაბში საგანგებო სატელეფონო ზარი გაისმა და ითქვა — **მობილიზებული იყავით და იცოდეთ, რომ ხელისუფლება აფხაზეთზე იცვლება!**

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ ეს ყველაფერი!**

— ანუ რუსებმა საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, **გენერალ დავით თევზაძის** უწყებაში დარეკეს და პირდაპირ გვითხრეს — **სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვა იმ პირობით, თუ აფხაზეთი საბოლოოდ ჩაგვბარდებაო!** ასევე, მე ვიცი, რომ დავით თევზაძე ძალიან მეგობრობდა ამერიკის მაშინდელ ელჩთან **რიჩარდ მაილსთან.** ისიც ვიცი, რომ ედუარდ შევარდნაძე მაილსზე გაბრაზებული იყო, როცა ის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ პერიპეტიებზე მელაპარაკებოდა. მან ამის შესახებ ნაწილობრივ მითხრა, როცა 2006 წელს მისგან ინტერვიუები ავიღე. შევარდნაძის



**„არაერთხელ ვთქვი და კატეგორიულად ვაცხადებ: დიახ, შევარდნაძემ სააკაშვილსა და მის ხროვას ხელისუფლება გადააბარა!“**

## კვირგვინოსნები



**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

**2008 წელს რაც მოხდა** და როგორც მოქმედებდა მაშინდელი მთავრობა **სააკაშვილის** მეთაურობით, **ეს იყო სწორედ ღალატი ქვეყნისა და სამშობლოსი.** მას შეეძლო, ეს ომი თავიდან აეცილებინა ქვეყნისთვის, მას შეეძლო, არ აეხდინა რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ოცნება, **თუ არა მაშინდელი ხელისუფლების წინდაუხედავი, ყველაზე რბილი, თუ გინდათ, ღალატობრივი ქმედებებიც კი,** რუსეთი ვერ მოახერხებდა და ვერ აიხდენდა მრავალსაუკუნოვან ოცნებას და ვერ დაიპყრობდა საქართველოს ტერიტორიებს.

„რეზონანსი“



**ლაშა ქოიავა**
*თადარიგის პოლკოვნიკი, სამხედრო ქირურგი*

წარმოიდგინეთ, საომარ თათბირზე პოლიციელი იჯდა და კიდევ უარესი ის იყო, რომ **ომს იწყებ და გენერალურ თათბირს მთავარსარდალი არ ესწრება! ეს იყო სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაული!** შტაბში მითხრეს, იცით, რომ პრეზიდენტი გაიქცაო? მაშინ გავიგე, თურმე, ჯარი შეტევამდე ორი დღე რატომ გააჩერეს. **ჩამოვიდა მანქანა ტრიბუნებით, დროშებით, ბუშტებით, მას ჩამოჰყვა საქართველოს პრეზიდენტიც, რომ, როცა პოლიცია ცხინვალს აიღებდა, ქალაქში მიტინგი ჩაეტარებინა.** ჩამოიყვანა **კუშნერიც,** საუბრისას კი რაღაცამ წამოუარა და რაც მოხდა, ალბათ, ყველას აქვს ნანახი... **ჯარში კი უცებ გავრცელდა ხმა, რომ პრეზიდენტი გაიქცა.** სად გაიქცა, რა მოხდა, აღარავის აინტერესებდა.

„კვირის პალიტრა“



**ჯემალ გამახარია**
*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე*

**აფხაზეთის პრობლემის რეალური მოგვარება** შესაძლებელი გახდება მაშინ, როდესაც სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები მოხდება. **ასეთი დრო კარზეა მომდგარი.**

„ახალი თაობა“



**ელიშერ გვენეტაძე**
*პროფესორი*

შიდა და გარე მტრებს **სურდათ და დღესაც სურთ** საქართველოს ომში ჩართვა!

„ახალი თაობა“

თქმით, **რიჩარდ მაილსი დარ-დობდა ერთადერთს — ვაითუ ხავერდოვანი რევოლუცია სისხლისღვრაში გადაიზარდოსო!** ამიტომ იყო, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ ამერიკის ელჩი საგანგებოდ შეხვდა მიხეილ სააკაშვილს. მათ შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი... არ ვიცი, ამას დავით თევზაძე დაადასტურებს თუ არა, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილმა **რიჩარდ მაილსს** ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ უპირობოდ გასამარჯვებლად ასეთი რამ განუცხადა — **ყველაფერი რომ კარგად დასრულდეს, საჭიროა ათი გვამი!**

**— მოკლედ, ვანო მერაბიშვილმა გვამების მოთხოვნა სააკაშვილისგან ისწავლა?**

— ცხადია, ეს ერთი ბანდაა! ახლა ვეკითხები მთელ საქართველოს — **ამერიკის ელჩს რომ იმის თქმას გაუბედავენ — ათი გვამია საჭირო, რათა ხელისუფლება შეიცვალოსო! — წარმოგიდგენიათ, სად ვცხოვრობთ და რა სიტუაციაა ქვეყანაში?** ასე რომ, ვანო მერაბიშვილის ორი გვამი სააკაშვილის ათ გვამთან რაღა მოსატანია? სააკაშვილთან გამართული ამ უმძიმესი საუბრის შემდეგ **რიჩარდ მაილსმა** გადაწყვიტა, გენერალ **დავით თევზაძეს** შეხვედროდა, რომელიც მაშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო. როგორ გგონიათ, მაილსი თევზაძეს შეხვდა?

**— თუ მოინდომებდა, დარწმუნებული ვარ, შეხვდებოდა!**

— დიახ, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ წინ ამერიკის ელჩი **რიჩარდ მაილსი** საქართველოს თავდაცვის მინისტრს, გენერალ **დავით თევზაძეს** შეხვდა. ყველაზე საინტერესოა მათი შეხვედრის დრო! ეს შეხვედრა შედგა 2003 წლის 8-10 ნოემბრის ფარგლებში...

**— რა ფორმით მოხდა ეს შეხვედრა?**

— **რიჩარდ მაილსმა** თევზაძე თავისთან, საელჩოში დაიბარა...

## ამის შემდეგ ვინმეს საქართველოს დამოუკიდებლობაზე არ ილაპარაკოს! რომელ დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, როცა ამერიკის ელჩი საქართველოს თავდაცვის მინისტრს იბარებს?!

**— მაინც რა აინტერესებდა ამერიკის ელჩს?**

— ამერიკის ელჩს აინტერესებდა ერთადერთი რამ — **იმ შემთხვევაში, თუ ვითარება გართულდებოდა, ჩაერთვებოდა თუ არა პროცესებში ჯარი და ვის მხარეს დაიჭერდა თევზაძე? ანუ იქნებოდა თუ არა სისხლისღვრა?**

**— საინტერესოა, ამ შეხვედრის შესახებ შევარდნაძემ თუ იცოდა?**

— გენერალ დავით თევზაძეს ედუარდისთვის არაფერი უთქვამს და მერე თავს იმართლებდა — **ბატონ ედუარდთან კომუნიკაცია გაწყდაო!** როცა თევზაძეს ჩაეძიენ — როგორ მოხდა ეს ამბავი, შევარდნაძესთან კომუნიკაცია როგორ ვერ შეძელიო? — მან თავი იმართლა — ბატონ ედუარდს, მგონი, არ ახსენებდნენ და არ ეუბნებოდნენ, რომ მასთან შეხვედრა მინდოდაო! ეს იცით, როგორი ტყუილია? ასეთი რამ გამორიცხულია!

**დავიჯეროთ, დავით თევზაძე შევარდნაძეს სამთავრობო ტელეფონით ურეკავდა და ვილაც ამ კავშირს ბლოკავდა?** ძალიან კარგად ვიცნობდი შევარდნაძის სამდივნოს უფროსს და გამოვრიცხავ, რომ მან საქართველოს თავდაცვის მინისტრი **დავით თევზაძე** შევარდნაძეს არ დააკავშირა! ცოცხალია ის ქალბატონი და დარწმუნებული ვარ, სიმართლეს იტყვის! მოკლედ, დავით თევზაძე, რომელმაც, თურმე, შევარდნაძესთან კავშირი ვერ დაამყარა, ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ ღამით შეხვდა **გიორგი ბარამიძეს!**

**— ეს ყველაფერი თქვენ შევარდნაძისგან იცით თუ საიდან შეიტყვეთ?**

— არამხოლოდ შევარდნაძისგან ვიცი... **გამოვიდეს დავით თევზაძე, თქვას, რომ ეს ასე არ იყო და მერე ძალიან ძვირი დაუჯდება ყველაფერი!** დავით თევზაძეს ურჩევნია, რასაც ახლა თქვენთან ინტერვიუში ვაცხადებ, ეს ყველაფერი დაადასტუროს! თევზაძეს არ უარუყვია და ამის მტკიცებულებაც არსებობს, რომ მომიტინგეებს შორის ვის რა იარაღი ეჭირა, მან ამის შესახებ დაწვრილებით იცოდა! ანუ მიტინგზე სააკაშვილის მომხრენი შეიარაღებული იყვნენ! ასევე პარლამენტში შეჭრის მომენტში სუყველა შეიარაღებული იყო... ჰქონდა რა ინფორმაცია მომიტინგეთა შეიარაღების შესახებ, **დავით თევზაძემ** თავდაცვის სამინისტროში ჩაატარა საგანგებო თათბირი და გაიცა განკარგულება იარაღის საწყობების განსაკუთრებულ კონტროლზე აყვანის შესახებ. დარწმუნებული ვარ, **მაილსი-თევზაძისა** და **თევზაძე-ბარამიძის** შეხვედრების შესახებ შევარდნაძემ ყველაფერი ზუსტად იცოდა, ამიტომაც მან დავით თევზაძე თავისთან დაიბარა... როგორც თვითონ თქვა, სწორედ მაშინ უთქვამს მას შევარდნაძისთვის — **მოდით, დავლაგდეთო!** — ეს როგორ? — უკითხავს შევარდნაძეს. — პარლამენტის არჩევნების შედეგები უნდა გადაიხედოსო!

**— მოკლედ, თევზაძე შევარდნაძესთან ამერიკელების შემონათვალით მივიდა?**

— დიახ, სწორედ ასე იყო... სხვათაშორის, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამერიკელების აზრით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები უნდა გადახედულიყო, თუმცა, შევარდნაძე პრეზიდენტად დარჩენილიყო! ანუ ეს იყო კოჰაბიტაციის პირველი მცდელობა, რომელიც მაშინ ვერა, მაგრამ მოგვიანებით მაინც თავს მოგვახვიეს. შევარდნაძე-თევზაძის შეხვედრაზე ედუარდმა იკითხა — **რა იზამს ჯარი? — თუ ჩავერევით, მსხვერპლი იქნება!** — იყო თავდაცვის მინისტრის პასუხი. — **მე არ მინდა მსხვერპლი, არ მინდა სისხლისღვრა და ჯარი თავის ადგილზე დააწყვე!** — უთხრა თევზაძეს შევარდნაძემ.

ყურადღება მიაქციეთ ერთ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვან დეტალს — **2003 წლის 22 ნოემბერს, ახალი პარლამენტის პირველ სხდომაზე, რომელიც შევარდნაძემ გახსნა, არ მივიდა პატრიარქი და დიპლომატიური კორპუსის არცერთი წარმომადგენელი, ანუ ყველაფერი იყო განსაზღვრული, შეთანხმებული და ჩაწყობილი!** მე შევარდნაძისთვის მიკითხავს — ვითომ კვორუმი რომ არ გყოფნიდათ და აჭარაში **ვახტანგ რჩეულიშვილი** და **ირინა სარიშვილი** გააგზავნეთ, ის რა იყო-მეთქი? ხაზგასმით ვაცხადებ: კვორუმიც ყოფნიდათ და ყველაფერიც, მაგრამ სხდომაზე პატრიარქი არ მივიდა, დიპკორპუსი არ იყო და განხორციელდა ის, რაც განხორციელდა! 2003 წლის 22 ნოემბერს პატრიარქი ან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები რომ პარლამენტში ყოფილიყვნენ, სააკაშვილი იქ შეჭრას ვერ გაბედავდა! გამორიცხულია!

მეორე დღეს, 2003 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, თავდაცვის სამინისტროში **ნინო ბურჯანაძე** და **ზურაბ ჟვანია** მივიდნენ და **დავით თევზაძეს** მადლობა გადაუხადეს იმის გამო, რომ ჯარი პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერია და სისხლი არ დაიღვარა. არადა, ამ დროს მადლობა სინამდვილეში **ედუარდ შევარდნაძეს** ეკუთვნოდა, რადგან იმ კონკრეტულ სიტუაციაში სწორედ ის წავიდა სისხლისღვრის წინააღმდეგი! ხაზს ვუსვამ — **შევარდნაძის გადადგომას ჯერ კიდევ არავინ ითხოვდა, რევოლუციონერები მხოლოდ არჩევნების შედეგების გადასინჯვაზე ჭიდაობდნენ!**

**— აბა, რატომ გადადგა შევარდნაძე?**

— ჩვენ ამ თემაზე გვისაუბრია და, ალბათ, გახსოვთ შევარდნაძის სიტყვები, რომელიც ჩემთან თქვა — **„მე უნდა გადავმდგარიყავი, მაგრამ არა მაშინ! ეს იყო არა პოლიტიკოსის, არამედ კაცისა და მეუღლის გადაწყვეტილება!“** ჩვენ გვილაპარაკია, თუ რა მდგომარეობაში იყო **ქალბატონი ნანული** და რა უთხრა მან შევარდნაძეს, როცა „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში შემთხვევით მოისმინა აბსოლუტური ცრუ-ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს შევარდნაძე „ბოინგით“ აპირებდა ბადენ-ბადენში გაპარვას და მიჰქონდა მთელი საქართველოს ქონება!

## შევარდნაძემ მაშინ სიტყვასიტყვით მითხრა –

გაგრძელება 22-ე გვერდზე



2003 წლის 23 ნოემბერი. რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სააკაშვილთან ერთად

## „ქართველი ერის საუბედუროდ უნდა ითქვას, რომ სააკაშვილმა რუსებთან დადებული მოღალატეობრივი შეთანხმება დაიცვა და ბოლომდე შეასრულა!“



რიჩარდ მაილსი

## „სააკაშვილმა რიჩარდ მაილსს ასეთი რამ განუცხადა:

## ყველაფერი რომ კარგად დასრულდეს, საჭიროა ათი გვამი!“

### კვირგვინოსნები

**ანდრო ბარნოვი**
*პოლიტოლოგი*



**შევარდნაძის დროს ჭაობში ხომ ვიხრჩობოდით? მაგრამ თავისუფალი მედია იყო ჩვენი მომავლის ნაღდი გარანტი.** ყველას კარგად გვახსოვს ეს დრო. ოღონდ რამე საინტერესო გვექნა და ყველა მედიასაშუალება დაგვესეოდა, ყველა ყველაფერს გააშუქებდა. დიდი მამოძრავებელი ძალა იყო ეს როგორც სამოქალაქო სექტორისთვის, ისე პოლიტიკისთვის. **არანაირი ვარდების და ჟასმინების რევოლუცია არ იქნებოდა, რომ არა — თავისუფალი მედია.**

„აიპრესი“

**თენგიზ ფხალაძე**
*ჯიპა-ს ასოცირებული პროფესორი*



34 წლის შემდეგ შესაძლოა, ევროპაში კიდევ ერთხელ დადგეს **ბირთვული აფეთქების საფრთხე...** ახლა ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე სიტუაციას ვერავინ აკონტროლებს. ღმერთმა ნუ ქნას, **ბირთვული კატასტროფა** მოხდეს, თორემ **ჩერნობილი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ზაპოროჟიეს სადგურის მწყობრიდან გამოსვლას შეიძლება მოჰყვეს.**

„კვირის პალიტრა“

**ხათუნა ლაგაზიძე**
*ურთიერთობების ექსპერტი*



**რუსეთი ხდება ჩინეთის უმცროსი „ძმა“ და ვასალი.** ჩინეთი ძალიან შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი მოთამაშეა — ამ ქვეყნის ხელისუფლების დევიზია **„იჩქარე ნელა“.** ცნობილი ჩინური იგავის არ იყოს, **ჩინელებს ჰყოფნით მოთმინება, მდინარესთან დასხდნენ და ელოდონ, როდის ჩამოატარებს წყალი მათი მტრის გვამებს.**

„კვირის პალიტრა“

**გოგი დოლიძე**
*კინორეჟისორი*



ქაშუეთის წინ, გაჩერებასთან, დიდი დეკორატიული ქვებია და ახლა რომ მოვსინჯე, ვერაფრით დავძარი, 9 აპრილს კი მინდოდა, **ეს ქვები ამელო, რომ რუსული ტანკებისთვის მესროლა** და გამწარებულმა გვარიანად წამოვწიე... **ახლაც სულ ვფიქრობ, ისევ არ მოგვადგნენ... მარიუპოლი მონაგონი იქნება...**

„კვირის პალიტრა“

# „რუსებმა საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, გენერალ დავით თევზაძის უწყებაში დარეკეს და პირდაპირ გვითხრეს – სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვა იმ პირობით, თუ აფხაზეთი საბოლოოდ ჩაგვებარდებაო!“





## მაყვალა ბერიანიძე:

# ვეკითხები გენერალ დავით თევზაძეს –

### ხომ არ დაწერს ან ილაპარაკებს იმ როლზე, რომელიც სალომე ზურაბიშვილს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებასა და სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში მიუძღვის?

*დასაწყისი მე-20 გვერდზე*

**არ ვაპირებდი გადადგომას, მაგრამ ნანული ისე ავად იყო, როგორც მეუღლემ და კაცმა ეს გადაწყვეტილება მივიღეო!**

შევარდნაძე რომ არ უნდა გადამდგარიყო, ამის შესახებ **იგორ ივანოვსაც** კი შეუთანხმდა, რომელიც მას სწორედ ამ პირობით დაშორდა. სხვათაშორის, იმ დღეს იგორ ივანოვისგან განსხვავებით, შევარდნაძემ არ მიიღო **რიჩარდ მაილსი,** რომელზეც გაბრაზებული იყო.

მოკლედ, 23 ნოემბერია, ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ გუგუნებს და **ნინო ბურჯანაძის** ქმარი **ბადრი ბიწაძე** მიდის თავდაცვის სამინისტროში და დავით თევზაძეს ეუბნება — თავდაცვის მინისტრის პოსტი გაათავისუფლეო! თევზაძე დუმს, მაგრამ ამ დროს მასთან მიდის დეპუტატი **გიგი წერეთელი** და გენერალთან საუბარს იწყებს... წერეთელმა თევზაძეს ასეთი რამ შესთავაზა — **გამოდი და საქვეყნოდ განაცხადე, რომ შევარდნაძეს არ ემორჩილებიო!** სწორედ ამ დროს თევზაძეს შიდა ტელეფონით დაურეკა საქართველოს გენშტაბის უფროსმა, გენერალმა **ვლადიმერ იმნაძემ** და მოახსენა — სასწრაფო საქმე მაქვს, მოსკოვიდან, გენშტაბიდან, დარეკესო! თევზაძემ იმნაძეს უთხრა, რომ მასთან შესულიყო... შემოვიდა იმნაძე... გიგი წერეთელმა დააპირა გასვლა, მაგრამ თევზაძემ შეაჩერა — არა, თქვენც მოისმინეთო! გენერალმა **ვლადიმერ იმნაძემ** დავით თევზაძეს მოახსენა — დარეკეს რუსეთის გენშტაბიდან და მითხრეს: თქვენთან ჩამოსულია **იგორ ივანოვი,** ყურადღება მიაქციეთ მის ვიზიტს და იცოდეთ, რომ **ხელისუფლება აფხაზეთზე იცვლებაო!**

**— შევარდნაძე ამ დროს უკვე გადამდგარი იყო?**

— შევარდნაძე არ იყო გადამდგარი და სწორედ იმ წუთებში კრწანისის რეზიდენციაში **იგორ ივანოვს, სააკაშვილსა** და **ჟვანიას** ხვდებოდა. **დავით თევზაძემ** არც ამ სატელეფონო ზარის შესახებ ჩააყენა საქმის კურსში შევარდნაძე და არ უთხრა, რომ ხელისუფლება აფხაზეთზე იცვლებოდა! ამ ფაქტს თევზაძე ვერ უარყოფს... სხვათაშორის, არსებობს ინფორმაცია, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს **ნინო ბურჯანაძემ,** რომელიც მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, თევზაძეს უთხრა — **ქუჩაში ჯარი გამოიყვანეო!** მოგეხსენებათ, სიტუაცია რთული იყო და მაინც ფრთხილობდნენ, რათა ხალხი არ გაბრაზებულიყო...

თევზაძემ ნინო ბურჯანაძეს ქუჩაში ჯარის გამოყვანაზე უარი უთხრა.

**ვეკითხები დავით თევზაძეს – 2003 წლის 23 ნოემბერს გაიცვალა თუ არა ხელისუფლება აფხაზეთზე და დაურეკეს თუ არა მას ამის შესახებ რუსეთის გენშტაბიდან?**

მე ვპასუხობ — დიახ, გაიცვალა და **დიახ, დაურეკეს!** სწორედ ამიტომ იყო, რომ ნაძირალა სააკაშვილმა მეორე ნაძირალას — **ირაკლი ოქრუაშვილს** დააბომბვინა კოდორის ხეობა და განაიარაღებინა **ემზარ კვიციანის** „მონადირე“, რომელიც მაშინ იქაურობას იცავდა.

გაეროს საგანგებო შეთანხმებით, საქართველოს კოდორის ხეობაში ოფიციალური შეიარაღებული ძალების შეყვანის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ, რაც მაშინ სააკაშვილმა და ოქრუაშვილმა ჩაიდინეს, სხვა არაფერი იყო, თუ არა პროვოკაცია. გახსოვთ, ალბათ, მაშინ **ემზარ კვიციანი** ინგა გრიგოლიასთან ტელევიზიის პირდაპირ ეთერში იხვეწებოდა — ეს არ გააკეთოთ! სამწუხაროდ, ამას საზოგადოება მაშინ ვერ აცნობიერებდა, მაგრამ ყველაფერი მაშინ გაიშიფრა, როცა სააკაშვილმა და მისმა ხროვამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კოდორის ხეობა ტყვიის გასროლის გარეშე დათმეს და რუსები უბრძოლველად შემოუშვეს! **სწორედ ასე დასრულდა ის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანეს. ქართველი ერის საუბედუროდ უნდა ითქვას, რომ სააკაშვილმა რუსებთან დადებული მოღალატეობრივი შეთანხმება დაიცვა და ბოლომდე შეასრულა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია და სალომე ზურაბიშვილი

**„სწორედ ამიტომ იყო, რომ ნაძირალა სააკაშვილმა მეორე ნაძირალას – ირაკლი ოქრუაშვილს დააბომბვინა კოდორის ხეობა!“**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი პოლიანსკი**
*გაეროში რუსეთის ელჩის მოადგილე*



2008 წლის აგვისტოში **ადგილი ჰქონდა დიდ პროვოკაციას სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან,** რომელიც დასრულდა საქართველოსთვის უზარმაზარი პრობლემებით და ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკა. საქართველოს მოქმედმა ლიდერებმა შეაფასეს ეს მოვლენები. **მათ აღიარეს ეს უგუნური შეცდომა, რომელიც დაუშვა სააკაშვილმა.**

„რეზონანსი“

**მამუკა არეშიძე**
*კონფლიქტოლოგი*



ოპოზიციას ვურჩევ, **ბაქიბუქსა და ბალადებს თავი დაანებოს.** აუცილებლად იქნება რუსეთის მხრიდან გარკვეული მოძრაობა. **კარგს არაფერს ველი...** შეიძლება, სამიზნე ჩვენც ვიყოთ. რა ფორმით მოხდება ეს და როგორ, ვერ გეტყვით.

„ახალი თაობა“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



ამდენი აგენტი საიდან არის ამ პატარა ქვეყანაში, მიდრეკილება ხომ არ გვაქვს ამ აგენტობისადმი? **ისტორიაში რომ არ წაგვიკითხავს, იმ სახის ჰიბრიდული რეჟიმი დაგვატყდა თავს და ეს პირდაპირ გუდავს სახელმწიფოს.**

„ალია“

**დავით ჭიჭინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის“ ლიდერი*



ამერიკა და ევროკავშირი, რაკიღა **ბიძინა ივანიშვილის** ინტერესებს არ იცავენ და ოლიგარქიას ეწინააღმდეგებიან საქართველოში, არიან საქართველოს მტრები, ასე ესმით ამათ! ფაქტობრივად, პირდაპირ ეუბნებიან — უცხოელ პოლიტიკოსებს, **თუ ივანიშვილის წინააღმდეგ წახვალთ, გამოგაცხადებთ საქართველოს მტრებად და ავის მოსურნეებადო.** ეს უკვე სიგიჟეა.

„ალია“

# ბერად აღკვეცილი ყოფილი ვიცე-პრემიერი ხელს ადებს აფხაზეთში ომის დამწყებებს!

***ზუსტად 30 წლის წინათ, 1991 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლამ და იქ სისხლისმღვრელი კონფლიქტის დაწყებამ ჩვენს ქვეყანას უზარმაზარი მსხვერპლი მოუტანა და ენით აუწერელი უბედურება დაატეხა! რა თქმა უნდა, იმ მოვლენებს აქამდე იდუმალების ნისლი ფარავს და ბევრი რამ დანამდვილებით უცნობია. ამდენად, ერთობ საინტერესოა ინტერვიუ, რომელიც აფხაზეთის ომის დაწყების 30-ე წლისთავზე იმ ამბების აქტიურმა მონაწილემ, საქართველოს იმდროინდელი მთავრობის ვიცე-პრემიერმა სანდრო კავსაძემ — ამჟამად კი ბერად აღკვეცილმა არქიმანდრიტმა ილიამ — რადიო „თავისუფლებას“ მისცა!***



სანდრო კავსაძე – დღეს არქიმანდრიტი ილია ედუარდ შევარდნაძესთან ერთად



## არქიმანდრიტი ილია: შევარდნაძე ეძებდა საბაბს აფხაზეთში ჯარების შესაყვანად!

დავიწყოთ იმით, რომ სანდრო კავსაძე საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა! ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია, მის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ და გავიხსენებთ, რა მნიშვნელოვან თანამდებობებზე უმუშავია:

**სანდრო კავსაძე** იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის გენერალ-მაიორი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **(1976-1982 წ.წ.)**, პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი **(1990-1991 წ.წ.)**, სახელმწიფო საბჭოს წევრი **(1992 წ.)**, მეორე მოწვევის პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე **(1992-1997 წ.წ.)** და საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი **(1992-1993 წ.წ.)**.

**1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ** პუტჩისტებსა და გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას შორის მიმდინარე სამოქალაქო ომისას, **1992 წლის 9 ივლისს,** ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ერთმა ჯგუფმა ჩხოროწყუში ჩასული შევარდნაძის არალეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი **სანდრო კავსაძე** მძევლად აიყვანა და აფხაზეთში გადაიყვანა!

სხვათაშორის, შევარდნაძის უკანონო ხელისუფლებამ მთავრობის მაღალჩინოსნის ეს გატაცება შემდეგ, 1991 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ჯარების შეყვანის ერთ-ერთ მიზეზადაც კი დაასახელა!

თავად **არქიმანდრიტი ილია (სანდრო კავსაძე)** იმ ავბედითი დღიდან 30 წლის შემდეგ კითხვაზე: **იყო თუ არა სანდრო კავსაძის გატაცება აფხაზეთში ომის დაწყების მიზეზი, ასე პასუხობს:**

***„გამორიცხულია! თუმცა, შეიძლება, ეს გამოეყენებინათ საბაბად და სალაპარაკოდ...ეს პოლიტიკოსებს სჩვევიათ! საბაბს ეძებდნენ, აი, მატარებლებს ძარცვავენ, ამას აკეთებენ, იმას აკეთებენ...“.***

როგორც ხედავთ, შევარდნაძის მთავრობის ვიცე-პრემიერი პირდაპირ და შეუფარავად ადებს ხელს აფხაზეთში ომის წამომწყებებს, როდესაც ღიად ამბობს, რომ შევარდნაძე და მისი რეჟიმი აფხაზეთში შესასვლელად ნებისმიერ საბაბს ეძებდნენ!

აკი, მაშინდელი სამთავრობო ტელევიზია ომის დაწყებამდე დიდი ხნის მანძილზე საგანგებოდ და ხაზგასმით აშუქებდა „ყოფილი ხელისუფლების ბანდფორმირებათა დივერსიულ საქმიანობას აფხაზეთის ტერიტორიაზე“! ანუ დღეის გადმოსახედიდან ნათელია, რომ ეს აშკარად ერთგვარი ფონის შემზადება იყო აფხაზეთში შეჭრის გასამართლებლად!

რა თქმა უნდა, მაშინ ქვეყანაში ისეთი განუკითხაობა იყო, რომ, ალბათ, აფხაზეთშიც იძარცვებოდა სარკინიგზო შემადგენლობები, მაგრამ შევარდნაძის აგიტპრომის მიერ დასახელებული თანხა — აფხაზეთის რკინიგზის ძარცვისას, ჯამში, 10 მილიარდი მანეთის ქონება გაიტაცესო, აშკარად გაბერილია!

ფაქტი კი ის არის, რომ, როგორც კი ქართული შენაერთები აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ, მათ, როგორც თავიდან იყო გაცხადებული, ფსოუმდე რკინიგზის ხაზის პატრულირება კი არ დაიწყეს, პირდაპირ სოხუმისაკენ აიღეს გეზი,




არძინბას ხელისუფლება გააქციეს და მთავრობის სახლზე ქართული დროშაც ააფრიალეს!

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: **როგორც კი გალის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვართან ქართულ-აფხაზურ შენაერთებს შორის პირველი შეტაკებისას სისხლი დაიღვარა, მაშინდელ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს შევარდნაძეს არაფერი არ უღონია ამ ომის შესაჩერებლად!**

შემდეგ შევარდნაძეს არაერთხელ მოუყოლია, როგორც კი პირველი სისხლი დაიღვარა, **კიტოვანს** ვურეკავდი, მაგრამ ხაზზე არ იყოო, **ანუ შევარდნაძემ მთლად კიტოვანს დააბრალა ომის დაწყება!**

სხვათაშორის, არსებობს 1992 წლის აგვისტოს დასაწყისში შეკრებილი იმდროინდელი სახელმწიფო საბჭოს სხდომის სტენოგრამა (მაშინდელ ქართულ პრესაში არაერთხელ გამოქვეყნებული), როდესაც აფხაზეთში ჯარის შეყვანის საკითხი განიხილებოდა და შევარდნაძე დაჟინებით მოითხოვდა 14 აგვისტოსთვის აფხაზეთში შესვლას! მაშინდელი თავდაცვის მინისტრი **კიტოვანი** კი, სულ ცოტა, 10 დღით გადავადებას ითხოვდა ჯარის მოსამზადებლად! მაგრამ შევარდნაძემ მაინც თავისი გაიტანა და სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით დაიძრა ქართული ჯარი აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრისკენ 14 აგვისტოს!

**სანდრო კავსაძის ინტერვიუს რომ დავუბრუნდეთ, ის იმასაც იხსენებს, მისი მძევლად ყოფნისას დაწყებული ომი როგორ გაუხარდათ შევარდნაძე-იოსელიანის რეჟიმთან მამასისხლად დაპირისპირებულ მის გამტაცებლებსაც, ანუ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებსაც:**

***„ომის დაწყებისას მძევლად ვიყავი და თავმდგომები ამბობდნენ, ნახე, ახლა რა დაემართება შევარდნაძესო! ანუ ამათაც გაეხარდათ, რომ ამან შეიყვანა ჯარი! ეს იყო „აგდებული ვარიანტი“! იმიტომ, რომ ყველასთვის ნათელი იყო, რომ ჯარის შეყვანა აფხაზეთში იყო სერიოზული შეცდომა, სერიოზული დარღვევა! პოლიცია შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ჯარი, რომელიც უცხო ძალის მოსაგერიებლად არის სახელმწიფოში, შენი ხალხის წინააღმდეგ არ უნდა შეიყვანო!“***

40-დღიანი მძევლობის მიუხედავად, **არქიმანდრიტი ილია** აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეებისადმი წყენა არა აქვს! მძევლობისას კი ძალიან კარგად ექცეოდნენ და ბევრი სამშობლოს პატრიოტი ადამიანიც გაიცნო...

სანდრო კავსაძე იმასაც ღიად ამბობს, რომ აფხაზეთში ომის დაწყება **რუსეთის ინტერესებში** შედიოდა, მაგრამ სახელმწიფო სწორედ იმის სახელმწიფოა, რომ მტრის წისქვილზე არ დაასხას წყალიო!

სანდრო კავსაძე ძალიან მარტივად ხსნის, რას წარმოადგენდა მაშინდელი საქართველო, რომელსაც არც ლეგიტიმური პარლამენტი ჰყავდა და არც — ლეგიტიმური მინისტრთა კაბინეტი და ყველაფერს შევარდნაძის გარშემო შეკრებილი ეგრეთ წოდებული სახელმწიფო საბჭო წყვეტდა:

**„ჩვენი სახელმწიფო არ იყო შემდგარი! აი, ვინ ვწყვეტდით სახელმწიფო საკითხებს: ვსხედვართ — შევარდნაძე, თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, სანდრო კავსაძე... შემოვიდა რაღაც საკითხი. მე ვთქვი, არა, ეს არ არის სწორი! როგორ არ არის სწორი?! — შეიარაღებული ფორმირება აქვს ერთსაც და მეორესაც“!**

როდესაც **სანდრო კავსაძემ** კიტოვანი-იოსელიანის შეიარაღებული ფორმირებების დასაბალანსებლად შევარდნაძეს გაეროს ცისფერჩაფხუტიანების მსგავსი შენაერთების შექმნა შესთავაზა, საქართველოს მაშინდელ ლიდერს დაუფარავად უპასუხია — **აზრი არა აქვს ახალი რამის შექმნას, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, როგორმე ეს ჯაბა და კიტოვანი განვაიარაღოთო!**

და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ აფხაზეთში ომის დაწყების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს იყო: **რაც შეიძლება მეტი გვარდიელი და მხედრიონელი დაღუპულიყო! რაც მოხდა კიდეც და ამით სწორედ შევარდნაძემ ისარგებლა საკუთარი ერთპიროვნული მმართველობის გასაძლიერებლად!**

შევარდნაძემ ჯერ თავდაცვის მინისტრობიდან გათავისუფლებული **თენგიზ კიტოვანი** დააპატიმრა, ვითომ აფხაზეთში ხელახლა შეჭრას რომ აპირებდა, შემდეგ კი **მხედრიონგაუქმებული ჯაბა იოსელიანი** მიუსვა გვერდით — **„იმელის“ შენობიდან გამოსულ შევარდნაძეზე 1995 წლის 29 აგვისტოს ცნობილი ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით!**

აფხაზეთი კი უკვე 30 წელია, დაკარგულია და ერთმა ღმერთმა უწყის, როდის დავიბრუნებთ მავანთა პოლიტიკურ თამაშებს შეწირულ ამ ჩვენს ძირძველ მიწას!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ლია ელიავა**
*ფინანსისტი*



**ლარის გამყარებასთან ერთად, ფასები დაბლა არ იწევს.** ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს უცხოური გადმორიცხვებით. თუკი ადრე გამოგზავნილი უცხოური ვალუტით მეტი საქონლის შეძენა იყო შესაძლებელი, დღეს მისი წონა ბაზარზე ბევრად ნაკლებია, ამიტომ **ასეთი გამყარება არც საქართველოს ეკონომიკას არგია და არც — მოსახლეობას.**

„რეზონანსი“

**ირაკლი მაკალათია**
*ეკონომიკის დოქტორი*



ის, რომ მომდევნო თვეებში შესაძლოა, შემცირდეს ინფლაციის მაჩვენებელი, უკეთესობის მომასწავებელი სულაც არ არის. ეს ნიშნავს, რომ **უკვე გაძვირებულ პროდუქტებზე ფასები შედარებით ნაკლებად გაიზრდება და არ შემცირდება,** ანუ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობასა და ცხოვრების დონეზე დადებითად ვერ აისახება.

„რეზონანსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



**სავიზო რეჟიმი** ბუნებრივი მოვლენაა მთელ მსოფლიოში. ამაზე ლაპარაკით ომი რატომ უნდა დაიწყოს, **„ოცნებას“ მოსახლეობა მართლა ასეთი რეგვენი ჰგონია?!**

„კვირის პალიტრა“

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

პუტინმა სააკაშვილის ციხეში საკითხავი




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში დეტალურად იხსენებს, აგვისტოს ომის წინ როგორ გააფრთხილა ის 2008 წლის ივნისში საქართველოში ჩამოსულმა გერმანიის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვალტერ შტაინმაიერმა — მალე რუსეთი ომს დაგიწყებთო!** და მიუხედავად შტაინმაიერის წინასწარმეტყველებისა, სააკაშვილმა გაგანია ომის დროსაც კი არ ჩამოართვა ცხინვალის რეგიონში რუსეთს სამშვიდობო მანდატი, რომელიც მას ჯერ კიდევ შევარდნაძემ მიანიჭა 1992 წელს დაგომისის ცნობილი შეთანხმებით:

***„შტაინმაიერმა ყველაფერი აბსოლუტურად სწორად იწინასწარმეტყველა, ერთის გარდა: ჩვენ არ ჩამოგვირთმევია რუსი სამხედროებისათვის სამშვიდობო სტატუსი. საერთაშორისო ორგანოები სწორედ ამის გამო გვედავებიან — ბევრი სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი დაიღუპაო. ჩვენ სამშვიდობო ძალების სტატუსი იმიტომ არ ჩამოვართვით რუსებს, რომ არ გვსურდა, კონფლიქტის ინიციატორებად ჩავეთვალეთ“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 173).*

მემუარისტი თავს იმართლებს — თანაც, ძალიან უბადრუკად! რამდენიმე აბზაცის წინ თვითონ იხსენებდა, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე საქართველოში სამშვიდობო მისიით ჩამოსულ შტაინმაიერს ჩვენ თვითონ შევთავაზეთ, იქნებ, ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მანდატი გავაფართოოთ ევროკავშირის სამშვიდობო ძალებით, რუსეთს ექსკლუზიური მშვიდობისმყოფელობა რომ არ ჰქონდესო! და როდესაც აგვისტოს პირველ დღეებში ოსმა სეპარატისტებმა ქართული სოფლების ინტენსიური დაბომბვა დაიწყეს და ამაზე რუსმა სამშვიდობოებმა ხელები დაიბანეს, ჩვენ მანდატს ვერ ვასრულებთ, ოსები არ გვემორჩილებიანო, აი, სწორედ მაშინ უნდა გაეუქმებინა საქართველოს ოფიციალურად რუსეთისათვის მინიჭებული სამშვიდობო მანდატი! ეს იმიტომ იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ რუსეთს აღარ ექნებოდა ოფიციალურად გაცხადებული საბაბი, საქართველოს არმიამ ცხინვალის რეგიონში ჩვენი სამშვიდობოები დაბომბა და დახოცაო! **როგორც კი საქართველოს ხელისუფლება რუს სამშვიდობოებს მანდატს გააუქმებდა, ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის ოკუპანტები იქნებოდნენ და არა — ხელშეუხებელი სამშვიდობოები!**

მაგრამ სააკაშვილმა ეს არ გააკეთა! ორიდან ერთია: **მან ეს — ან გონებაშეზღუდულობის, ანდა სამშობლოს ღალატის გამო არ გააკეთა, რუსეთისთვის კარგი საბაბი რომ მიეცა საქართველოს დასაპყრობად!**

შემდეგ სააკაშვილი, პირდაპირი მნიშვნელობით, ამერიკისა და ევროკავშირის გაშავებას იწყებს და, პრაქტიკულად, მათ აბრალებს ყველაფერს, შტაინმაიერის გარდა არავინ გაგვაფრთხილაო:

***„ეს ერთადერთი პირდაპირი გაფრთხილება იყო. ამ საუბრამდე რამდენიმე კვირით ადრე კონდოლიზა რაისმა გვითხრა — რუსეთი თავს არ დაგესხმებათ, მთავარია, თქვენ სიმშვიდე შეინარჩუნოთ — რაც არ უნდა მოხდეს, რეაგირება არ მოახდინოთ, რუსები ომს არ დაიწყებენ, ისინი, უბრალოდ, გაშინებენ“*** *(იქვე, გვ. 173).*

დიახ, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი **კონდოლიზა რაისი** (და არამხოლოდ ის) ღიად აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას, არ წამოგებოდნენ რუსულ პროვოკაციას, ანუ ოსი სეპარატისტების მიერ ქართული სოფლების დაბომბვას და არ ჩაბმულიყვნენ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში! **მაგრამ სააკაშვილმა ეს გაფრთხილება ფეხებზე დაიკიდა!**

სააკაშვილი ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშსაც** კი აშავებს, დაბნეული იყოო:

***„ბუში დაბნეული იყო. ცხადი იყო, რომ სიტუაცია სწრაფად იძაბებოდა, მას კი პასუხი არ ჰქონდა. მაისში ჩვენ იერუსალიმში, ისრაელის სახელმწიფოს სამოცი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე შევხვდით. მე ვხედავდი, რომ ბუში ჩემთან შეხვედრას თავს არიდებდა. რუსები თავს უყრიდნენ სარკინიგზო ჯარს, ატარებდნენ სამხედრო სწავლებებს, ამერიკელებმა არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ“*** *(იქვე, გვ. 173).*

მემუარისტი ერთ დეტალსაც იხსენებს, როგორ შეახვედრა იერუსალიმში ბუშთან პოლონეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ლეხ კაჩინსკიმ:**

***„მიღების დროს, რაღაც მომენტში, კაჩინსკიმ ბუში კუთხეში მიიმწყვდია და მე დამიძახა. პოლონეთის პრეზიდენტს კარგად ესმოდა, რაც ხდებოდა და საოცრად ნერვიულობდა. როდესაც მივედი, ასეთი სურათი დამხვდა: კაჩინსკი უტევს ბუშს, ბუშს კი თვალები გაურბის. დამინახა რა მე, კაჩინსკიმ მითხრა, რომ პრეზიდენტს უხსნის, რომ სიტუაცია უარესდება, საჭიროა, რაღაც გაკეთდეს. ბუში კი პასუხობს: ჩვენ ვმუშაობთ, ცოტა დრო მოგვეცით. შესაძლოა, აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამსახური, გერმანიის დაზვერვისგან განსხვავებით, ინფორმაციას არ ფლობდა“*** *(იქვე, გვ. 173).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი, პრაქტიკულად, ამერიკას ადანაშაულებს აგვისტოს ომის დაწყებაში!

იქვე სააკაშვილი კიდევ ერთ ამბავს იხსენებს აგვისტოს ომის ამბებში ამერიკის გასაშავებლად:

***„ივნისში მე მოვიწვიე ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და ნებართვა ვთხოვე, რომ ერაყიდან ჩვენი ბრიგადა გამოგვეწვია. ეს უფლება ჩვენს ქვეყანაში სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევისათვის გვქონდა დატოვებული.*** *ეს ყველაზე ბრძოლისუნარიანი ქართული ბრიგადა იყო.* ***ტეფტმა,*** *რომელსაც მე ძალიან ჭკვიან და კარგ ადამიანად ვთვლი, მომისმინა და მითხრა, რომ ჩემს თხოვნას ვაშინგტონს გადასცემს.* ***გარკვეული დროის შემდეგ ელჩმა მაცნობა, რომ მისთვის გასაგებია ჩვენი თხოვნის გონივრული საფუძველი, მაგრამ ყოველივე ამან რუსეთის პროვოცირება რომ არ გამოიწვიოს, მოცდას გვირჩევს. ვფიქრობ, ეს რჩევა ვაშინგტონთან იყო შეთანხმებული“*** *(იქვე, გვ. 174).*

და ამის შემდეგ სააკაშვილი სენსაციურ აღიარებას აკეთებს:

***„მდგომარეობა სულ უფრო უიმედო ხდებოდა. შტაინმაიერთან საუბრისა და კონდოლიზა რაისის დაპირებების შემდეგ, რომლებსაც ბოლომდე არ დავუჯერეთ, მე მივწერე მოსკოვში, რომ სიტუაცია ფეთქებადია და შევთავაზე სასწრაფოდ მოლაპარაკებების დაწყება. ბევრს ვფიქრობდი, რა უნდა შემეთავაზებინა ისეთი მოსკოვისთვის*** *(თუკი რუსეთს მართლაც არ უნდოდა ომი),* ***რომ ისინი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულიყვნენ. და ასეთი მოსაზრება მივაწოდე. მე ვაღიარებდი, რომ რუსეთს აფხაზეთში ინტერესები ჰქონდა. ყველა პრობლემა რომ გადაგვეჭრა, მზად ვიყავი, მხარი დამეჭირა პრიმაკოვის იდეისთვის — აფხაზეთი არაფორმალურად გაგვეყო ქართული და რუსული გავლენის სფეროებად“*** *(იქვე, გვ. 174).*

ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილი დათანხმდა აფხაზეთის რუსეთზე გაყიდვას! და იქვე დეტალურად აქვს ჩამოთვლილი, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაეყიდა აფხაზეთი:




## მიხეილ სააკაშვილი:
## მზად ვიყავი, აფხაზეთი რუსული და ქართული გავლენის ზონებად გამეყო!



***„რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო, პირდაპირ შემეთავაზებინა აფხაზეთის ფორმალური გაყოფა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შემთხვევაში, მზად ვიყავი, განმეხილა აფხაზეთის გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ყველა ინტერესის დაკანონება, აეროპორტისა და რკინიგზის გახსნა, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროა სოჭის ოლიმპიადისთვის. მეორე, ყველა რუსი მესაკუთრის უფლებების აღიარება დევნილების დაბრუნების სანაცვლოდ აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში (პირველ ეტაპზე), ადმინისტრაციული ხაზიდან სოხუმამდე, რომელიც მკვდარ ზონას წარმოადგენდა, შემდეგ, მოლაპარაკებების წარმოება, თემებს შორის სახალხო დიპლომატიის განვითარება და მათი თანდათანობითი დაახლოება. მე ვთავაზობდი საერთაშორისო კონტროლის გაძლიერებას და იმავდროულად მოსკოვის „მისი“ გავლენის ზონაში ყოფნის აღიარებას — გუდაუთის ბაზის, მაგრამ არა როგორც სამხედრო ბაზის, არამედ როგორც ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის დაკანონებას, სადაც ჩვენი ჯარიც განლაგდებოდა, ნავთობის მოპოვებაზე ნებართვის მიცემას, რაც მათ ძალიან აინტერესებდათ და სხვა ეკონომიკური ინტერესების აღიარებას“*** *(იქვე, გვ. 174).*

ჯერ ერთი, არავინ მოატყუოს სააკაშვილის ფრაზამ — **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შემთხვევაში, მზად ვიყავი, განმეხილა აფხაზეთის გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხი“!** რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ჯერ კიდევ 1992 წელს ჰქონდა აღიარებული, ამიტომ ამ უკვე არსებული აღიარების ფასად აფხაზეთის გაყიდვას არავითარი გამართლება არა აქვს!

მეორეც, სააკაშვილი თავისი პირით აღიარებს, რომ მზად იყო, აფხაზეთი ასე გაეყიდა: **ენგურის ხიდიდან სოხუმამდე ქართული გავლენის სფერო იქნებოდა, სოხუმიდან ფსოუმდე კი რუსული ოკუპაცია დაკანონდებოდა!**

აღარაფერს ვამბობ რუსეთისთვის **გუდაუთის ბაზის** დაკანონებაზე — იმ ბაზისა, რომელიც ეუთოს 1999 წლის სტამბოლის სამიტზე შევარდნაძის, ელცინისა და ამერიკელი და თურქი პრეზიდენტების ხელმოწერილი შეთანხმებით, რუსეთს ავალდებულებდა გუდაუთიდან აბარგებას!

როგორც მემუარისტი იხსენებს, სამშობლოს გაყიდვის ამ აშკარა შეთავაზებას რუსები არ დაეთანხმნენ:

***„ლავროვმა სავსებით არადიპლომატიურად გვიპასუხა. მან ძალიან უხეში ფორმით მოგვწერა, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთში დევნილების, თუნდაც ნაწილობრივ, დაბრუნებაზე საუბარს აზრი არა აქვს. ეს წერილი რუსეთის ოფიციალური პოზიციის შესამჩნევი გამკაცრების მიმანიშნებელი იყო“*** *(იქვე, გვ. 175).*

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, ამ ყველაფრის შემდეგ როგორ ჩამოვიდა თბილისში რუსული დელეგაცია:

***„ივლისის შუა რიცხვებში თბილისში რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მოადგილე ზუბკოვი ჩამოვიდა. მე ვიმედოვნებდი, რომ ზუბკოვი კონტრწინადადებებს მაინც მოგვაწოდებდა. ამის მაგიერ, მოვიდა რა შეხვედრაზე, ყვირილი დამიწყო.*** *რუსეთის ელჩი, რომელიც ზუბკოვს თან ახლდა, უფრო მაღალ ხმაზე ყვიროდა. ეს ძალიან უცნაური დემარში იყო — რუსეთის წარმომადგენლები ჩემს კაბინეტში მემუქრებოდნენ, ყვიროდნენ და მაგიდაზე მუშტებს გვიბრახუნებდნენ“ (იქვე, გვ. 175).*

მოკლედ, სააკაშვილი ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ყველაფერი სცადა აგვისტოს ომის თავიდან ასაცილებლად, სამშობლოს გაყიდვის ჩათვლით! მაგრამ შემდეგ ადგა და ოსი სეპარატისტების ასალაგმავად და ეგრეთ წოდებული **„კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად“** ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება დაიწყო ცხინვალის რეგიონში, ანუ ზუსტად ის გააკეთა, რისი არგაკეთებისკენაც კატეგორიულად მოუწოდებდა დასავლეთი და რის გაკეთებასაც ასე ელოდებოდა ჩასაფრებული რუსეთი, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობისათვის წარსადგენად ოფიციალური საბაბი სჭირდებოდა საქართველოში შემოსაჭრელად!

**და ცხინვალზე შეტევისას რუსი სამშვიდობოების მკვლელობა სააკაშვილის მიერ პუტინისთვის მირთმეული სწორედ ის უდიდესი საჩუქარი იყო!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

*პოეტი, მთარგმნელი და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი **სიმონ ჯაფარიძე**, იგივე **იმერი ხრეველი**, რამდენიმე წელია, სოფელ გლდანში მოხუცთა პანსიონატის ბინადარია. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წლის წინათ მხედველობა დაკარგა, საქართველოში მიმდინარე პროცესებს რადიომიმღებით ეცნობა და ყველა მოვლენაზე თავისი ლოგიკური მოსაზრება აქვს:*






## სიმონ ჯაფარიძე:

# ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲤᲔᲠᲨᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲥᲝᲗᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ!

— ხუთი წელია, თვალისჩინი დაკარგული მაქვს, მაგრამ გონება შემრჩა და მიხარია, რომ ახლა ჩემს მოსაზრებებს ვუზიარებ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲡ“.** კატეგორიულად ვგმობ რუსი ტურისტების — ბავშვიანი ქალების დევნას და მათთვის პანღურების რტყმას, რაც ნაციზმისა და ფაშიზმის კონგლომერატია! ვისაც ჰგონია, რომ საქართველოში ჩამოსული სტუმრების ფიზიკური შეურაცხყოფით სიტუაციას დაძაბავენ და პროტესტის ტალღას ააგორებენ, ძალიან ცდებიან! ეს არც ჩვენს პოლიტიკას სჭირდება, არც — კულტურას. ქვეყანა ისედაც საშიშროების წინაშეა — ტყვიას არ გაისვრიან, ისე აღმოვჩნდებით უმცირესობაში! სამაგიეროდ, უმრავლესობაში შეიძლება მოვიდნენ არა რუსები, არამედ ჩინელები, არაბები, თურქები... **ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ 60 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲘᲧᲘᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ!**

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ვისაც შვილის ყოლა შეუძლია, ყველა უცხოეთში მიდის, მოხუცები კი ბავშვებს ვერ გააჩენენ, ერი ვერ გამრავლდება. დემოგრაფების აზრით, 2050 წლისთვის ქართველების რაოდენობა ძალიან შემცირდება. 30 წელია, ერთ წრეზე დადის საქართველო და ამ ყველაფრის თავი და თავი ედუარდ შევარდნაძეა, რომელმაც სიტუაციის არევა ჯერ კიდევ 1981 წლიდან დაიწყო!

**— რატომ 1981 წლიდან?**

— 1981 წელს ედუარდ შევარდნაძეს **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲛ** ამცნო, რომ არსებობს მენშევიკების დროს საქართველოდან წაღებული არქივის დაკარგვის საშიშროება — **ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲒᲐᲣᲕᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐᲝ...** შევარდნაძეს არ უთქვამს, ვადა თუ გასდის, ჩამოვიტანოთო, არამედ იკითხა — როდემდეა გადახდილიო? არადა, საფრანგეთში დაცული არქივი ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს! **ᲘᲛᲐᲕᲔ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ ᲓᲐᲐᲬᲕᲔᲕᲘᲜᲐ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲙᲝᲨᲙᲘᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ, 10 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲔᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲥ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.** ამიტომაც ვამბობ — **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛᲐᲪ ᲛᲝᲙᲚᲐ!** ახლა რუსებს რომ გადაეკიდნენ და საკუთარი პოლიტიკური სვლების ანალიზს არ აკეთებენ,

**ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲒᲘᲟᲘ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲨᲔᲡᲫᲘᲜᲐ. ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲒᲘᲟᲔᲑᲘ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ.**



აკი, სწორედ შევარდნაძემ მოგვიყვანა სააკაშვილიც.

ისე, შევარდნაძე განათლებით ფერშალი იყო — მედიცინის და თუ ძმა, მოხუცებისა და ავადმყოფების ღამის ქოთნები უნდა ეტარებინა, მაგრამ ღამის ქოთნების სატარებლად უცხოეთში თვითონ კი არ წავიდა, ქართველი ქალები გააგზავნა!

შევარდნაძე და მისი ცოლი შემოღობილ ტერიტორიაზე რომ არ იყვნენ დასაფლავებული, ხალხი სამარიდან ამოიღებდა და როგორც ფილმშია, ხეზე მიაყუდებდა.



## «ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛᲐᲪ ᲛᲝᲙᲚᲐ!»

**— შემოდგომაზე ოპოზიცია რევოლუციური ტალღის აგორებას გეგმავს, უკრაინაში ომი გრძელდება, როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ჯერჯერობით უცხოეთიდან გამოყოფილი მილიონებით გრიალებენ. 27 მილიარდია საგარეო ვალი და ეს ციფრი ჩვენი პარლამენტარების რაოდენობაზე რომ გაყო, იმდენ მილიონს მიიღებ, რასაც სააკაშვილს ედავებიან, ანუ 9 მილიონს! სალომე ზურაბიშვილიც იმიტომ არის უკმაყოფილო, რომ ფონდში ფული არ დაუტოვეს, სააკაშვილს თუ 40 მილიონი ჰქონდა, ხოლო მარგველაშვილს — 4 მილიონი, ამას არაფერი აქვს და ყველა უკმაყოფილებაც აქედან მოდის! რაც შეეხება ოპოზიციას და მის ლიდერს — **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ,** მაგრამ არაფერი გამოუვიდა, თუმცა, კრემლში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა, მგონი, მაინც მოასწრო!

*ესაუბრა*
***ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ**
*მსახიობი*



ხომ ყვირიან — **შიათ, შიათო! გაანძრიონ ხელფეხი და აღარ მოშივდებათ.** ჩემმა მეგობარმა ვერ იშოვა ოფისში დიასახლისი, არადა, 900 ლარს გადაუხდის. არ უნდათ, კუდი ყავარზე აქვთ გადებული. **ჩემი შვილიშვილი მიმტანად მუშაობს და პრაქტიკას გადის სასტუმროში!** პატივმოყვარეობა სხვა რამეში ჩადეთ.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*მსახიობი*



რამდენი როლი შევასრულე, **მაინც მიხოდ ვრჩები!** გულის სიღრმეში ცოტა მწყინს, რომ **მსახიობობა არცერთმა შვილმა მოინდომა,** მაგრამ, რომ დავფიქრდები, რა ძნელია ჩვენი პროფესია, რამდენ სირთულესთან არის დაკავშირებული. ვხვდები, სწორი არჩევანი გააკეთეს.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ**
*მომღერალი*



40 წლის რაც გავხდი, **ნაკლებ რამეზე მეშლება ნერვები.** მინდა, ყოველი დღით გავიხარო და ვისიამოვნო. **ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ ნეგატივს და ცხოვრებისეულ წვრილმანებს.** მეტად ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, თავი გავინებივრო.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲥᲔᲗᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*მოყვარული მსახიობი*



ცუდია, რომ ბავშვობაში არ ხარ დამოუკიდებელი, თუნდაც იმაში, რომ შენი პროფესია აირჩიო. არ ვიცი, რატომ არ ვთქვი, რომ **არ მინდოდა იურისტობა.** მე თეატრალური არ მაქვს დამთავრებული. **ქუჩიდან მოვხვდი ამ სფეროში.**

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

*ქართველი ჰომეოპათი და ექიმი*
***კახა საბახტარიშვილი***
***აცხადებს**, რომ ღამით გახშირებული შარდვის უკან შესაძლოა, მრავალი საშიში პათოლოგიის საწყისი სტადია იმალებოდეს და აფრთხილებს მოსახლეობას, საგანგებო ყურადღება დაუთმონ ორგანიზმის საგანგაშო გზავნილებს:*



# კახა საბახტარიშვილი: ხვრინვა და ღამით გახშირებული შარდვა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია!

— ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ადამიანთა დიდი ნაწილი, როგორც წესი, ღამით შარდვის გახშირებას უჩივის. საერთოდ, ჯანმრთელი ადამიანი დღის განმავლობაში ოთხ-რვაჯერ შარდავს, ხოლო ღამით მოშარდვის მოთხოვნილება ორს არ აღემატება. **თუ ადამიანი ბევრ სითხეს, კოფეინის შემცველ ბევრ სასმელს ან ალკოჰოლურ პროდუქტს მიიღებს, სვამს შარდმდენ მედიკამენტებს, დიდი რაოდენობით მიირთმევს საზამთროს ან ნესვს,** ბუნებრივია, ღამის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერაც მოშარდავს, რაც არანაირი დარღვევა არ გახლავთ, მაგრამ, თუ ზემოხსენებულ მიზეზებს ადგილი არა აქვს და ადამიანი მაინც 3-4-ჯერ ან მეტჯერაც დგება, ეს უკვე ზოგიერთი სერიოზული დაავადების მანიშნებელი შეიძლება იყოს!

**— მაინც რომელ დაავადებებზე მიგვანიშნებს ღამით ხშირი შარდვა?**

— ღამით ხშირ შარდვას **ნიქტურია** ეწოდება. თუ ადამიანი უჩივის დაღლას, მცირე მანძილის გავლის შემდეგ აღენიშნება ქოშინი, დღის ბოლოს ფეხები უშუპდება, ღამით მოსაშარდად რამდენჯერმე დგება, ხოლო დილით ფეხების შეშუპება უქრება, ეს უკვე **გულის ქრონიკული უკმარისობის** საწყისი ნიშნებია. საქმე ის გახლავთ, რომ დღისით, როდესაც ადამიანი აქტიურია და სითხეს მიირთმევს, გულზე დატვირთვა იზრდება, რის გამოც სათანადოდ ვეღარ იკუმშება, თირკმლებში სისხლის მიმოქცევა უარესდება და სითხის გამოყოფის შემცირების კვალდაკვალ ფეხებიც შუპდება. ღამით, როცა ადამიანს სძინავს, გული ნაკლებად არის დატვირთული, თირკმლების სისხლით მომარაგება უმჯობესდება და შარდის გამოყოფის გზით ორგანიზმი ზედმეტი სითხისგან განიტვირთება. **თუ ამ მოვლენას ყურადღება არ მიექცა, მაშინ გულის უკმარისობა კიდევ უფრო გართულდება, თირკმლები ღამითაც** კი სრულყოფილად ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ სამუშაოს და ფეხების შეშუპება მუდმივ და სტაბილურ სახეს შეიძენს. ასეთი ავადმყოფი სასწრაფოდ კარდიოლოგთან უნდა მივიდეს, რათა არ მოხდეს დაავადების პროგრესირება.

**— მხოლოდ გულის უკმარისობაა ღამით ხშირი შარდვის მიზეზი?**

— ღამით ხშირ შარდვას იწვევს: **პროსტატის ადენომა, შაქრიანი დიაბეტი, ცისტიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება** და **თირკმლის ქრონიკული უკმარისობის საწყისი სტადია!**

**— ბატონო კახა, როგორც ცნობილია, ორმოცდაათ წელს გადაცილებულ მამაკაცთა დიდ უმრავლესობას პროსტატის ადენომა აწუხებს, რაც ღამით ხშირ შარდვასთან პირდაპირ კავშირშია. რა მეცნიერული ახსნა აქვს ამ პათოლოგიას?**

— პროსტატის ადენომის გამომწვევი მიზეზები ბოლომდე შესწავლილი არ არის. ეს დაავადება მამაკაცთა კლიმაქსის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევა. **50 წელს მიღწეულ მამაკაცთა ნახევარს პროსტატის ადენომა აწუხებს, ხოლო 75 წლის ასაკში პროსტატის ადენომა მამაკაცთა 75-80 პროცენტს აღენიშნება.**

დავიმახსოვროთ: პროსტატის ადენომა იწყება მაშინ, როცა მამაკაცს შარდვის გამოყოფა შეგბას არ ჰყვრის! **პროსტატის ადენომაზე მაშინვე უნდა მივიტანოთ ეჭვი, როგორც კი შევამჩნევთ ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან თუნდაც ერთს:** 1. შარდის გამოყოფის გაძნელება ან შეწყვეტა. 2. შარდის ნაკადის შესუსტება. 3. მოშარდვის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება. 4. წვეთობით შარდვა. 5. შარდვის გახშირება. 6. მტკივნეული შარდვა. 7. ღამით შარდვის გახშირება. 8. მცირე ულუფებით შარდვა. 9. შარდის შეუკავებლობა... **თუ ამ ნიშნებს ყურადღება არ მიექცა, პროსტატის ადენომა შესაძლოა, გართულდეს შარდის მწვავე შეკავებით, პროსტატის ქსოვილში მძიმე ანთებითი პროცესით, შარდის ბუშტში კენჭების წარმოქმნით და თვით პროსტატის კიბოთიც კი...**





**„ლეონიდ ბრეჟნევს სიცოცხლეს უხანგრძლივებდნენ ჯუნა დავითაშვილი და „კატრექსის“ ინიექციები, რომლითაც, ყველაფერთან ერთად, წარმატებით ებრძოდნენ ღამით გახშირებულ შარდვასაც!“**

საერთოდ, **პროსტატის ადენომა** და **პროსტატის კიბო** დასაწყისში ერთმანეთისგან თითქმის არ განირჩევა. ამიტომ ყველა მამაკაცმა ორმოცი წლის ზემოთ წელიწადში თუნდაც ერთხელ აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს პროსტატის სპეციფიკური ანტიგენი, ანუ ე.წ. „პსა“, რომელიც 0,2-დან 4 ერთეულამდე უნდა მერყეობდეს. **თუ ეს მაჩვენებელი 4 ერთეულზე მეტია, მაშინ, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს პროსტატის კიბო.** სხვათაშორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა, დამწყები ექიმი ვიყავი, როცა ჰომეოპათიური მედიცინის შესწავლის ინტერესი გამიჩნდა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა უკრაინელი ექიმის **ნატალია სემიონოვას საკანდიდატო დისერტაცია,** რომელიც პროსტატის ადენომის მკურნალობას ეხებოდა. ხსენებულმა მედიკოსმა კიევის სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე პროსტატის ადენომით დაავადებულ 2 ათას პაციენტს უმკურნალა, რომელთა ასაკიც 70-დან 92 წლამდე მერყეობდა. დისერტაციაში მოყვანილი მონაცემები დაუჯერებელი იყო — **პაციენტთა 90 პროცენტს ოპერაციული ჩარევა არ დასჭირდა!** ამ ნაშრომისათვის ნატალია სემიონოვას სახელმწიფო პრემია მიენიჭა, რაც კომუნისტური რეჟიმის დროს ძალიან ძნელად მოსაპოვებელი ჯილდო იყო.




**— მაინც რამ განაპირობა სემიონოვასთვის ამ მაღალი ჯილდოს მინიჭების ფაქტი?**

**— იმ პერიოდში საბჭოთა კავშირს მართავდა პოლიტბიურო, რომლის წევრების უმრავლესობაც 75 წელს იყო გადაცილებული. ცხადია, ყველა პროსტატის ადენომით გახლდათ დაავადებული.** არ გამოვრიცხავ, რომ **ნატალია სემიონოვამ** პოლიტბიუროს რამდენიმე მიხრწნილ წევრს ჰომეოპათიური მეთოდით უმკურნალა და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ უკრაინელი მეცნიერი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა! **არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ პროსტატის ადენომას ოცდახუთ წელზე მეტია, სწორედ ნატალია სემიონოვას მეთოდით ვმკურნალობ**

**„იმ პერიოდში საბჭოთა კავშირს მართავდა პოლიტბიურო, რომლის წევრების უმრავლესობაც 75 წელს იყო გადაცილებული. ცხადია, ყველა პროსტატის ადენომით გახლდათ დაავადებული!“**

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციური სავადმყოფოს გენერალური დირექტორი*



სადღეისოდ თამამად შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში მოსახლეობის კოვიდ-უსაფრთხოება** საიმედოდაა უზრუნველყოფილი!

„ინტერპრესნიუსი“

**ლაშა ღლონტი**
*მომღერალი*



46 წლის ასაკში **ბაბუობა მეხამუშა,** მაგრამ, როცა ვიგრძენი, რამხელა სიხარული ყოფილა, **გავგიჟდი.**

„კვირის პალიტრა“

**უილიამ გევერცი**
*ამერიკის მოქალაქე*



საქართველო ისე შემიყვარდა, **ვეფხისტყაოსანი რაინდის თარგმანიც კი წავიკითხე. ოჰ, ტარიელ!** რუსთაველის პოეტური იმპულსი ჩემს ძარღვებშიც ფეთქავდა.

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ტალახაძე**
*ძალოსანი*



ჩემს რეკორდებთან ერთად **შვილების წონის რეკორდსაც** ვაუმჯობესებ.

„სარკე“

**სალომე ქაქუა**
*მოცეკვავე*



მიმაჩნია, რომ **უმაღლეს ხარისხთან** ვასოცირდები.

„თბილისელები“

**გიგა კვენეტაძე**
*მომღერალი, კომპოზიტორი*



ბანკში გოგონამ, ვინც ფულს მიხურდავებდა, სიმღერა დაიწყო — **„როგორ მინდა, მოგეფერო“!**

„თბილისელები“

**და შეიძლება, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო,** რომ ოპერაციული ჩარევა ძალიან ხშირად სრულიად ზედმეტია. როდესაც გენიალური ქართველი მეცნიერის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** „კატრექსის“ ლაბორატორიაში ვმუშაობდი, კარგად მახსოვს, რომ აღნიშნული პრეპარატის ათასობით ამპულა პირდაპირ კრემლში იგზავნებოდა, რომლითაც სწორედ პოლიტბიუროს მოხუც წევრებს მკურნალობდნენ. **ლეონიდ ბრეჟნევს** სიცოცხლეს უხანგრძლივებდნენ **ჯუნა დავითაშვილი** და „კატრექსის“ ინიექციები, რითიც, ყველაფერთან ერთად, წარმატებით ებრძოდნენ ღამით გახშირებულ შარდვასაც. მოგეხსენებათ, **„კატრექსი“ ძლიერი იმუნომოდულატორია, ორგანიზმში ანთებით პროცესებს აცხრობს და ხელს უშლის პროსტატის ჯირკვლის უჯრედების პროლიფერაციას, ანუ ზრდას.**



# „ღამით ხშირი შარდვას იწვევს: პროსტატის ადენომა, შაქრიანი დიაბეტი, ცისტიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და თირკმლის ქრონიკული უკმარისობის საწყისი სტადია!“

**— რატომ იწვევს პროსტატის ადენომა ხშირ შარდვას როგორც ღამით, ისე დღისით?**

— საქმე ის გახლავთ, რომ პროსტატის ჯირკვლის შიგნით გადის შარდგამტარი გზა. როდესაც ჯირკვალი ნორმის ფარგლებშია, არხი თავისუფალია, ხოლო, როდესაც ზომაში იზრდება, ცხადია, აწვება შარდგამტარ გზას, იწვევს მის შევიწროებას და შარდვის გამოყოფის შეფერხებას. თუ ზომები დროულად არ იქნა მიღებული და პროსტატის ჯირკვალმა ზომაში ზრდა განაგრძო, შესაძლოა, **შარდის მწვავე შეკავებაც** კი განვითარდეს. **ასეთ დროს დიდია იმის ალბათობა, რომ სასწრაფო კათეტერიზაციის გარეშე ადამიანი შარდით მოიწამლოს!** შესაძლოა, ბევრმა არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ძილის დროს ხვრინვა და ღამით ხშირი შარდვა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია!

**— რა არის ამის მიზეზი?**

— **იმ ადამიანების უმრავლესობას, ვინც ძილში ხვრინავს, ღამის განმავლობაში, ასჯერ და ორასჯერაც კი, 5-15-წამიანი ინტერვალით ძილში სუნთქვის შეჩერება ახასიათებს.** ამის შესახებ ჩვენ წინა ინტერვიუში დაწვრილებით ვისაუბრეთ და ისიც ვთქვით, რომ ამ პათოლოგიას **ძილის ობსტრუქციული აპნოე** ეწოდება. ყოველი ამოხვროტინების დროს წნევა მაღლა იწევს და იმისათვის, რომ ინფარქტი ან ინსულტი არ განვითარდეს, თირკმელი მყისიერად იწყებს შარდის გამოყოფას. ამის გამო წნევა ეცემა და ადამიანი ღამის განმავლობაში რამდენჯერმე შარდავს. უფრო მეტიც, **ღამით ხშირი შარდვა იმდენად დიდი პრობლემაა, არსებობს შარდის შეუკავებლობის პრობლემების მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაცია** — „იცს“. ამ ორგანიზაციის მონაცემებით, ხვრინვა ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცების 39-დან 77 პროცენტს აღენიშნება, ხოლო მათგან ორი მესამედი **ობსტრუქციული აპნოეთი** იტანჯება.

**— თუ ადამიანი ღამით ხშირად შარდავს, მაგრამ არც გული აწუხებს, არც თირკმელი და არც შაქრიანი დიაბეტი, როგორ გავარჩიოთ, ეს ხშირი შარდვა პროსტატის ადენომითაა გამოწვეული თუ ძილის ობსტრუქციული აპნოეთი?**

— ამის გარჩევა ძალიან ადვილია! **ღამის აპნოეს დროს შარდვა თავისუფალია, უხვია და სრულიად უმტკივნეულო, რადგან შარდგამომყოფ გზებზე არანაირი ზეწოლა არ ხდება.** პროსტატის ადენომის დროს კი შარდვა გაძნელებულია, შარდი მცირე პორციებით გამოიყოფა და პროცესს თან ახლავს დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება. გარდა ამისა, პროსტატის ადენომის დროს ადამიანი დღის განმავლობაშიც ხშირად შარდავს, რაც ძილის ობსტრუქციულ აპნოეს არ ახასიათებს. სხვათაშორის პრაქტიკაში მქონია უამრავი შემთხვევა, როდესაც პაციენტი ჩემთან პროსტატის ადენომაზე მკურნალობდა, ჯირკვალმა ზომებში დაიკლო, შარდის ნაკადი გაძლიერდა, „პსა“-ს მარკერმა დაიწია, დღის განმავლობაში გახშირებული შარდვა და ნარჩენი შარდიც შემცირდა, ერთი სიტყვით, ყველა მაჩვენებელი გაუმჯობესდა, მაგრამ ღამით ხშირი შარდვა მაინც დარჩა. **მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში ღამით ხშირი შარდვის მიზეზი არა პროსტატის ადენომა, არამედ ძილის დარღვევა და ხვრინვა** იყო. შესაბამის სპეციალისტთან მკურნალობის შედეგად, ეს პათოლოგია, ცხადია, იხსნებოდა.

**— ბატონო კახა, შაქრიანი დიაბეტის დროს ღამით ხშირ შარდვას რა კონკრეტული ფაქტორი იწვევს?**

— როგორც შაქრიანი, ისე უშაქრო დიაბეტის დროს, შარდში გლუკოზა გადადის, რაც წესით დაუშვებელია. ასეთ დროს ორგანიზმი ცდილობს, გათავისუფლდეს ზედმეტი გლუკოზისგან, რასაც როგორც დღისით, ისე ღამით გახშირებული შარდვით პასუხობს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „პროსტატის ადენომა იწყება მაშინ, როცა მამაკაცს შარდვის გამოყოფა შვებას არ ჰგვრის!“



***აშშ-ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის** კვლევებით კოვიდინფექცია 72-ჯერ ზრდის **გულის დაავადებათა** განვითარების **რისკს.** ყოველი 100 ადამიანიდან, რომელთაც **გული საერთოდ არ აწუხებდათ, „კოვიდის“** გადატანის შემდგომ 40 პროცენტს აღენიშნათ: **გულის არეში პერიოდული ჩხვლეტა, გულისცემის გახშირება — ტაქიკარდია, ქოშინი დატვირთვისას, ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპება.** ეს სხვა არაფერია, თუ არა **გულის კუნთის ანთება — მიოკარდიტი.** თუ დროულად არ მოხდა ამ დაავადების მკურნალობა, **შესაძლოა, განვითარდეს ექსტრასისტოლია, არითმია,** რომელიც ინფარქტით სრულდება. **„გულის ელექსირის“ მიღებული 5-7 წვეთი დღეში 3-4-ჯერ ხსნის ამ მოვლენებს, იცავს კოვიდგადატანილ პაციენტს ინფარქტისა და ინსულტისაგან.***

2012 წლის ივნისში სააფთიაქო ქსელში პირველად გამოჩნდა უნიკალური თვისებების მქონე ბუნებრივი საგულე საშუალება **„გულის ელექსირი“**. ამ საოცარ პრეპარატზე ბევრი დაიწერა და დაიწერება!

ალბათ, იშვიათი იქნება საქართველოში ოჯახი, **„გულის ელექსირის“** ერთ-ერთი შემქმნელის, თავის დროზე მთელ მსოფლიოში ცნობილი **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** შექმნილი ანტისიმსივნური ცენტრის **„კატრექსის“ მთავარი ექიმის კახა საბახტარიშვილის** შესახებ რომ არ სმენია!

„ბატონო კახა, თქვენი **„სამკურნალო წიგნები“** ჩემთვის ფასდაუდებელი საუნჯეა. თქვენს **„გულის ელექსირზე“** მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: **ეს საუკუნის ერთ-ერთი აღმოჩენაა!**

უფალმა გაგაძლიეროთ“ **(წერდა ჭაბუა ამირეჯიბი — ბერი დავითი.** XX საუკუნის მსოფლიო მწერლობის უდიდესი კლასიკოსი).

„ვფიქრობ, **„გულის ელექსირს“** მოქმედების უფრო ფართო სპექტრი აქვს, ვიდრე მის ინსტრუქციაშია მითითებული“ **(მამანტი როგავა** — პროფესორი, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კარდიოლოგი).

„ვულოცავ ჩემს მეგობარს, **შესანიშნავ ექიმ-კლინიცისტს კახა საბახტარიშვილს** ამ დიდ წარმატებას: **„გულის ელექსირს“** თავისი მაღალეფექტურობის გამო **აშშ-ში** უკვე იმდენი კმაყოფილი მომხმარებელი ჰყავს, ვფიქრობ, საერთაშორისო, მსოფლიო სტანდარტის ყველა ნორმის დაცვით დამზადებული **ეს უნიკალური საგულე წამალი, უმოკლეს დროში ბევრი ამერიკული ოჯახისთვის შეუცვლელი წამალი იქნება!“ (დიმიტრი ტვილდიანი** — აშშ-ში მოღვაწე ცნობილი კარდიოლოგი, **ნიუ-იორკის ერთ-ერთი წამყვანი დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელი).**

**— ბატონო კახა, ელოდით, რომ უმოკლეს დროში „გულის ელექსირი“ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე წამლის სახელს დაიმკვიდრებდა?**

— **„გულის ელექსირი“** შექმნილია ჰომეოპათიური მედიცინის 300-წლიანი გამოცდილების გაანალიზებისა და უძველესი ქართული მედიცინის სინთეზის საფუძველზე. ასეთი სამუშაო **არათუ საქართველოში, მსოფლიოში არსად არ წარმოებულა!** აქედან გამომდინარე, ყველა საფუძველი არსებობდა იმ მოლოდინის, რომ მრავალ ათას ადამიანს თავის თავზე გამოეცადა **„გულის ელექსირის“** უნიკალურ ფორმულაში ჩადებული სიკეთე. მაგრამ იმას კი ნამდვილად არ ველოდით, რომ **„გულის ელექსირი“** სააფთიაქო ქსელში გამოჩენიდან 4-5 თვეში **დეფიციტური გახდებოდა** და ყველა სააფთიაქო ქსელს გაუჩნდებოდა მისი შეძენის სურვილი!

**— რა თვისებები აქვს „გულის ელექსირს“?**

— „გულის ელექსირი“:

**1. ხსნის სპაზმებს;**

**2. კვებავს გულის კუნთს;**

**3. აფართოებს სისხლძარღვებს;**

**4. აქვს არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;**

**5. აქვს დამამშვიდებელი ეფექტი;**

**6. მისი გამოყენებით გულის შეტევების სიხშირე 10-ჯერ მცირდება;**

**7. ეფექტურია გულის შუნტირების შემდგომ პერიოდში.** რაც მთავარია, წნევის მარეგულირებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს შეზღუდვა. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის დროსაც.

**— რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია ადამიანს, მიიღოს „გულის ელექსირი“?**

— **„გულის ელექსირს“** მიჩვევის ეფექტი არ გააჩნია. არა აქვს გვერდითი მოქმედებები. მისი მიღება შესაძლებელია წლების განმავლობაში დანიშნულ ქიმიურ მედიკამენტებთან ერთად. ბევრ შემთხვევაში **ცვლის ძვირად ღირებულ საგულე საშუალებებს** ან ამცირებს მათი მიღების ინტენსივობას.


# «გულის ელექსირი»
## საუკუნის აღმოჩენაა!




უფრო ვრცლად: მოძებნეთ **ფეისბუქში**
**„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“**
**GULIS-ELEKSIRI**

**„გულის ელექსირი“ ყველა სააფთიაქო ქსელშია!**
**593 31-70-34**
**ბახტრიონის ქ. №10ა.**


გვქონდა ძალზე საინტერესო შემთხვევაც: დაგვიკავშირდა ასაკოვანი ქალბატონი. მას აქვს **შაქრიანი დიაბეტი.** მკურნალი ენდოკრინოლოგი დააკვირდა: იმ დროს, როდესაც პაციენტი იღებდა **„გულის ელექსირს“, შაქრის დონე დაბლა იწევდა** და შაქრის დამწევი პრეპარატების დოზის კორექტირება იყო საჭირო.

ჩვენ ამ ფაქტს ის ახსნა მოვუძებნეთ, რომ **„გულის ელექსირის“** შემადგენლობაში შედის კუნელი, რომელსაც ჰომეოპათიური სახით შაქრის დამწევი თვისებებიც გააჩნია.

**— ბატონო კახა, უძველესი ქართული მედიცინის დანარჩენი მსოფლიოსათვის გაცნობა საშური საქმეა, თქვენ ამ მხრივ წლებია, რაც იღვწით. 2005-2009 წლებში ბრძანდებოდით ქ. თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. გქონდათ თუ არა რაიმე წინააღმდეგობა „გულის ელექსირის“ მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე დამკვიდრების გზაზე?**

— თქვენ თვითონ განსაჯეთ: **მთაწმინდის რაიონის №13 პოლიკლინიკაში** თითქმის 25 წელი არსებობდა ჩემ მიერ დაარსებული უძველესი ქართული მედიცინის შემსწავლელი ცენტრი, რომლის მიზანს შეადგენდა მედიცინის, როგორც კოლხი მედეას სამშობლოს, უძველესი სამედიცინო კულტურის მქონე ერის არამარტო საქართველოს, მთელი მსოფლიო მასშტაბით წარმოჩენა.

რუსულ ენაზე ითარგმნა პროფ. ალექსანდრე ხანანაშვილის მიერ ნიჟნი-ნოვგოროდში აღმოჩენილი უნიკალური ხელნაწერი **ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“** კარაბადინი. გამოცემული 1950 წელს, ძველი ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარის, **პროფ. მიხეილ სააკაშვილის** წინასიტყვაობითა და რედაქტორობით.

დამუშავდა და გამოიცა ძველ ქართველ მედიცინაზე უამრავი ნაშრომი. შეიქმნა უნიკალური წიგნთსაცავი, **პროფ. მიხეილ შენგელიას, პროფ. მიხეილ სააკაშვილის, დოც. ნინო წუწუნავას** და სხვათა უნიკალური, დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ნაშრომები, რომლებითაც დიდი ერებიც კი იამაყებდნენ. თუნდაც გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოცემული უნიკალური **„ქართული მედიცინის ისტორიის“** მრავალტომეული ავიღოთ მსოფლიო დონის მკვლევარების **პროფ. მიხეილ სააკაშვილის** და **დოც. ავთანდილ გელაშვილის** ავტორობით. ასეთი ნაშრომით იამაყებდა ნებისმიერი კულტურული ერი. **ჩვენ მეზობლად ოკუპანტ რუსეთშიაც არ შექმნილა მსგავსი ნაშრომი.**

რაც შეეხება წინააღმდეგობებს: იმ პერიოდში, როდესაც მე №13 პოლიკლინიკის დირექტორი ვიყავი, ქალაქის ჯანდაცვის ხელმძღვანელი იყო **მამუკა ქაცარავა,** ხოლო თბილისის ვიცე-მერი — **მამუკა ახვლედიანი.** ახალგაზრდობაში ერთი ყოფილი კომკავშირელი ფუნქციონერი გახლდათ, ხოლო მეორე — ყოფილი სასულიერო სემინარიელი. ორივე თავის დროზე **საბჭოთა უშიშროებისათვის** მეტად **კომფორტული პერსონები** იყვნენ... თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ეს „განუყრელი წყვილი“ არაერთგზის უმხელიათ, მექრთამეობასა და კორუფციაში. 2005-2010 წლებში მათ უკვე ახალი ზედამხედველი გამოუჩნდათ, ამჟამად ძებნილი, საქართველოდან გაქცეული და მიყურადება-მოსმენების „დიდოსტატი“, **ავადსახსენებელი სოსო თოფურიძე — კუდ-ის** ყოფილი მაღალჩინოსანი. ყოფილი საბჭოთა მილიციელი თავის ნათესავთან ერთად, თუ რითი იყო დაკავებული 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, შესაბამისი უწყებების მიერ ბოლომდე გასარკვევია... მას ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში საქართველოში მხოლოდ ციხის საკანი ელოდება!

რუსთაველზე მიმდინარე შიმშილობის აქციების დროს პარლამენტის **ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ თოიძის** პირადი თხოვნით, მე და ჩვენი პოლიკლინიკის ექიმები მოშიმშილეებს ყველანაირ სამედიცინო დახმარებას ვუწევდით, რაც ისედაც ჩვენი, ექიმების ვალდებულებაც იყო. ამის გამო ე.წ. „პოლიტიკური ნიშნით“, ზემოთ აღნიშნული სამი არაკაცის მეცადინეობით, სრულიად მოულოდნელად გამათავისუფლეს მთაწმინდის რაიონის №13 პოლიკლინიკის დირექტორის თანამდებობიდან, ანუ ამ სამი არაკაცის დასკვნით, ექიმის მიერ მოშიმშილეებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა „პოლიტიკური დანაშაული“ ყოფილა! ჯანდაცვის უმაღლესი თანამდებობის პირი, **პროფესორი ოთარ თოიძეც** კი წინ ვერ აღუდგა ამ საბჭოთა გადმონაშთებს! ერთ-ერთი პირველი, ვინც იმ პერიოდში მხარდაჭერა გამომიცხადა, ჩემი მასწავლებელი, **შესანიშნავი ადამიანი,** მეცნიერი, ექიმი, **ბატონი ნიკოლოზ სააკაშვილი** აღმოჩნდა! რომელსაც ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

მინდა, აღვნიშნო **საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ პირთა** იმდროინდელი თანადგომა **„გულის ელექსირის“** შექმნის საქმეში, რომლებმაც შესანიშნავად უწყოდნენ, თუ რას წარმოადგენდნენ სინამდვილეში ყოფილ ვიცე-მერ **მამუკა ახვლედიანთან** დაკავშირებული „დოქსოპულოები“, „რიკტაფელოვები“ თუ „კინტოები“ და მათი ვარლამ არავიძე საქართველოდან გაქცეული **სოსო თოფურიძე.**

სწორედ მათი დახმარებით სოსო თოფურიძის ლაქიების მიერ 2009 წელს გათავისუფლებულმა მთავარმა ექიმმა ექიმ **სოფიო მარგალიტაშვილთან** ერთად შევძელი 2010 წელს წარმატებული კომპანიის **„ლაზიკა ფარმას“** დაარსება. ქალაქ თბილისის მთაწმინდის რაიონის №13 პოლიკლინიკა კი როგორც მოსალოდნელი იყო, კორუფციული სქემებით გაუქმდა. საინტერესო იქნება ამ თემაზე ჟურნალისტური გამოძიების დაწყება.

რამდენად ხელმისაწვდომია **„გულის ელექსირი“?**

1 ფლაკონის (წვეთები) **ღირებულება** 18 ლარამდეა. 1 ფლაკონი ყოფნის 1 თვეზე ცოტა მეტხანს.

**ჯანდაცვის სამინისტროს მიერ „გულის ელექსირის“ გაცემა ნებადართულია ურეცეპტოდ, ექიმის დანიშნულების გარეშეც. თავსებადია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან.**

## კვირგვინოსნები

**ნინო ძოწენიძე**
*მომღერალი*



**ჯერ** საკუთარი თავი უნდა მოგწონდეს და **მერე** გაეპრანჭო სხვებს.

„თბილისელები“

**მაკა შალიკაშვილი**
*მსახიობი*



ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, **სადაც არ უნდა ჩამაგდო, მაინც ვიზამ რამეს,** არ არის პრობლემა.

„თბილისელები“

**ლევან საგინაშვილი**
*მკლავჭიდელი*



მინდა, ისე დავასრულო კარიერა, **ერთი რაუნდიც არ წავაგო!** სად წავალ აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ?
— ალბათ, კინოში!

„კვირის პალიტრა“



**1. რომელ ქალაქში დააწესეს პირველად ავტომობილებისათვის სანომრე ნიშნები?**
ა. რომში; ბ. ლონდონში; გ. პარიზში.

**2. ფილმ „გლადიატორში“ მთავარი როლი შეასრულა მსახიობმა რასელ ქროუმ, რისთვისაც მან „ოსკარი“ დაიმსახურა. ამ კინოფილმში რასელ ქროუს გმირის სახელია —** ა. ტიტუსი; ბ. მაქსიმუსი; გ. ნერონი.

**3. ვინ აღმოაჩინა ჟანგბადი?** ა. გ. კავენდიშმა; ბ. ჯ. პრისტლიმ და კ. შეელემ; გ. ლ. ეილერმა.

**4. ცნობილი ფრანგი მწერლის სტენდალის ნამდვილი გვარია —** ა. ანრი მარი ბეილი; ბ. ანდრე ლეჟიენი; გ. ფერნან კონტანდენი.

**5. ვინ იყო აშშ-ის პირველი პრეზიდენტი?** ა. ა. ლინკოლნი; ბ. ჯ. ადამსი; გ. ჯ. ვაშინგტონი.

**6. მორწმუნეთა რიცხვის მიხედვით, რომელი რელიგიაა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული?** ა. ქრისტიანობა; ბ. ისლამი; გ. ბუდიზმი.

**7. რომელ ქალაქში მდებარეობს ცნობილი საკონცერტო დარბაზი „კოვენტ-გარდენი“?** ა. ლონდონში; ბ. გლაზგოში; გ. დუბლინში;

**8. რას უწოდებენ მსოფლიოში ყველაზე დიდ გეიზერს, რომელიც ისლანდიაში მდებარეობს?**
ა. „დიდ გეიზერს“; ბ. „ცხელ წყაროს“; გ. „ცხელ შადრევანს“.

**9. რომელი ქიმიური ელემენტი აღმოაჩინეს ჯერ მზეზე, შემდეგ კი — დედამიწაზე?**
ა. ურანი; ბ. ქლორი; გ. ჰელიუმი.

**10. რომელი ქართული სიმღერა მოხვდა პირველად კოსმოსში?**
ა. „მრავალჟამიერ“; ბ. „ჩაკრულო“; გ. „იავნანა“.

**11. ვისი ნამდვილი სახელი და გვარია დომენიკო თეოტოკოპული?**
ა. ველასკესის; ბ. ელ გრეკოს; გ. პიკასოს.

**12. რომელ ქალაქში იმართება კინოფესტივალი, რომელზედაც მთავარ პრიზად დაწესებულია „ოქროს დათვი“?**
ა. ბერლინში; ბ. ვენეციაში; გ. კანში.

1. პარიზში; 2. მაქსიმუსი; 3. ჯ. პრისტლიმ და კ. შეელემ; 4. ანრი მარი ბეილი; 5. ჯ. ვაშინგტონი; 6. ქრისტიანობა; . 7. ლონდონში; 8. „დიდ გეიზერს“; 9. ჰელიუმი; 10. „ჩაკრულო“; 11. ელ გრეკოს; 12. ბერლინში;

**თარაზულად:** 1. ხუთი მომღერლისგან შემდგარი ანსამბლი; 6. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი; 7. შორისდებული; 8. პატარა ძაღლი; 11. გერმანულ მითოსში: ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული; 12. წონის ერთეული ძველ რომში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; 14. ქიმიური ელემენტი — თეთრი კრისტალური ნივთიერება; 15. ქალაქი საქართველოში; 16. დიდი, ფრიალო კლდე; 18. ციხე, სადაც დანტესი იჯდა; 19. ამერიკელი მწერალი ქალი, „ბინდის“ ავტორი; 20. წინათ, უწინ; 22. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 23. საჩოგბურთო პარტიის ნაწილი; 26. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 27. ზღვის პატარა ყურე; 29. კურორტი კალიფორნიაში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ინგლისელი მსახიობი ქალი; 32. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი.

**შვეულად.** 2. იტალიელი კომპოზიტორი, „ნაბუქოს“ ავტორი; 3. ლითონის წვრილი ჩხირი, რომელსაც ერთი ბოლო წვეტიანი აქვს, მეორე — გახვრეტილი; 4. უთვისტომო; 5. ყველაფრისადმი გულგრილობა, უხალისობა; 8. მიმართვა შვედი ქალბატონისადმი; 9. წვის შედეგად დარჩენილი მასა; 10. ენის ბორძიკით მოლაპარაკე; 13. მიუნხენის „ბაიერნის“ ესპანელი მწვრთნელი; 14. ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის“ პერსონაჟი; 17. ელექტრული ტევადობის საზომი ერთეული; 19. პროსპერ...; 21. ქრისტეშობისთვე; 24. ჩხირისებრი ბაქტერია; 25. მაგნიტის ორი ბოლოდან ერთ-ერთი; 28. ბრინჯის არაყი.

თარაზულად: 1. კვინტეტი; 6. ტრამალი; 7. ჰა; 8. ფინია; 11. ელფი; 12. უნცია; 14. ბორი; 15. ვანი; 16. ქარაფი; 18. იფი; 19. მეიერი; 20. ადრე; 22. რულადა; 23. გეიმი; 26. ბაქო; 27. უბე; 29. მალიბუ; 30. რუ; 31. ლი; 32. „მერანი“.
შვეულად. 2. ვერდი; 3. ნემსი; 4. ეული; 5. აპათია; 8. ფრუ; 9. ნაცარი; 10. ბლუ; 13. გვარდიოლა; 14. ბულიკა; 17. ფარადა; 19. მერიმე; 21. დეკემბერი; 24. ბაცილა; 25. პოლუსი; 28. საკე.

1-3 ყურის ექიმი; 2-5 სასწავლო წლის სამი თვე; 4-7 სამხედრო სასამართლო; 6-9 ხის აღვირი; 8-11 კორიდის მონაწილე; 10-13 სხეულის ასხლეტა ზედაპირიდან; 12-15 ჩინეთის ავტონომია; 14-17 ჩაის დეგუსტატორი; 16-19 ლავსანის სახელი ინგლისში; 18-21 გეოდეზიური ხელსაწყო; 20-23 ამერიკული სპორტული ფირმა; 22-25 იაპონიის კუნძული; 24-27 სასულე საკრავი; 26-29 ქართული მინერალური წყალი; 28-31 რუსი ბარდი, მსახიობი; 30-33 კირილიცას ერთ-ერთი შემქმნელი; 32-35 ... და ვინჩი; 34-37 ძაღლის ჯიში; 36-39 ხელის ფრჩხილების მოვლა; 38-41 ყურძნის ჯიში; 40-43 ყვავილწნული; 42-45 ბუდისტური სალოცავი; 44-47 ჩანჩქერი ჩრდ. ამერიკაში; 46-49 სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 48-51 ავტომატური პისტოლეტი; 50-53 კინოს გამომგონებელი; 52-55 ვერდის ოპერა; 54-57 სმერჩი; 56-59 რუსი მწერალი; 58-61 მეფის კვერთხი; 60-63 ორგანოს გადანერგვა; 62-64 ციმციმი.

# ჩაინვორდი



**ჩაინვორდის პასუხები:** 1-3 ოტიატრი; 2-5 ტრიმესტრი; 4-7 ტრიბუნალი; 6-9 ალიკაპი; 8-11 პიკადორი; 10-13 რიკოშეტი; 12-15 ტიბეტი; 14-17 ტიტესტერი; 16-19 ტერილენი; 18-21 ნიველირი; 20-23 რიბოკი; 22-25 ოკინავა; 24-27 ვალტორნა; 26-29 ნაბეღლავი; 28-31 ვისოცკი; 30-33 კირილე; 32-35 ლეონარდო; 34-37 დობერმანი; 36-39 მანიკიური; 38-41 რისლინგი; 40-43 გირლანდა; 42-45 დაცანი; 44-47 ნიაგარა; 46-49 რამპა; 48-51 პარაბელუმი; 50-53 ლუმიერი; 52-55 რიგოლეტო; 54-57 ტორნადო; 56-59 დოსტოევსკი; 58-61 სკიპტრა; 60-63 ტრანსპლანტაცია; 52-64 ციალი. **პავაროტი**

**თარაზულად:** 4. კერძო მეურნეობა; 9. უცებ ავარდნილი ძლიერი ქარი; 20. ევროპის სახელმწიფო; 11. გვამი, ცხედარი; 12. ქართული ღვინის კომპანია; 13. ომის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 14. ესპანელი მსახიობი ქალი; 15. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 19. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო; 22. კორეული ავტომობილი; 24. წვრილი სისხლძარღვი; 26. ცალკე ოთახი ბერისთვის, მონაზვნისთვის; 27. მთავარი არტერია.

**შვეულად:** 1. ქალთა ცეკვა; 2. მხატვარი ავთო ..., ფიროსმანის როლის შემსრულებელი; 3. მგალობელი ჩიტი; 4. ინდისხურმა; 5. ნახშირის ფანქარი ხატვისთვის; 6. მიმიკის მოშლა; 7. ამერიკაში: მოსამსახურე ნოტარიუსის ან ადვოკატის კანტორაში; 8. ფულის გადახდევინება სასჯელად; 15. ყავის სახეობა; 16. მიმდინარეობა მუსიკაში; 17. იტალიელი მომღერალი; 18. ქალაქი იაპონიაში; 20. მჭრელი იარაღი; 21. ბიზანტიელი მხედართმთავარი; 23. შეძახილი ქართული ცეკვისას; 25. ჰერას ქურუმი ქალი (მით.).

თარაზულად: 4. ფერმა; 9. ქარაშოტი; 10. მალტა; 11. ნეშტი; 12. ბადაგონი; 13. მარსი; 14. კრუსი; 15. მარიჯანი; 19. ადიდა; 22. კია; 24. კაპილარი; 25. სენაკი; 26. აორტა.
შვეულად: 1. სამაია; 2. ვარაზი; 3. ტოროლა; 4. ფინიკი; 5. რაშკული; 6. ამიმია; 7. კლერკი; 8. ჯარიმა; 15. მოკო; 16. რეპი; 17. ჯილი; 18. ნარა; 20. დანა; 21. დუკა; 23. ახა; 25. იო.



# 10 კითხვა ინტელექტუალთათვის



**1** რომელი არქიპელაგია ყველაზე დიდი მსოფლიოში?



**2** ხეოფსის პირამიდა რამდენჯერმე გაძარცვა. მძარცველებმა ბევრი რამ წაიღეს, მაგრამ მათ შორის არასოდეს ყოფილა მონეტა, რატომ?

**3** დაასრულეთ ერნესტ ჰემინგუეის ფრაზა: **„კლასიკური ნაწარმოები არის წიგნი, რომელსაც ხალხი ყოველთვის აქებს, მაგრამ ...“**





**4** ერთხელ პაბლო პიკასოს ექიმმა უთხრა: „უფლება არ მაქვს, ვიმსჯელო თქვენი ნახატების ფერწერულ ღირებულებაზე, მაგრამ ნახატებზე გამოსახული ყველა ადამიანი, თუ მათ ანატომიის მიხედვით განვიხილავთ, ავადმყოფია.

**რა უპასუხა პიკასომ ექიმს?**



**5** **რას ეძახიან ამერიკელები 100-დოლარიან ბანკნოტს?**

**6** ამ გამოგონების ავტორია ბრიტანელი სკოლის მასწავლებელი **როულენდ ჰილი.** მისი გამოგონება ბრიტანეთში 1840 წლის 6 მაისს გამოჩნდა. პირველი ქართული ეგზემპლარი კი 1757 წელს თბილისში დამზადდა.



**რა გამოიგონა როულენდ ჰილმა, რისთვისაც მას სერის წოდება მიენიჭა?**



**7** ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი ცუდ მმართველად თვლიდა მას, ვინც ხალხს არ უყვარდა, ცოტა უკეთეს მმართველად — ვინც ხალხს უყვარდა.

**ვის მიიჩნევდა კონფუცი საუკეთესო მმართველად?**




**8** **რამდენჯერ შეიძლება 1024-ის გაყოფა 2-ზე?**

**9** **რატომ მიიჩნევა ბუ სიბრძნის სიმბოლოდ?**



**10** **დაასრულეთ ფრაზა: „მხატვარია ის, ვინც ხატავს იმას, რასაც ყიდის, მაგრამ ნამდვილი ხელოვანი არის ის, ვინც ...“**



**პასუხები ინტელექტუალთათვის:** 1. ინდონეზიის; 2. ფარაონ ხეოფსის დროს მონეტები ჯერ კიდევ არ იყო მოჭრილი; 3. არასდროს კითხულობენ; 4. ისინი შენს პაციენტებზე დიდხანს იცოცხლებენო; 5. ბენჯის; 100-დოლარიანზე გამომოსახულია ბენჯამინ ფრანკლინი და მის პატივსაცემად 100-დოლარიანს „ბენჯი“ დაარქვეს; 6. საფოსტო მარკა; 7. ვისაც ხალხი ვერ ხედავს; 8. ერთხელ. 1024-ის 2-ზე ერთხელ გაყოფის შემდეგ 1024 აღარ იქნება; 9. ბერძნული მითოსის მიხედვით, სიბრძნის ქალღმერთ ათენას მფარველი იყო ბუ და ამიტომ; 10. ... ყიდის იმას, რასაც ხატავს.

# რომელი ნივთიერებები რა ოდენობით არის საჭირო ორგანიზმისთვის?

**მინერალური ნივთიერებები, ქიმიური ელემენტების სახით, აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმისათვის, განსაკუთრებით — ადამიანისთვის, რომლის ორგანიზმშიც ქიმიური ელემენტები საკვებთან ერთად ხვდება. კალიუმი, აზოტი, ფოსფორი, რკინა, სპილენძი, კობალტი, ნიკელი და სხვა ელემენტები, ორგანულ ნაერთებთან (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) ერთად ქმნიან ძვალ-კუნთოვანი სისტემის არქიტექტურას, საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების რთულ კომპლექსს და ორგანიზმი იძენს გადაადგილებისა და მოძრაობის უნარს. სწორედ ამ უნარით ერთვებიან ადამიანები და ცხოველები ეკოსისტემის რთულ ჯაჭვში.**




როდესაც საუბარია ცოცხალ ორგანიზმში მინერალურ ნივთიერებათა როლის შესახებ, უმთავრეს ფაქტორად წარმოჩინდება მათი მონაწილეობა ისეთი სისტემების შექმნა-მუშაობაში, როგორებიცაა ცენტრალური ნერვული სისტემა, ჩონჩხი, სისხლი, ქსოვილური სუნთქვა და, რაც მთავარია, უჯრედებში ნივთიერებათა ცვლის პროცესი.

გასათვალისწინებელია ცოცხალ ორგანიზმში მინერალურ ნივთიერებათა დონის შენარჩუნების პრობლემა, რადგანაც ამ ე. წ. კონსტანტის ქვედა და ზედა ზღვრის დარღვევა ცვლის ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. ადამიანი თავის ორგანიზმში ამ მდგომარეობის შენარჩუნების საკითხს, ძირითადად, აგვარებს საკვები პროდუქტების მიღების გზით. ამიტომ აუცილებლად უნდა განისაზღვროს, რომელი პროდუქტია ამა თუ იმ ადამიანისათვის აუცილებელი და რომელ ელემენტებს შეიცავს საკვები.

## ფოსფორი

**ფოსფორს** უდიდესი როლი აქვს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესში, ნუკლეინმჟავათა ბიოსინთეზსა და, რაც მთავარია, მემკვიდრეობითი ნიშანთვისებების, ანუ გენების გადაცემის საკითხში. ფოსფორი ადამიანს კალციუმზე მეტი რაოდენობით სჭირდება. **მოზრდილი ადამიანისათვის საჭიროა დღეში 1,5-2 გრ, ორსულისა და მეძუძურისთვის — 3-3,8 გრ, ბავშვისათვის — 1,5-2,5 გრ.**

## კალიუმი




**კალიუმი** ორგანიზმიდან დევნის სითხეს, ნაწილობრივ — მარილებსაც. ორგანიზმში ეს ელემენტი ხვდება **მარცვლოვანი მცენარეების**, აგრეთვე, **ბოსტნეულის, კარტოფილისა** და **ხილის** საშუალებით. კალიუმს დიდი რაოდენობით შეიცავს ხორცისა და თევზის პროდუქტები, აგრეთვე, **გარგარი, ქიშმიში, შავი ქლიავი** და სხვ. ადამიანისთვის **კალიუმის სადღეღამისო მოთხოვნილება შეადგენს 2-3 გრამს.**

## მაგნიუმი




**მაგნიუმს** აქვს ანტისპაზმური, აგრეთვე, სისხლის ჭურჭლების გაფართოების უნარი. ამ ელემენტს შეუძლია გააუმჯობესოს ნაწლავების პერისტალტიკა, გააძლიეროს ნაღვლის წვენის გამოყოფა, შეამციროს სისხლში ქოლესტერინის დონე. მაგნიუმის წყარო ცოცხალი ორგანიზმისათვის არის **ჭვავი, ხორბალი, ცერცვი** და **ლობიო**. სადღეღამისო **ნორმაა დაახლოებით 500-600 მგ.**

## რკინა




**რკინას** დიდი რაოდენობით შეიცავს **ღვიძლი, ლობიო, ბარდა, შვრიის ბურღული**. ის შეუცვლელია ორგანიზმში ჰემოგლობინის სინთეზისთვის. **რკინის სადღეღამისო მოთხოვნილება 14-16 მგ-ის ფარგლებში მერყეობს.**

## კალციუმი




ეს არის ელემენტი, რომელიც რეგულარულად ესაჭიროება ცოცხალი ორგანიზმის უჯრედისს და ძვლის ქსოვილის სითხეს. **კალციუმი** სისხლის შემადგენელი ელემენტია. მას ბევრი პროდუქტი შეიცავს ჭარბად, მაგრამ საყურადღებოა, რომ ორგანიზმში ძნელად აღწევს. ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში ხელს უშლის სხვა ელემენტები, მაგალითად, მაგნიუმი, ფოსფორი და სხვ. კალციუმის კარგად ათვისება ხდება მაშინ, როდესაც მისი ფარდობა ფოსფორთან 1:1,5-ია, მაგნიუმთან — 1:75. ადამიანი კალციუმს მაქსიმალურად ითვისებს რძის პროდუქტებიდან. მარცვლოვნებიდან, მათ ქსოვილში ინოზიტფოსფორის მჟავას ჭარბი შემცველობის გამო, კალციუმის ათვისება თითქმის არ ხდება. კალციუმის ათვისებას არეგულირებს D ვიტამინი. **კალციუმის სადღეღამისო მოთხოვნილება შეადგენს 800-1000 მგ-ს.**

# როგორ მოვამზადოთ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კოქტეილი?

### ფორთოხლის კოქტეილი



**6 ულუფა. მომზადების დრო: 20 წუთი. 340 კ.კალორია. გემრიელია.**

**დაგჭირდებათ: 3 ფორთოხალი, 2 ღერი ცერეცო, 1 ბროწეული, 30 გრ. შავი ზეთისხილი, 20 გრ. ქიშმიში, 1 სუფრის კოვზი თაფლი, 2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი, პაპრიკა.**

● მოაცალეთ ფორთოხალს კანი და თეთრი აპკი, დაყავით ნაწილებად.

● ცალკე ჭიქაში გაწურეთ ფორთოხლის წვენი (გნებავთ, მზა გამოიყენეთ) და ჩახეხეთ შიგ ცედრა (კანი).

● შავი ზეთისხილი (სასურველია უკურკო) მრგვლად დაჭერით.

● მჭრელი დანით წვრილად დაკეპეთ ცერეცო.

● ბრტყელ თეფშებზე დააწყეთ ფორთოხალი და ცერეცო, დაამატეთ ზეთისხილი, ქიშმიში, ბროწეულის მარცვლები, არ აურიოთ.

● ფორთოხლის წვნიან ჭიქაში დაამატეთ თაფლი, ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი გემოვნებით. გათქვიფეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

● სუფრასთან მიტანამდე სალათს მოასხით საკმაზი და მოაყარეთ დაჭრილი პაპრიკა.

### ბოსტნეულის სალათ-კოქტეილი



**4 ულუფა. მომზადების დრო: 30 წუთი. 310 კ.კალორია. იოლია.**

**დაგჭირდებათ: 2 მოხარშული კარტოფილი, 2 კიტრი, 2 საშუალო ზომის პომიდორი, 1 თავი ხახვი, ცოტა მწვანე ბარდა, სალათის საკმაზი, მწვანილი, სუნელები.**

● წვრილად დაჭერით მოხარშული კარტოფილი, ხახვი, კიტრი, პომიდორი.

● **დაამატეთ კონსერვირებული ბარდა და მარილი.**

**მოამზადეთ სალათის საკმაზი: აიღეთ 0,3 ჭიქა მცენარეული ზეთი, ცოტა 3-პროცენტიანი ღვინის ძმარი, რამდენიმე კბილი დაკეპილი ნიორი და ახლად დაფქვილი შავი პილპილი (გემოვნებით). კარგად აურიეთ ყველაფერი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე (სასურველია თავდახურულ ჭურჭელში). დაჭრილ ბოსტნეულს მაშინვე მოასხით გამზადებული საკმაზი.**

### მსხლის სალათ-კოქტეილი



**4 ულუფა. მომზადების დრო: 40 წუთი. 245 კ.კალორია. ნაზია.**

**დაგჭირდებათ: 2 მწიფე მსხალი, 2 გრეიპფრუტი, 1 მწვანე ბულგარული წიწაკა, 1 სუფრის კოვზი დაკეპილი ოხრახუში, 2 სუფრის კოვზი ძმარი, 4 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი.**

**მოსართავად: მწვანე სალათის რამდენიმე ფოთოლი, მოხალული თხილი, ოხრახუშის ფოთლები.**

● მსხალი გათალეთ, გაჭერით 8 ნაწილად, ამოაცალეთ გული და წვრილად დაკეპეთ. გრეიპფრუტს მოაცილეთ კანი და თეთრი აპკი, რბილობი სამკუთხედებად დაჭერით.

● **ბულგარული წიწაკა ოთხად გადაჭერით, მოაცილეთ გული და გრძლად დაჭერით.**

● ფართო თეფშზე დაალაგეთ სალათის ფოთლები, მოაპკურეთ ზეითუნის ზეთში არეული ძმარი, მოაყარეთ მარილი და პილპილი, დაამატეთ დაჭრილი ხილი, ოხრახუში, ბულგარული წიწაკა და კარგად აურიეთ.

● **დაჭერით მოხალული თხილი და მორთეთ სალათი, ზევიდან მოაყარეთ ოხრახუშის ფოთლები.**

# მიხეილ ცაგარელი: ასტროლოგიურად ყველაზე შეუთავსებელი წყვილები



*— რას შეისწავლის სინატრიული ასტროლოგია და რატომ არის აუცილებელი წყვილის სასიყვარულო ან საქმიანი კავშირის ზუსტი განსაზღვრისთვის მათი პირადი ნათალური რუკის შედგენა? კუროსა და მშვილდოსნის დაწყვილებისას მშვიდ კუროს რა აღიზიანებს ან ცეცხლოვანი მშვილდოსანი რას საჭიროებს, ანდა რა შემთხვევაშია შესაძლებელი მათ შორის ზღაპრული ურთიერთობის ჩამოყალიბება? სასწორი და თევზები რით ემსგავსებიან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან? ურთიერთობის საწყის ეტაპზე რით იხიბლებიან და საბოლოო ჯამში რა ღლით? ვერძისა და კუროს ახლო ურთიერთობისას კუროსთვის რა არის მიუღებელი ან ვერძს რა სურს? რის მიმართ აქვთ განსხვავებული მიდგომა ანდა რაში ეთავსებიან მშვენივრად ერთმანეთს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— ასტროლოგია, როგორც არაერთხელ გითქვამთ, ადამიანთა ცხოვრების ფართო სპექტრს მოიცავს და სწავლობს. რას შეისწავლის სინატრიული ასტროლოგია?**

— **სინატრიული ასტროლოგია შეისწავლის სხვადასხვა ზოდიაქოს ნიშნების თავსებადობას. მას იყენებენ არამარტო საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობის გასაანალიზებლად, არამედ საქმიანი კავშირის და სხვა სახის ურთიერთობების მიზანშეწონილობის დასადგენადაც.** ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია, გავიგოთ რამდენად თავსებადია წყვილი, რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს და რა გზებით არის შესაძლებელი ამ ბარიერთა გადალახვა.

**— არაერთხელ გისაუბრიათ ჰარმონიული წყვილების შესახებ, თუმცა, არასდროს შეხებიხართ შეუსაბამო წყვილებს, რომელთა თანაარსებობა და თანაცხოვრება ყველაზე რთულია. ამჯერად გავაცნოთ ჩვენს მკითხველს ასტროლოგიური სტატისტიკის მიხედვით ყველაზე არაჰარმონიული შეუსაბამო წყვილები.**

— **მოგეხსენებათ, ზოდიაქოს ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხასიათით, ინტერესით, ტემპერამენტით, შეხედულებით ცხოვრებაზე, ამიტომ არსებობს ნიშნები, რომლებიც უკეთ უგებენ ერთმანეთს და ნიშნები, რომელთა შორის მშვიდი, ჰარმონიული ურთიერთობა თითქმის წარმოუდგენელია.** თუმცა, ერთია, როცა ორი ადამიანი ვერ ეთვისება ერთმანეთს, მაგრამ კომპრომისის მეშვეობით ურთიერთობას ინარჩუნებს და მეორე, როცა ორ ადამიანს ერთმანეთის მიმართ დიდი ინტერესი, გრძნობა, მიზიდულობა აქვს, მაგრამ მათი კავშირის არსებობა ძალიან გართულებულია, მათ ერთად თანაცხოვრება უჭირთ, ხშირად კამათობენ, ჩხუბობენ და, საბოლოო ჯამში, მალე ერთმანეთს სცილდებიან. ცხადია, **ორი ადამიანის ურთიერთობის დასადგენად აუცილებელია მათი პირადი ნათალური რუკების ზედდება (სინატრიის შედგენა), სადაც გამოჩნდება, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია ეს კავშირი,** რამეთუ ხდება ისიც, რომ ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, შეუსაბამო წყვილი პირადი ჰოროსკოპით საკმაოდ ჰარმონიულად ეთავსება ერთმანეთს, ანდა, პირიქით, ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ჰარმონიულ წყვილს პირადი რუკის შესწავლისას გამოეკვეთება მრავალი დაუძლეველი წინააღმდეგობანი, რის გამოც ეს კავშირი არასიცოცხლისუნარიანია. **ამჯერად განვიხილოთ ასტროლოგიური სტატისტიკით ყველაზე რთული წყვილები.**

***1.*** **კურო და მშვილდოსანი.** მოგეხსენებათ, კურო მიწის სტიქიას მიეკუთვნება და საჭიროებს სტაბილურობას, თბილ სახლს, შეჩვეულ გარემოს, რაც მეტად აღიზიანებს **ცეცხლოვან მშვილდოსანს,** რომელსაც ავანტიურისტული მისწრაფებანი და თავგადასავლების სიყვარული მუდმივად სამოგზაუროდ უხმობს. იგი მუდამ მზად არის ცვლილებებისათვის და ახალ-ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად. **კუროს კი მშვილდოსნის** ამგვარი ფორიაქი, ცხოვრების ზედმეტად სწრაფი ტემპი, გადამეტებული აქტიურობა საშინლად ღლის, რაც ხდება მათ შორის მუდმივი დავისა და ჩხუბის მიზეზი. ამავდროულად, ინტელექტუალურ დონეზე მათი ურთიერთობა შესაძლოა, ზღაპრულიც კი ყოფილიყო, თუ შეძლებდნენ თავიანთი ტემპერამენტის დაბალანსებას, პარტნიორის ცხოვრების რიტმთან შეწყობასა და მოთხოვნების მოთოკვას. სხვა შემთხვევაში კი **კურო-მშვილდოსნის წყვილის** ახალი ურთიერთობა შესაძლოა, საწყის რომანტიკულ ეტაპს ვერც კი გასცდეს.

***2.*** **სასწორი და თევზები.** უნდა ითქვას, რომ **სასწორის ნიშნით დაბადებულის** გარშემო მყოფების მიმართ კეთილგანწყობა, მშვიდი და ახლობლური ურთიერთობის ჩამოყალიბების უნარი რატომღაც ვერ მუშაობს **თევზებთან** მიმართებით. ერთი შეხედვით, ამ ორი ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლები ერთმანეთს ჰგვანან აუჩქარებელი ცხოვრების ტემპით, არაკონფლიქტური ხასიათით, მშვიდი ხიბლით, მაგრამ **სასწორს** ყველაფერში გარკვევა, კონკრეტიკა ესაჭიროება, რასაც **თევზებში** ვერ მოიძიებთ, რამეთუ ეს უკანასკნელნი ზედმეტად მეოცნებენი, საკმაოდ დამყოლნი, თუმცა, ამავდროულად ნერვიულნი არიან და წყენას ვერ ივიწყებენ. **თევზებისა და სასწორის** ურთიერთობის საწყის ეტაპზე ისინი ერთმანეთის განსხვავებული ხასიათით მეტად იხიბლებიან და, თითქოს, ავსებენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ მოგვიანებით ეს ხიბლი ქრება და იწყება კამათი ყოველი წვრილმანის გამო. ზოგჯერ მიზეზიც არ სჭირდებათ ისე იწყებენ კინკლაობას. საბოლოო ჯამში, ორივე ნიშნის წარმომადგენელი ამგვარი ურთიერთობით ძალიან იღლება, რაც ხდება კიდეც მათი კავშირის დაშლის მიზეზი.

***3.*** **ვერძი და კურო. კუროსთვის ვერძთან** ურთიერთობა ასევე რთულია. მიზეზი იგივეა, რაც **მშვილდოსნის** შემთხვევაში. **კურო** მიწის სტიქიას ეკუთვნის **ვერძი** კი — ცეცხლისას და თავისი სტიქიის შესაბამისად, **ვერძი** ზედმეტად ენერგიულია და მუდმივ მოძრაობაშია. ამგვარი ტემპის ატანა **კუროს** არ შეუძლია, ამიტომ ყოველმხრივ შეწინააღმდეგებას უწევს, რაც ვერძს არ აკმაყოფილებს. ამ ორი ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელს განსხვავებული ტემპი და ცხოვრებისადმი მიდგომა აქვს. **ვერძს** არ სურს სრულად მიენდოს და გაიგივდეს პარტნიორთან. მას თავისი ტერიტორია და მოქმედების თავისუფლება ესაჭიროება, რაც **კუროსთვის** მიუღებელია. სულ სხვა ვითარებაა ინტიმურ სფეროში. აქ ეს ორი ნიშანი მშვენივრად ეთავსება ერთმანეთს, განსაკუთრებით ხმაურიანი გარჩევებისა და ჩხუბის შემდეგ.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 22-28 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**თუ კამათსა და უცაბედ გაუგებრობებს თავს აარიდებთ, ოცნებას იოლად აისრულებთ. მოქმედებისას ძველი გამოცდილი მეთოდები გამოიყენეთ, შეყვარებულის შემთხვევით უტაქტო გამოთქმებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. შესაძლოა, მემკვიდრეობითმა და ქონებრივმა საკითხმა დაგაინტერესოთ. შორეული მოგზაურობა არ არის რეკომენდებული, რადგან ავარიისა და ტრავმის ალბათობაა. ფსიქოემოციური დონე იწყებს დაქვეითებას, ამიტომ ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდით.**

**კურო** (21.04-20.05)
**როგორც აქტიური ქმედებისთვის, ისე დასვენებისა და ძალთა დაგროვებისთვის კარგი დროა. სამსახურში დამღლელი დამატებითი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისათვის გარკვეულ შემოთავაზებებზე უარი არ ვთქვათ. კავშირებისა და ინფორმაციის მიღების მეშვეობით არაერთი იდეა დაგებადებათ, მაგრამ განხორციელებას ნუ იჩქარებთ, შეყვარებულთან დროებით განშორება ან გრძნობის გაცივებაა შესაძლებელი.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**სამოქმედოდ ჯობს, ძველი და გამოცდილი მეთოდები გამოიყენოთ. შესაძლებელია, ახლო მეგობრებს შეხვდეთ, რომლებიც ფინანსურ საკითხში დახმარებას გაგიწევენ. საზოგადოებრივ საქმეებზე ბევრ დროსა და ენერგიას დახარჯავთ, რის გამოც პირადი ურთიერთობისთვის ვერ მოიცლით, რაც შეყვარებულის პროტესტს გამოიწვევს. ახალი ხელობის შესწავლას ან პროფესიონალიზმის დახვეწას გამოცდილი მასწავლებლის დახმარებით შეძლებთ. ახლო მანძილზე მოგზაურობები რომანტიკულად ჩაივლის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**გარშემო მყოფებს, მათთან გულახდილი საუბრების მიუხედავად, თქვენი გაგება გაუჭირდებათ, ამიტომ კამათისა და კონფლიქტების რაოდენობა მოიმატებს. მომატებული ენერგია კარგი განწყობისა და დაუღალავი შრომის გარანტი იქნება. შემოსავლის გაზრდისათვის რაიმე ახალი და ინოვაციური მოიფიქრეთ. მშობლებისა და უფროსი ასაკის ოჯახის წევრთა წინააღმდეგობის მიუხედავად, შესაძლოა, სახლისთვის ახალი ძვირფასი ნივთები შეიძინოთ. მოგზაურობა ამ პერიოდში პერსპექტიული არ იქნება.**

**ლომი** (23.07-23.08)
**გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გაძლიერება ყოველივე უჩვეულოსა და ორიგინალურისაკენ მიგიზიდავთ. შემოქმედებითი პროექტები წარმატებას გიქადით. ეს კარგი დროა სასიყვარულო კავშირების დასამყარებლადაც. ეცადეთ, ორგანიზმი არ გადატვირთოთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. შორეული მოგზაურობა ჯობს, გადადოთ. ემოციური ფონის დაქვეითებამ შესაძლოა, ძველი ქრონიკული დაავადების გამწვავება გამოიწვიოს.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**არსებული კავშირები გამოიყენეთ და საქმე აუჩქარებლად შეასრულეთ. ეს დრო კარგია მეცნიერული კვლევისთვის, მკურნალობისა და ოპერაციებისთვის. თუ არავის გააკრიტიკებთ, დასცინებთ ან წააქეზებთ, უსიამოვნებებს აირიდებთ. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, ახლო მანძილზე მოგზაურობა კარგად დასვენებისა და მშვიდად ფიქრის საშუალებას მოგცემთ.**




## 22-28 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**თქვენი ენერგეტიკა იკლებს, ამიტომ პერიოდულად უარი თქვით ბევრ ადამიანთან ურთიერთობასა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. ინტუიციასა და წინათგრძნობას დაუჯერეთ. შესაძლოა, შემთხვევით საიდუმლო ინფორმაცია შეიტყოთ. ახლო ნათესავები პირადი ურთიერთობის დარეგულირებაში დაგეხმარებიან. ცუდი განწყობისა და დაღლის შეგრძნებისას ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში გაისეირნეთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ენერგიის სიუხვე აგრესიულს გაგხდით. სამსახურში პირობები შეიცვლება. პირადი ან საქმიანი პრობლემების გამო, შესაძლოა, კამათი მოგიწიოთ. კრედიტის აღებას მოერიდეთ. ასევე, ძვირადღირებულ შენაძენს, ფულის ფლანგვასა და უყაირათობასაც. ენერგიულობისა და განწყობის ცვალებადობა ინფორმაციის აღქმას გაართულებს და ახალ კავშირებს ნაკლებპერსპექტიულს გახდის. ექსტრემალურ გართობაზე უარი თქვით, რათა არ დაშავდეთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**რთულ სიტუაციაშიც ოპტიმისტურად იქნებით განწყობილი. მიუხედავად ამისა, ეცადეთ, არ გაცივდეთ და ძილი არ მოიკლოთ. შინაგანი კრიზისის დაძლევაში მოვლენათა რეალური შეფასება დაგეხმარებათ. ბავშვებთან, მშობლებთან და სახლთან დაკავშირებული პრობლემები იმატებს. რაიმე საქმე, შესაძლოა, საქმიან პარტნიორთან ან მეუღლესთან დავის საგანი გახდეს. ხშირი შეხვედრები მეგობრებთან ხალისს დაგიბრუნებთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ყველა საქმეს სწრაფად ვერ დაასრულებთ, ამიტომ ეცადეთ, ახალი არაფერი დაიწყოთ. საქმიანი პარტნიორის მიმართ მომთხოვნი, პრინციპული და აგრესიული ნუ იქნებით. ყველაფერი ზედმეტი დროულად მოიშორეთ და არასასურველი ურთიერთობებიც დაასრულეთ. შესაძლოა, ჰორიზონტზე ახალი სასიყვარულო ობიექტი გამოჩნდეს. გადაადგილების რაოდენობა გაიზრდება, ამიტომ დაღლის შემთხვევაში აუცილებლად დაისვენეთ, რათა ჯანმრთელობის მდგრადობა შეინარჩუნოთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**თხოვნის მიუხედავად, სხვის საქმეში ნუ ჩაერევით, რათა ავტორიტეტი არ შეილახოთ. ამ პერიოდში კარგია უძრავი ქონების ყიდვა, გაფორმება და კეთილმოწყობა. ორგანიზმის გაჯანსაღების არატრადიციული მეთოდები ორგანიზმს გაგიკაჟებთ და ავადმყოფობისგან დაგიცავთ. გონებამახვილი, ნიჭიერი და მხიარული ადამიანები მიგიზიდავთ, რაც, შესაძლოა, მეუღლის ან შეყვარებულის აგრესიის მიზეზი გახდეს. ეცადეთ, ქალაქგარეთ გაისეირნოთ, დაისვენოთ და კარგად გამოიძინოთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**შეუპოვრობით, მიზანსწრაფვით, თვითკონტროლით, ნიჭითა და შრომისუნარიანობით საოცარ შედეგებს მიაღწევთ. ცოდნასა და მიღებულ ინფორმაციას საკუთარი მიზნებისთვის იოლად გამოიყენებთ. სარისკო ქმედებებშიც ბედი გაგიღიმებთ, თავს სანაქებოდ იგრძნობთ. გადაადგილება-კონტაქტების რაოდენობა იმატებს, რაც პირად ცხოვრებას გაგიხალისებთ და ბედნიერების შეგრძნებას მოგანიჭებთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 24, 26 და 28 აგვისტო

**12 აგვისტო – სავსემთვარეობა;**
**27 აგვისტო – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 22 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.16 საათზე, ჩადის 18.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.30) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 00.07 საათზე, ჩადის 16.14 საათზე (მთვარის 25-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.06 საათიდან 04.30 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მეტი სიფრთხილე გმართებთ წყალთან მიმართებით და საჭის მართვისას. მაღალია ფინანსებთან დაკავშირებით შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთი კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, ელექტროტექნიკის, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესაძენად, კბილების სამკურნალოდ, სასამართლო პროცესის დასაწყებად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა. შესაძლებელია მოულოდნელად გეგმების შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 23 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (07.17) **ქალწულის** ზოდიაქოში. ამოდის 05.17 საათზე, ჩადის 18.49 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 00.56 საათზე, ჩადის 17.02 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 01.07 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მზე გადაინაცვლებს **ქალწულის** ზოდიაქოში და ადამიანებში გაამახვილებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, შრომისუნარიანობას, წესრიგისა და სისუფთავისკენ, დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილებას, ნებისყოფას, წვრილმანთა დანახვის უნარს, პასუხისმგებლობას და ასევე სიჯიუტეს, პირდაპირობას, ტრადიციულობას, კრიტიკულობასაც. დღეს ორგანიზმი ადვილად დაკარგავს ენერგიას, ამიტომ სულიერად და ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. ურთიერთობისას მეტი დიპლომატიურობა გმართებთ, რაც ხელს შეუწყობს შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენას. კარგი დღეა საოჯახო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ხალხური რეწვის ნიმუშების, ანტიკვარული ნივთების, ცხოველების შესაძენად, სასამართლო პროცესის დასაწყებად. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, მანქანით ჯირითი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, მწვანე იასპი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 24 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.18 საათზე, ჩადის 18.48 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.10) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 01.52 საათზე, ჩადის 17.42 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 02.08 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.40 საათიდან 17.10 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან თავისუფლებისა და რეფორმების მმართველი პლანეტა **ურანი** რეტროგრადულ მოძრაობას იწყებს, რაც წლის ბოლომდე გასტანს. ამ პერიოდში სიახლეთა დანერგვა გართულდება, ახალი გეგმების დასახვა და რეალიზაცია შეეჯახება წინაღობებს, სასიკეთო იქნება ეს პერიოდი ძველ მეგობრებთან ურთიერთობებისთვის, ძველ სოციალურ პროექტებთან დასაბრუნებლად. დღეს კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სახლის მშენებლობის დაწყება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, დაპირების გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, გულსისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, მალაქიტი, ბრილიანტი, სერდოლიკი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 25 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.19 საათზე, ჩადის 18.46 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 02.53 საათზე, ჩადის 18.17 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 03.20 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** კოსმოსური საიდუმლოებებისა და უცნაური მოვლენების წარმოქმნის დღეა. შესაძლებელია შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა, ოჯახური კავშირის განმტკიცება. ამავდროულად, მაღალია ტრავმების ალბათობა. მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ გადაღლას, სიმძიმეების აწევას, მკვეთრ მოძრაობებს. შედეგიანია თვალების, ნერვული სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი საუნასა და სოლარიუმში ვიზიტი, გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა ახალი საქმის, სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდიონი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 26 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.21 საათზე, ჩადის 18.45 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 03.57 საათზე, ჩადის 18.45 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 04.37 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.55 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **სასწორის ზოდიაქოში** (23 სექტემბრამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, დიპლომატიურობას, ესთეტიკურობას, კომპრომისის უნარს, ფანტაზიას და ასევე მერყეობას, გაორებას, სულსწრაფობასა და უყაირათობასაც. დღეს მაღალია ტრავმებისა და ავარიის ალბათობა, პროვოკაციებსაც მოერიდეთ. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური დატვირთვა, სიმძიმეების აწევა, საუნასა და სოლარიუმში სტუმრობა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ნიშნობა, ბინის შეცვლა, კარგი დღეა შემოქმედებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, საჩუქრებისა და ძვირფასი ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 27 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.22 საათზე, ჩადის 18.43 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.26) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.01 საათზე, ჩადის 19.10 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 05.57 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 12.17 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ახალმთვარეობის მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა, რაც განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს, აგრესიულობას და დეპრესიულობის გამოვლენას, პროვოკაციებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, რაც ყველასგან ითხოვს მეტ სიფრთხილესა და ყურადღებას. **სასიკეთოა ლოცვა**, სანთელ-საკმევლის ოთახებში შემოტარება. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, გარისკვა, ქორწინება, ფულის სესხება-გასესხება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი ნაცნობობა. იმატებს ინტრიგების ალბათობა. კარგი დღეა სწავლისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, გიშერი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 28 აგვისტო, კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.23 საათზე, ჩადის 18.41 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 19.33 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 07.16 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი. ტენდენციები: გილოცავთ მარიამობას!** დღეს შესაძლებელია ძველი გართულებული პრობლემის მარტივად გადაჭრა. ურთიერთობისას დაეყრდენით გულახდილობასა და სიმართლეს. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, ციფრული მასალის ანალიზისთვის. მოერიდეთ სარისკო ქმედებას, ქორწინებას, წყლის ტრანსპორტით მგზავრობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. გაუფრთხილდით ჯანმრთელობასა და ძვირფას ნივთებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ონიქსი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ **22 აგვისტო. ორშაბათი.** მოციქულისა მატათასი, რომელი დაიდგინა იუდას წილ განმცემელისა; მოწამისა ანტონი ალექსანდრიელისა; ღირსისა ფსოე მეგვიპტელისა; მოწამეთა: ივლიანესი, მარკიანესი, იოანესი, იაკობისა, ალექსისა, დიმიტრისა, ფოტისა, პეტრესი, ლეონტისა, მარიამ პატრიკიასი და სხვათა; დიაკონისა სევერიანესი, აჭარელი აღმსარებლისა.

✝ **23 აგვისტო. სამშაბათი.** მოწამეთა: ლავრენტი მთავარდიაკონისა, სიქსტე პაპისა, ფელიქსიმე და აგაპიტე დიაკონთა და რომანოზისა, რომაელთა.

✝ **24 აგვისტო. ოთხშაბათი.** მოწამისა ევპოლოს მთავარდიაკონისა; მოწამისა სოსანა ქალწულისა და მისთანა: გაიოზ რომის პაპისა, გაბიანე ხუცისა, კლავდისა, მაქსიმესი, პრეპედიგნასი და ძეთა მისთა ალექსანდრესი და კუფესი.

✝ **25 აგვისტო. ხუთშაბათი.** ღირსმოწამეთა: გერონტი და სერაპიონ მღვდელმონაზონთა, ოთარ და სვიმეონ იეროდიაკონთა, გერმანე და ბესარიონ მონაზონთა, და მიქაელ მორჩილისა — დავითგარეჯის მონასტერსა შინა ლეკთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: ფოტისა, ანიკიტოსი და მათთანა მრავალთა; მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, კომანელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა პამფილესი და კაპიტონისა.

**26 აგვისტო. პარასკევი. წარგზავნა უფლის ფერისცვალების დღესასწაულისა. ღირსისა მაქსიმე აღმსარებელისა;** მოწამეთა: იპოლიტესი, ირინეოსისა, აბუნდისა და კონკორდიასი, რომში წამებულთა; ტიხონისა, ზადონელი სასწაულმოქმედისა; ღირსთა: დოროთესი, ამბა სერიდის სავანის მკვიდრისა და მორჩილისა მისისა დოსითესი.

✝ **27 აგვისტო. შაბათი. წინადღესასწაული მიძინებისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა.** მღვდელმოწამეთა: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტისა ნაზარისა (ლეჟავა), გერმანე (ჯაჯანიძე), იეროთეოს (ნიკოლაძე) და სიმონ (მჭედლიძე) ხუცესთა, პროტოდიაკონისა ბესარიონისა (კუხიანიძე) და ყოველთა ახალმოწამეთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს ურწმუნოთაგან ვნებულთა.

✝ **28 აგვისტო. კვირა. მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მარიამობა. სიონობა.** თაყვანისცემა ღმრთისმშობლის ხატთა: აწყურისა, გაენათისა, წილკნისა, მეტეხისა, ქვაბთახევისა, დმანისისა, მოზდოკისა, ვლაქერნისა და სხვათა.



**28 აგვისტო –**
**მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა**


# ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

## წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:

შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს,
ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს,
პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს,
მედლებს და ანტიკვარიატს

591-75-35-38



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
# გიდმედი
GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. პეტარდა; 11. პანორამა; 12. ნიკოტინი; 13. გესტაპო; 14. ბურატინო; 15. ნარმანია; 16. დრაკონი; 17. კატაკანა; 21. მიელიტი; 23. ფიქალი; 27. პერიკარდი; 28. სიმენსი; 30. ნარინჯი; 31. ტრაპიზონი; 32. როიტერი; 34. პოლიცია; 38. კილიტა; 41. ამატი; 43. ლეი; 45. რადიკალი; 46. ტანაჯორი; 47. ბიენალე; 48. პარალიზი; 52. მძინარა; 55. ჩინარი; 59. პერიმეტრი; 60. პერანგი; 61. არომატი.

**შვეულად:** 1. მარულა; 2. სონატა; 3. შაკირა; 4. პაგოდა; 5. ტასმანი; 6. რეალობა; 7. ანონიმი; 8. სკორცენი; 9. ეტრატი; 10. ინგირი; 17. კოპიტი; 18. ტორნადო; 19. კოკაინი; 20. ნარკოზი; 22. ტენგე; 23. ფინია; 24. ქურანი; 25. ლინონი; 26. აირი; 28. სირმა; 29. მაინა; 33. რეტორტა; 34. პრადა; 35. ლაიკა; 36. ცვარი; 37. ალიბი; 38. კიტელი; 39. ლოზანა; 40. ტოტემი; 42. მიჯნა; 44. ანტი; 48. პაპი; 49. რური; 50. ლემა; 51. ზეტი; 53. ნირი; 54. რენე; 55. ჩია; 56. ნეო; 57. რქა; 58. თია; 60. პი.

**კვარტალისტიმულინეზვიგენიაბაკარადარიალიონი**
**გერმანიამორიგეტრიბუნაგინეაპოლისიათაბაგირა**

| დროის სამთვიანი მონაკვეთი | ხალისის აღმძვრელი მიზეზი | დედალი ღორი | უდიდესი შემოქმე-დებითი ნიჭი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რ-ნში | ქალაქი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| ე.წ. „მეოთხე დაცვა“ ფარიკაობაში | უნგრელი კომპო-ზიტორი | საქარგავი ძაფი | ზღვის დიდი ცხოველი | საფეიქრო ბანანი | ლოკატორი | განთიადი |



თარაზულად: 4. სასიგნალო ასაფეთქებელი ჭურვი; 11. ვრცელი მიდამოს ხედი ზევიდან; 12. ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც თამბაქო შეიცავს; 13. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 14. ზღაპრული ხის კაცუნა; 15. თბილისის ყოფილი მერი; 16. გველეშაპი; 17. იაპონური ანბანის ერთ-ერთი გრაფიკული ფორმა; 21. ზურგის ტვინის ანთება; 23. ფენოვანი ქანი; 27. გულის პერანგი; 28. გერმანული ელნაწარმის ფირმა; 30. ციტრუსოვანი მცენარე; 31. ქალაქი თურქეთში; 32. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო; 34. სამართალდამცავი ორგანო; 38. ფოლგა. 41. ვიოლინოს იტალიელი ოსტატი; 43. ფრანგი კომპოზიტორი; 45. ფესვის ამოღების ნიშანი (მათ.); 46. მცირე ზომის წყლის მწერი; 47. გამოფენა ორ წელში ერთხელ; 48. დამბლა; 52. ძილის მოყვარული; 55. ალვის ხე; 59. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გვერდების სიგრძის ჯამი; 60. გრიგოლ რობაქიძის „გველის ...“; 61. კეთილსურნელება.

შვეულად: 1. დოლი; 2. ბეთჰოვენი — „მთვარის...“; 3, კოლუმბიელი მომღერალი ქალი; 4. ბუდისტური ტაძარი; 5. ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 6. სინამდვილე; 7. უცნობი ავტორი; 8. გერმანელი ფაშისტი დივერსანტი; 9. ძველი საწერი მასალა; 10. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 17. იფანი; 18. ხმელეთის სმერჩი; 19. ნარკოტიკული ნივთიერება; 20. წინა საოპერაციო ხელოვნური ძილი გამოწვეული ნარკოტიკული საშუალებებით; 22. ყაზახეთის ფულის ერთეული; 23. გოშია; 24. წაბლისფერი ცხენი; 25. წმინდა ბატისტი; 26. იგივეა, რაც გაზი; 28. ოქრომკედი; 29. დაუშვი! — მეზღვაურთა ენაზე; 33. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 34. ამერიკელი დიზაინერი; 35. ერთგვარი რბილი ტყავი; 36. ნამი; 37. უდანაშაულობის საბუთი; 38. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 39. ქალაქი შვეიცარიაში; 40. ცხოველი, რომელსაც თაყვანს სცემენ ზოგიერთ პრიმიტიულ ხალხში; 42. ზღვარი, საზღვარი; 44. წინსართი, აღნიშნავს საწინააღმდეგოს; 48. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 49. მდინარე გერმანიაში; 50. დამხმარე თეორემა; 51. ფრანგული „უცნობი“ ასო; 53. ზნე, ხასიათი; 54. ფრანგი კინორეჟისორი; 55. დაბალი, გამხდარი ადამიანი; 56. რთულ სიტყვებში ნიშნავს ახალს; 57. ყანწი; 58. ცხიმოვანა; 60. მათემატიკური მუდმივა (3,14).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ევროპის სახელმწიფო | გარკვეული დროის განმავლობაში რაიმე მოვალეობის შემსრულებელი | ამაღლებული ადგილი ორატორისთვის | ძველებური ინგლ. ოქროს ფული | დაზღვევის მოწმობა | სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდებულება | ...? სად? როდის? |
|---|---|---|---|---|---|---|
| რბილი, წმინდა ბუმბული | კლდის თხა | ფეხის სამოსი | ნადირის სადგომი | ქალაქი იტალიაში | ერთგვარი თოფი | მაუგლის მეგობარი ავაზა |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2022 წლის 22 — 28 აგვისტო №35 (1447)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol